საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№302 (12673) 24 დეკემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი



# შაშიაშვილი და ვერდერი

შეთანხმება თითქმის მიღწეულია, დარჩა კითხვა...

## იანვარი თუ მაისი?

» 3



# მარკოიშვილმა ცსკა დააინტერესა



## თამაშებს ვყიდულობდით?

არ ვიცი, რას აკეთებდა კლუბის ხელმძღვანელობა...

ინტერვიუ ლაშა სალუქვაძესთან » 2



## კრიზისი კალათბურთსაც მიადგა

# SOS! თსუ იშლება

თსუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ქეიშვილი

საკალათბურთო ამბები » 12



## გადავურჩით!

ალმერია კუპერს კი არა, უგო სანჩესს ჩააბარეს » 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — ლაშა სალუქვაძე

# ოთხი წელი მალე გავიდა

## თამაშებს ვყიდულობდით? არ ვიცი, რას აკეთებდა კლუბის ხელმძღვანელობა...



ლაშა სალუქვაძე

რუსეთის ჩემპიონი წლეულს ყაზანის „რუბინი" გახდა, სადაც სამი ქართველი იყო - დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი. ოქროს მედლები სალუქვაძესა და კვირკველიას ერგოთ, მეკარე რევიშვილი კი ყურბან ბერდიევმა ერთხელაც არ ათამაშა. ლაშა საქართველოს ნაკრების მცველიცაა. ბოლო მატჩებში ექტორ კუპერი მას სისტემატურად ენდობოდა. ერთი სიტყვით, სალუქვაძე ეროვნული გუნდის ერთ-ერთი სტაბილური წევრია. ახლა ის თბილისშია და გუშინ რედაქციაშიც ვისტუმრეთ...

**- ყველაზე მეტად რის ხარჯზე მოახერხა „რუბინმა" ჩემპიონობის მოპოვება?**

- პირველ რიგში, მაღალი კლასის ფეხბურთელებით - სემაკი, მილოშევიჩი, ყარადენიზი... ესეც რომ არა, უკვე რამდენიმე წელია, „რუბინი" მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და არაერთხელ ჰქონდა კიდეც ჩემპიონობის შანსი... წლეულს შესაძლებლობა ხელიდან აღარ გავუშვით.

**- კი, მაგრამ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს ცსკა-ს, „ზენიტს", მოსკოვის „დინამოს"... მიგაჩნია, რომ ამ ასპექტში „რუბინს" მნიშვნელოვნად დიდი უპირატესობა ჰქონდა?**

- გაითვალისწინეთ, რომ კარგი სტარტიც გვქონდა - ზედიზედ 7 თამაში მოვიგეთ და მოსკოვის „დინამოს" რეკორდიც მოვხსენით. ცსკა კი მერე და მერე შევიდა ფორმაში. რაც შეეხება „ზენიტს", ამ გუნდმა ევროსარბიელზე ისეთი ბრძოლები გადაიტანა, ეტყობა, ძალა აღარ ეყო ჩემპიონობისთვის. აი, ამ ფაქტორებმა იმუშავა ჩვენს სასარგებლოდ. 7 მოგების შემდეგ ბევრი ფრე ვითამაშეთ, „დინამო" გვეწეოდა, მაგრამ მერე მანაც ვერ მოიგო თამაშები და 10 ქულით გავუსწარით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო 22-ე ტურში „სპარტაკთან" გასვლითი მატჩი, რომელიც 1:0 მოვიგეთ. რეალურად, სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ გაგვეხსნა გზა ჩემპიონობისკენ.

**- უშუალო კონკურენტებთანაც დადებითი ბალანსი აღმოგაჩნდათ...**

- მესამე ადგილზე გასულ მოსკოვის „დინამოს" შინ 2:0 მოვუგეთ, სტუმრად 1:0, ამავე ანგარიშით ყაზანში ცსკა-ც დავამარცხეთ... მართალია, მერე არმიელებთან მოსკოვში 0:4 წავაგეთ, მაგრამ ეს ბოლოსწინა ტურში მოხდა, როცა ჩვენ უკვე ჩემპიონები ვიყავით...

**- პრემიერლიგის 30 მატჩიდან 15-ში ითამაშე. ეს როტაციის ბრალი იყო თუ უფრო კონკურენციის?**

- კონკურენცია ძალიან დიდი იყო, ერთ ადგილზე 3-4 ფეხბურთელი მოდიოდა, ზოგი განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, თანაც ისეთები, დიდი პრეტენზიები რომ აქვთ. ყურბან ბერდიევი თავისებური მწვრთნელია. თუ თამაშს მოვიგებდით და ესა თუ ის ფეხბურთელი კარგად ითამაშებდა, არ იყო გამორიცხული, მომდევნო მატჩში ის სათადარიგოთა სკამზე დაესვა. მე მის პრინციპებს ბოლომდე ვერ ჩავწვდი... მოკლედ, ბერდიევს უყვარს შემადგენლობის ცვლა.

**- 15 თამაში და არც ერთი ყვითელი თუ წითელი ბარათი - მცველისთვის ეს მართლაც იშვიათობაა...**

- მართალი ხართ, ასეთი რამ ხშირად ნამდვილად არ ხდება... რა გითხრათ, ორთაბრძოლებს არ ვერიდებოდი და მაინც ასე გამოვიდა, ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ რუსულ პრემიერლიგაში ფეხბურთელებს, ასე ვთქვათ, აცლიან თამაშს, ყველა შეჯახებაზე ჯარიმას არ ნიშნავენ და მით უმეტეს, ყვითელ ბარათსაც არ გიფრიალებენ.

**- საერთო ჯამში, განვლილ სეზონში საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩი?**

- საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ და ვერც ახლა ვიქნები. „რუბინის" ჩემპიონობაში ჩემი წვლილი კი შევიტანე, მაგრამ... 15 თამაში მაინც ცოტაა.

**- რომელი იყო შენი საუკეთესო მატჩი საჩემპიონო სეზონში?**

- სანკტ პეტერბურგში „ზენიტს" 3:1 რომ მოვუგეთ. იმ შეხვედრაში პოგრებნიაკის წინააღმდეგ მომიწია თამაშმა. სხვათა შორის, „ზენიტს" ყაზანშიც მოვუგეთ, 4:1.

**- მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტებთან დადებითი ბალანსი გქონდათ, ამბობდნენ, „რუბინი" თამაშებს ყიდულობდაო...**

- იმ გუნდებთან, რომლებიც მაღალი მიზნებისთვის არ იბრძოდნენ, ქულები რომ დაგვეკარგა, ამაში ჩვენი უშუალო კონკურენტები დიდძალ ფულს იხდიდნენ, წახალისებისთვის სოლიდურ პრემიებს აწესებდნენ. ცსკა და „ზენიტი" „რუბინზე" მდიდარი კლუბები არიან და თუ ჩაწყობაზე იყო საქმე, ჩვენ ვაჯობებდით? არ ვიცი, რას აკეთებდა კლუბის ხელმძღვანელობა, ის კი დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ფეხბურთელები ბოლომდე ვიხარჯებოდით და საკმაოდ მძიმე ბრძოლებიც გადავიტანეთ.

**- რამდენია „რუბინის" წლიური ბიუჯეტი?**

- გასულ სეზონში დაახლოებით 50 მილიონი იყო. „ზენიტსა" და ცსკა-ს ბევრად მეტი აქვთ. მოსკოველებმა დანი 30 მილიონ ევროდ იყიდეს, პეტერბურგელებმა კი თავის დროზე ტიმოშჩუკში „შახტიორს" 20 მილიონი დოლარი გადაუხადეს...

**- ვინ არის კლუბის მთავარი დამფინანსებელი?**

- ყაზანის მერია. თათარსტანის პრეზიდენტი შაიმიევი სპორტის დიდი ქომაგია. შარშან ყაზანის ჰოკეისტთა გუნდი გახდა რუსეთის ჩემპიონი, წელს ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები... შაიმიევს კალათბურთიც ძალიან უყვარს, მაგრამ აქ ცსკა-ს კონკურენციას ვერ გაუწევს. თათარსტანში ფეხბურთი და ჰოკეი თანაბრად პოპულარული სახეობებია... საერთოდ, ყაზანი ძალიან მაგარი ქალაქია, არადა, 10 წლის წინ სულ სხვა იყო, ახლა კი თანამედროვე შენობებითაა გალამაზებული.

**- „რუბინს" ფეხბურთელთა დავალიანება ჰქონდა...**

- ბოლო 2 თვის ხელფასი დაგვიგვიანეს... მერე კი გაგვისტუმრეს დავალიანება, მაგრამ საჩემპიონო პრემია ჯერაც არ მოუციათ.

**- გაისადაც „რუბინში" ითამაშებ?**

- კონტრაქტი დამიმთავრდა და „რუბინს" მისი გაგრძელება სურს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ამ კლუბთან 4 წლის წინ გავაფორმე ხელშეკრულება, ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა, სულ სხვა პირობებით ფორმდება კონტრაქტები... „რუბინის" ხელმძღვანელობას ჩემი პირობები ვუთხარი და ვნახოთ... არის სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტიც.

**- ნუკრი რევიშვილი რჩება ყაზანში?**

- კონტრაქტი მასაც დაუმთავრდა. ბერდიევმა ის არც ბოლო ტურებში ათამაშა, როცა ჩემპიონობა უკვე განაღდებული გვქონდა... მაგრამ ისიცაა, რომ „რუბინის" მეკარე სერგეი რიჟიკოვი სეზონში საუკეთესოდ აღიარეს.

**- ვის მიიჩნევ რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად?**

- გასული სეზონის მიხედვით, ცსკა-ს მარცხენა მცველ იური ჟირკოვს, საერთოდ კი საუკეთესოდ „რუბინის" კაპიტანი სერგეი სემაკი მიმაჩნია. ის გუნდის ლიდერია, თუმც ბერდიევს არ უყვარს, როცა რომელიმე ფეხბურთელი მწვერვალისკენ მიდის. ის ცდილობს, გუნდში ბალანსი დაიცვას. სემაკი ძალიან კარგი ადამიანიცაა, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.

**- შესაძლოა, „რუბინში" „ლუჩიდან" წასული ლევან გვაზავა გადავიდეს. თათარსტანში ქართველებს, ალბათ, კარგი თვალით უყურებენ...**

- ასეა, ქართველის დამატებაზე უარს არ იტყვიან. „რუბინში" ნათამაშები ქართველებიდან გულშემატკივრებს ყველაზე მეტად დათო ჩალაძე უყვართ. ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლაში მან დიდი როლი შეასრულა, პირველი ლიგის ბომბარდირი გახდა, მომდევნო სეზონში კი „რუბინმა" მესამე ადგილი დაიკავა. ყურბან ბერდიევმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა - რაც „რუბინის" მწვრთნელი ვარ, ამ გუნდში საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე იყოო. ქინქლაძე ახლა მოსკოვშია, ჩვენს თამაშებზე ყოველთვის მოდიოდა. ჩვენი ქომაგია მომღერალი ირაკლი ფირცხალავაც, რომელიც ყაზანშიც იყო ჩამოსული... ირაკლიმ იქ მინი-ფეხბურთი ითამაშა და ფეხი მოიტეხა...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები



უტევს გიორგი დემეტრაძე

## დემეტრაძე: არსენალს ჩემი ვალი აქვს!

უკრაინულმა „ფუტბოლმა" ათი ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერი გამოარჩია. „საპატიო" ათეულში ერთი ქართველია - **გიორგი დემეტრაძე**. დემეს გადასვლა დონეცკის „მეტალურგიდან" კიევის „არსენალში" სწორედაც რომ წარუმატებელი ოპერაცია იყოო, მიაჩნია გამოცემას. მართალიცაა - ქართველ ფორვარდს კიეველ „მეთოფეებში" ხელი მოეცარა.

ამ დროს კი დემეტრაძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს - კიევის „არსენალს" დღემდე ჩემი ვალი აქვსო. გიორგიმ დაიქადნა, რომ კუთვნილ თანხას აუცილებლად დაიბრუნებს.

*„დიახ, კიეველები ჩემთან ვალში არიან. ახლა არ დავასახელებ კონკრეტულ ციფრს, თუმც იმას კი ვიტყვი, რომ ეს არის ეგრეთ წოდებული წამახალისებელი თანხა, რომელიც კიევის „არსენალთან" გაფორმებული კონტრაქტის სანაცვლოდ მეკუთვნოდა, მაგრამ დღემდე არ მიმიღია. კიევური კლუბი რომ დავტოვე, ამაში მთავარი როლი „არსენალის" პრეზიდენტმა ვადიმ რაბინოვიჩმა ითამაშა. ის აბსოლუტურად ვერ ერკვევა ფეხბურთში... მაგრამ რა გაეწყობა... რაბინოვიჩი ავტორიტეტული პიროვნება, ცნობილი მეწარმეა და ეს თანხა დღემდე არ მოუცია. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ კუთვნილს ფულს აუცილებლად მივიღებ"*, - განაცხადა დემეტრაძემ.

## მარცვალაძე 27, ალადაშვილი 28

მახაჩყალის „ანჟიმ" იანვრის მოსამზადებელი შეკრება და ექვსიდან ერთი ამხანაგური მატჩი უკვე დაგეგმა. **ომარ თეთრაძის** გუნდი 8-30 იანვარს ახალწვეულებთან ერთად ანთალიაში მოემზადება. სხვებთან ერთად, თურქეთში გუნდს **კახა ალადაშვილი** და **ოთარ მარცვალაძეც** გაჰყვებიან. ისინი ახლახან ჩაირიცხნენ დაღესტნურ კლუბში. ქართველებს უკვე მუდმივნომრიანი მაისურებიც მისცეს - ალადაშვილს 28, ხოლო მარცვალაძეს 27 ნომერი ერგო.

ცნობილია ისიც, რომ 19 იანვარს „ანჟი" ანთალიაში მოსკოვის „დინამოს" შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ხსენებულ ახალწვეულთა გარდა **ვალერი აბრამიძისა** და **მიხეილ აშვეთიას** წასვლის შემდეგ ქართველებიდან გუნდში **ზურაბ არზიანი, რევაზ ჯიქია, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა** და **ედიკ საჯაია** დარჩნენ, **რევაზ ბარაბაძე** კი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

## მანჩხავას მწვრთნელი მოუხსნეს

**ნუკრი მანჩხავას** „კაუნასს" საჩემპიონო ამბიცია კი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მეორე ადგილს დასჯერდა. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობამ ეს შედეგი წარუმატებლობად ჩათვალა და საკადრო გადაადგილებამაც არ დააყოვნა. როგორც გუშინ გაცხადდა, მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეი ზიგმანტოვიჩმა** და მისმა თანაშემწე **ალექსანდრ ბრაზევიჩმა** თანამდებობები დატოვეს. ცნობისთვის, მინსკის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი ზიგმანტოვიჩი „კაუნასს" 2007 წლის ივნისიდან ავარჯიშებდა.

მოამზადა **დავით ცაბაძემ**

ბენდელას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## დღეიდან პლეიოფები

**A ჯგუფი**

**23 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| დუშეთი-სეუ ვეტერანები | 1:2 |
| GLCS-სამეგრელო | 8:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| GLCS | 3 | 2 | 1 | 0 | 12-6 | 7 |
| სეუ ვეტერანები | 3 | 2 | 0 | 1 | 10-8 | 6 |
| დუშეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| სამეგრელო | 3 | 0 | 0 | 3 | 9-18 | 0 |

**B ჯგუფი**

**23 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| YMCA-სამედიცინო | 6:1 |
| ნაძალადევი-რუბიკონი | 6:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| YMCA | 3 | 3 | 0 | 0 | 17-6 | 9 |
| ნაძალადევი | 3 | 1 | 1 | 1 | 12-11 | 4 |
| რუბიკონი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-12 | 3 |
| სამედიცინო | 3 | 0 | 1 | 2 | 6-12 | 1 |

**C ჯგუფი**

**23 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| სეუ-რეესტრი | 2:4 |
| დინამო 2-შავი ზღვის უნივ. | 2:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეესტრი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-8 | 6 |
| სეუ | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 6 |
| შავი ზღ. უნივ. | 3 | 1 | 0 | 2 | 7-7 | 3 |
| დინამო 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 9-13 | 3 |

**1/4 ფინალი**

**24 დეკემბერი**

| | |
|---|---|
| 15:00 | სეუ ვეტერანები-რეესტრი |
| 15:45 | GLCS-ნაძალადევი |
| 16:30 | სამედიცინო-სეუ |
| 17:15 | YMCA-დუშეთი |

ნახევარფინალური მატჩები ხვალ გაიმართება, ფინალი ზეგ.

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

# ამ ყველაფერს დანახვა უნდა...

თვენახევრიან შესვენებაზე პირველი ბოლნისის „სიონი" გავიდა - ოთარ კორღალიძის გუნდი მომდევნო ტურში ისვენებს და მწვრთნელ-ფეხბურთელები ამჟამად დამსახურებულ შვებულებაში არიან. საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატში „სიონის" ასპარეზობა არაერთგვაროვნად უნდა შეფასდეს: სეზონის წინ საკმაოდ გაძლიერებულმა გუნდმა სტარტი მძიმედ აიღო, თუმცა მერე თამაშის ხარისხთან ერთად შედეგიც გააუმჯობესა. დეკემბერში ზედიზედ სამჯერ გამარჯვებამ კი „სიონი" ლიდერთა სამეულს მიუახლოვა და ყველაფერი ეს ლოგიკურადაც მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შემადგენლობის მქონე გუნდს რეალურად ხელეწიფება სამეულისთვის ბრძოლა.

...ზემოთ არაერთგვაროვანი შეფასება შემთხვევით არ გვიხსენებია; თავად განსაჯეთ: „სიონმა" მხოლოდ მეექვსე ცდაზე მოახერხა საშინაო მატჩის მოგება; მაშინ, როცა სტუმრად ბევრად უკეთ ასპარეზობდა და საერთოდაც, ჩემპიონატში ამ მხრივ მეორე მაჩვენებელი აქვს. ეგ კი არა, გასვლით შეხვედრებში ბოლნისელებმა საკუთარ კარში მხოლოდ ორი გოლი გაუშვეს - მსგავსი შედეგით კი ვერც ერთი გუნდი დაიკვეხნის.

„სიონის" მთავარ მწვრთნელს ოთარ კორღალიძეს საკუთარი გუნდის შემოდგომა-ზამთრის ეტაპების შეფასება ვთხოვეთ. ამასთან, სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ...

**- სულ თავიდან დავიწყოთ. სეზონის დაწყების წინ კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?**

- თავდაპირველად, საუბარი იყო ისეთი გუნდის შექმნაზე, ხუთეულში მოსახვედრად რომ იბრძოლებდა. თუმცა მერე, „ამერის" ყოფილი ფეხბურთელების დამატებით უფრო ამბიციური მიზნები გაგვიჩნდა - სამეულისთვის ბრძოლა და თასზე წარმატების მიღწევა.

**- თასზე „სიონის" ასპარეზობაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი „სიონის" არადამაჯერებელ სტარტზე გვინდა გკითხოთ.**

- მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად კი გამოვიყენეთ, მაგრამ აგვისტოს ცნობილმა მოვლენებმა, ძალაუნებურად, ნეგატიური კვალი მაინც დაამჩნია. ვიცოდით, რომ სეზონი 23 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, ამ დროს კი 13 სექტემბრამდე მოგვიწია ლოდინმა. ამას გარდა, სხვა მიზეზებიც იყო...

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- თავდაპირველად დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, თუმცა მერე ერთჯერადზე გადავედით და თამაშზეც აისახა, ოღონდ - უარყოფითად.

**- ანუ, ფეხბურთელებმა დიდ დატვირთვებს ვერ გაუძლეს?**

- პირიქით, სანამ ისევ ორჯერად ვარჯიშებს არ დავუბრუნდით, თამაშის ხარისხი და შედეგი ვერ გამოვასწორეთ. აი, ბოლო სამ შეხვედრაში „სიონმა" რომ თამაში უჩვენა, აშკარად კმაყოფილი დავრჩი.

**- ეს კითხვა, ალბათ, ადრევე უნდა დაგვესვა: აქტიურ სამწვრთნელო ასპარეზს საკმაოდ დიდი პაუზის მერე დაუბრუნდით. ამანაც ხომ არ იქონია გავლენა?**

- ამ მხრივ პრობლემა არ მქონია - ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს მუდამ თვალს ვადევნებდი. ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი, შესაძლოა, ისიც იყო, რომ პირველ ტურში ზუგდიდში გამარჯვებამ, ცოტა არ იყოს, დათვური სამსახურიც გაგვიწია. მთავარი პრობლემა მაინც ზედ სეზონის წინ გუნდში მომხდარი ცვლილებები გახლდათ.

**- ანუ, „სიონის" უამრავ ახალწვეულს ერთმანეთში შესათამაშებლად გარკვეული დრო სჭირდებოდა?**

- თანამედროვე ფეხბურთში, მიმაჩნია, რომ უმთავრესი ყურადღება დაცვას უნდა მიექცეს. არ დაგიმალავთ: უაღრესად კმაყოფილი ვიყავი მოსამზადებელ ეტაპზე „სიონის" დაცვის ხაზის თამაშით. წარმოიდგინეთ, რომ შვიდ საკონტროლო შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით და ისიც - პენალტით. რაც მთავარია, მივაგენით მცველთა ოპტიმალურ ოთხეულსაც, რომლებიც ყველა იმ საკონტროლო მატჩში შეუცვლელად ასპარეზობდნენ. და აი, ამის მერე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ოთხეულიდან სამი კაცი გამოგვაკლდა: კაკაშვილმა და დიდავამ ტრავმები მიიღეს, სილაგაძე კი აზერბაიჯანში გაემგზავრა კარიერის გასაგრძელებლად.

**- ისე, მთლიანობაში, არც ახლა უნდა გქონდეთ მცველების მიმართ სასაყვედურო...**

- გეთანხმებით და ციფრებსაც მოვიშველიებ: სტუმრად ჩატარებულ რვა შეხვედრაში მხოლოდ ორი გოლი გვაქვს გაშვებული; ისიც, ორივე ბოლო წუთებზე: „გაგრასთან" მატჩში მოგონილი პენალტიდან და ზესტაფონში კი - თამაშგარე მდგომარეობიდან. ჰოდა, ამ ყველაფერს... დანახვაც უნდა...

**- „გაგრასთან" სტუმრად ჩატარებულ იმ შეხვედრას, რბილად ვიტყვით და, სკანდალური დასასრული ჰქონდა. თანაც, თქვენი ხმამაღალი და ემოციური განცხადებებიც სკანდალური შინაარსის გახლდათ...**

- იმ შეხვედრამდე მსაჯებზე საერთოდ არაფერს ვამბობდი. მაგრამ „გაგრასთან" მატჩში უკვე მეტისმეტი მოხდა - ბოლო წამზე ასეთ პენალტს, ნეტავ, სადმე თუ დანიშნავდნენ? ამას გარდა, მსაჯების დამკვირვებელსაც ხმამაღლა ვუთხარი ჩემი სათქმელი... ვიცი, ეწყინა; მაგრამ, როგორ მომეთმინა, როცა მსაჯთა იმ დამკვირვებელს... ათ მეტრ-



ოთარ კორღალიძე

ში რა ხდება, იმის გარჩევა უჭირს, და იმას დაინახავდა, რომ პენალტი ასპროცენტიანი იყო?

მეტსაც გეტყვით - ობიექტურობის გრძნობა არ მღალატობს და თუ გახსოვთ, ისიც განვაცხადე, რომ რუსთავში, მსაჯს „სიონის" კარში პენალტი უნდა დაენიშნა-მეთქი.

**- ჩემპიონატის სტარტიდან ლამის ორი თვის განმავლობაში „სიონი" საკუთარ მოედანზე გამარჯვებას ვერ ახერხებდა. როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა იყო?**

- შემთხვევითობაც, უიღბლობაც - „ზესტაფონთან" საშინაო შეხვედრა ბოლო წუთზე წავაგეთ; „დინამოსთან" არაობიექტურმა მსაჯობამაც გარკვეული როლი ითამაშა. თუმცა, იყო შეხვედრები, მეტოქე დიდი ანგარიშით უნდა დაგვემარცხებინა და საბოლოოდ ფრეს ვჯერდებოდით. არადა, ისეთ მომენტებს ანიავებდნენ ჩვენი გუნდის ფორვარდები, ლამის ასპროცენტიანს რომ ვეძახით.

**- „სიონის" ფორვარდების თამაშით, საერთო ჯამში, ალბათ, უკმაყოფილო იქნებით.**

- საბოლოო შედეგი მაშინ მოდის, როცა ფეხბურთელს ოსტატობაც არ აკლია და სეზონის წინაც ნაყოფიერად მოემზადება. აი, ვთქვათ, დავითაშვილი ავიღოთ; ვინმე იტყვის, რომ ამ გამოცდილ თავდამსხმელს ოსტატობა დაეწუნება? ზოგმა, შესაძლოა, ყისმათზეც ისაუბროს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ, ალბათ, საკმარისად არ მოემზადა. თანაც, ირაკლი შენგელიას ტრავმამაც ხელი შეგვიშალა - დაცვის ხაზის არ იყოს, თავდასხმაშიც ბევრი რამის შეცვლამ მოგვიწია. ისე კი, დასამალი არ არის - ყველაზე მეტი პრეტენზია თავდამსხმელებთან მაქვს, ყველაზე ნაკლები კი - ნახევარმცველებთან და მცველებთან. მეკარესაც, რამდენიმე მატჩში, ალბათ, უკეთ შეეძლო თამაში...

**- ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც გვინდა გკითხოთ - სანდრო იაშვილზე...**

- იაშვილი ჩვენთან ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ მოვიდა. მის მონაცემებზე ბევრს არ ვისაუბრებ - ყველას კარგად მოეხსენება. ამასთან, თავისებური ფეხბურთელია - ცდილობდა, რომ მთელ გუნდს... მასზე აეგო თამაში. მე განსხვავებული პრინციპები მაქვს - როგორიგამორჩეული ინდივიდუალისტიც უნდა იყოს, ფეხბურთელი თვითონ უნდა მოერგოს გუნდს. სამ შეხვედრაში თადარიგში დავსვი, მაგრამ ვარჯიშებზე რომ შევხედე, თუ როგორ შრომობდა, მივხვდი, ახალ გუნდთან ადაპტაცია არ უნდა გასჭირვებოდა. ბოლოს, მართლაც, კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ დასანანი ტრავმა მიიღო.

**- საქართველოს თასის მეოთხედფინალში „სიონმა" ორჯერ გაგვაკვირვა: „ლოკომოტივს" სტუმრად რომ მოუგო და მერე, საკუთარ მოედანზე ორბურთიანი სხვაობით რომ დამარცხდა.**

- თასის ნახევარფინალში რომ გავსულიყავით, მაშინ, მართლაც, ვიტყოდი: შემოდგომისა და ზამთრის ეტაპით კმაყოფილი ვარ-მეთქი. სამწუხაროდ, თასზე ასპარეზობას გამოვეთიშეთ და ამით კლუბის ხელმძღვანელებიც გაგვინაწყენდნენ. მართლებიც იყვნენ - წაგების გამო თავზე ხელს არავინ გადაგისვამს...

რაც შეეხება „ლოკომოტივთან" განმეორებით შეხვედრას, მთელი კვირის განმავლობაში ბიჭებს ვაფრთხილებდი, რომ საბოლოოდ გარკვეული ჯერ არაფერი იყო.

**- იმანაც ხომ არ იქონია გავლენა, რომ ათი დღის განმავლობაში „ლოკომოტივს" თბილისში ორჯერ მოუგეთ: ჯერ ჩემპიონატში, მერე - თასზე.**

- რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც იყო. თუმცა, პირველ შემთხვევაში „ლოკომოტივს" ლევან ცქიტიშვილი აკლდა, მეორეჯერ - ვიტალი დარასელია და რატი ალექსიძე. სწორედ ამ გარემოებას ვუსვამდი ხაზს და სამწუხაროდ, ბოლნისურ მატჩში ჩემი შიში გამართლდა. თანაც, მატჩის დასაწყისში იაშვილმა ტრავმა მიიღო; მერე ცქიტიშვილმა „ბურთი დაიჭირა", მისმა და ალექსიძის გამოცდილებამ კი გადამწყვეტი როლი ითამაშა.

**- ჩემპიონატის ახალ ფორმატზე თქვენი აზრი გვაინტერესებს.**

- კენტგუნდიანი პირველობის შემთხვევაში გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისე, ჩემი აზრით, სჯობდა ათგუნდიანი ჩემპიონატი ყოფილიყო ოთხ წრედ.

**- სხვათა შორის, „სიონი" კალენდარს ვერ დაემდურება...**

- გეთანხმებით - „დინამოს", „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" ორ-ორჯერ ვმასპინძლობთ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ რეალურად შეგვიძლია სამეულში მოხვედრა. ოღონდ, ჩვენთვის სასურველ კალენდარს... „გამოყენებაც" უნდა!

**- დაბოლოს, ტრადიციული კითხვა: შესვენების მერე გუნდში რა ცვლილებებს გეგმავთ?**

- ცვლილებები აუცილებლად იქნება და ალბათ, სამ-ოთხ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ. რა თქმა უნდა, ზოგიერთს შეველევით კიდეც და მათი რიცხვი მოწვეულებზე მეტი იქნება. მანამდე კი გეტყვით, რომ „სიონი" 5 იანვარს შეიკრიბება და მზადებას, ალბათ, საქართველოში გავივლით. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფიზმომზადების გამოცდილ მწვრთნელს ავთანდილ ბერიძეს დავიხმართ. არადა, თასის ნახევარფინალში რომ გავსულიყავით, ანთალიაში მოვემზადებოდით. ახლა კი აქაური ტალახის ზელვა მოგვიწევს... .

**გია ტუხაშვილი**

საავარაუდო ტრანსფერი

# შაშიაშვილზე თითქმის შეთანხმდნენ

## ლომაია შტურმში... ჯერ არა

ცოტა ხნის წინ ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრებისა და „შტურმის" მცველ **გიორგი შაშიაშვილით** „ვერდერია" დაინტერესებული. როგორც ჩანს, გარიგება სრულიად რეალურია. საქმე უკვე დაიძრა და შედეგი, წესით, იანვარში ან მაისისთვის უნდა გამოჩნდეს.

„დიახ, ბრემენელებს მართლაც სურთ ჩემი გადაბირება. მეტსაც გეტყვით - „შტურმის" სპორტული დირექტორი ოლივერ კროიცერი უკვე შეხვდა კიდეც „ვერდერის" მესვეურებს. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემს საკითხზე კლუბებს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია. იმასაც არ დავმალავ, რომ „ვერდერი" და „შტურმი" თითქმის მორიგდნენ სატრანსფერო თანხაზეც" - გვითხრა შაშიაშვილმა, რომელიც არდადეგებს სამშობლოში ატარებს.

თუ საქმე აქამდეა მისული, მაშ როდისღა უნდა ველოდოთ ტრანსფერის განხორციელებას? როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, აქ ორი ვარიანტია...

„გერმანელებს ერთ-ერთი მცველის ნაცვლად სურთ ჩემი დამატება. ახლა არ მინდა იმ ფეხბურთელის დასახელება. დიდი შანსია, ის მცველი ამ ზამთარს გაუშვან გუნდიდან. შესაბამისად, ჩემი ტრანსფერიც იანვარში შედგება. მაგრამ ამ ზამთარს თუ არა, მაისიდან ის მცველი ნამდვილად მიდის „ვერდერიდან", რამდენადაც ვიცი, კონტრაქტი უმთავრდება. ძალიან გამიხარდება, თუ ბრემენში იანვარშივე გადავბარგდები. ხოლო თუ ეს სეზონის ბოლოს მოხდა, არც ამით ვიქნები უკმაყოფილო. მინდა, ავსტრიის რომელიმე ტიტულით გავამდიდრო ჩემი კოლექცია და იქნებ, ასეც მოხდეს. სხვათა შორის, თასის მოგების კარგი შანსი გვაქვს. მეოთხედფინალში ვართ გასულები. ჩვენი მეტოქე ვენის „აუსტრიაა". ნახევარფინალისტის ვინაობას ერთი მატჩი გაარკვევს და ამ მატჩში მასპინძლები სწორედ ჩვენ ვართ. დანარჩენი გუნდები კი ნაკლებად ძლიერები არიან და „აუსტრიის" შემდეგ არც ერთი მათგანის დამარცხება არ უნდა გაგვიჭირდეს".

იმაზეც ვწერდით, რომ შესაძლოა, „შტურმს" კიდევ ერთი ქართველი, ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** დაემატოს. ეს თავად შაშიაშვილმაც დაგვიდასტურა და მოსალოდნელ ტრანსფერზე მეტიც გვითხრა:

„გიორგი ლომაიათი „შტურმი" ამ რამდენიმე კვირის წინ დაინტერესდა. თუმცა ამ ტრანსფერის განხილვა დროებით შეჩერებულია. არა, მოლაპარაკება ჩიხში არ შესულა, უბრალოდ, ჩვენს კლუბში ფინანსური საკითხებია გასარკვევი. არადა, ლომაიას დარი მეკარე მართლაც გვჭირდება. გიორგი მართლაც კარგი გოლკიპერია. როგორ ფიქრობთ - ექტორ კუპერი ტყუილად დააბრუნებდა ეროვნულ ნაკრებში? ერთი მეკარის დამატება ჩვენს გუნდს ისედაც სურდა. ამჟამად, სამი კი არა, ორი კიპერი გვყავს - ერთი ძირითადი და ერთიც მესამე მეკარე, თან ეს უკანასკნელი ძალიან ახალგაზრდა და შესაბამისად, გამოუცდელია. რამე რომ მოხდეს, როგორ გინდა, გამოუცდელს კარი ანდო? მოკლედ, ამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ლომაიას ტრანსფერზე იანვარში უფრო გააქტიურდება მოლაპარაკებები".



გიორგი შაშიაშვილი

როგორც ირკვევა, „შტურმის" ინტერესში კიდევ ერთი ქართველი, ბოლნისის „სიონის" ფორვარდი **სანდრო იაშვილი** იყო. იაშვილის საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ არ მოხსნილა. თუმცა, როგორც შაშიაშვილმა გვითხრა, გრაცელები უფრო ტანმაღალ ფორვარდზე აკეთებენ აქცენტს.

ერთი სიტყვით, ახლა ევროპაში საშობაო არდადეგებია და ბევრი რამ იანვარში გადაწყდება. ვნახოთ, ქართველებიდან ვინ დაემატება და ვინ გამოაკლდება გრაცის „შტურმს"...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი მწვრთნელი

ინტერვიუ თამაზ პერტიასთან

# ანჩელოტიმ ტაქტიკურ ნიუანსებში გამარკვია

**თამაზ პერტიამ** ფეხბურთელის კარიერა ლატვიურ „ვენტსპილსში" ჩაამთავრა. ეს ერთი წლის წინ იყო, სეზონის ბოლოსთვის კი უკვე „დინაბურგის" (ლატვიის უმაღლესი ლიგა) მწვრთნელის ამპლუაშიც მოგვევლინა. მეოთხე ადგილი სადებიუტო სეზონში - ასეთია პერტიას მონაგარი...

გუშინწინ რიგაში შედგა იქაური საფეხბურთო სამყაროს თავყრილობა, სადაც ბოლო ჩემპიონატის გამორჩეული სახეები დააჯილდოეს. ღონისძიებას ორი ქართველი - ჩემპიონ „ვენტსპილსის" ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი და „დინაბურგის" თავკაცი თამაზ პერტია ესწრებოდა. ეს უკანასკნელი ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად დაასახელეს. ამ და სხვა თემებთან დაკავშირებით პერტიას ინტერვიუ ვთხოვეთ...




თამაზ პერტია

**- უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ლატვიის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად აღიარებას...**

- მადლობა თქვენც და იმ ხალხსაც, ვინც ჩემი შრომა დააფასა. მეამაყება, რომ ეს წარმატება პირველად იმ გაზეთმა მომილოცა, რომელსაც ბავშვობიდან ვკითხულობდი, რომელზეც აღვიზარდე...

**- დასრულებულ სეზონში „დინაბურგის" ასპარეზობა ყველამ წარმატებულად შეაფასა და არც თქვენ უნდა იყოთ უკმაყოფილო. თუმცა მწვრთნელები, როგორც წესი, ბოლომდე კმაყოფილები არასდროს არიან...**

- დიახ, არსებული პირობებიდან და მოთამაშეთა კონტინკენტიდან გამომდინარე, მედიამ, სპეციალისტებმა, ფედერაციამ და პროფესიულმა ლიგამაც „დინაბურგის" გამოსვლა წარმატებულად შეაფასა. ამ შეფასებას ეთანხმება ჩვენი კლუბის პრეზიდენტი ოლეგ გავრილოვიც. თუმცა... თქვენ მართალი ხართ - ისევე, როგორც ყველა მწვრთნელი, მეც მაქსიმალისტი ვარ და ბოლომდე კმაყოფილი ვერ ვიქნები, მეტი შეგვეძლო. ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა - რომ არა გაუთავებელი ტრავმები, უკეთესი შედეგი გვექნებოდა.

**- უკვე სადებიუტო სეზონში ისეთი გუნდი ჩამოაყალიბეთ, რომელსაც „კერკეტ კაკალს" უწოდებენ ხოლმე. „ლელოსთან" საუბარში დავით გამეზარდაშვილმაც აღნიშნა - ამ ჩემპიონატში პერტიას გუნდმა გაგვამწარა, „დინაბურგთან" ქულები რომ არ დაგვეკარგა, ჩემპიონები გავხდებოდით...**

- (იცინის) მართალი უთქვამს... „სკონტო" ნამდვილად გავამწარეთ - სტუმრად 3:0 მოვუგეთ. აქამდე, „სკონტოს" „დინაბურგთან" შინ 12 წლის განმავლობაში არ ჰქონდა წაგება. ამას გარდა, მეორე წრეში ეს გუნდი საკუთარ მოედანზეც 3 „მშრალი" გოლით დავამარცხეთ, ჩემპიონ „ვენტსპილსსა" და ვერცხლის პრიზიორ „მეტალურგსთან" კი ქულები გავიყავით...

**- აღნიშნეთ, უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლოო. მხოლოდ ტრავმებმა შეგიშალათ ხელი?**

- ძირითადი მიზეზი სწორედ ეს იყო. სასტარტო შემადგენლობის 4 ფეხბურთელი დაგვიშავდა და მათი სრულფასოვნად შეცვლა ვერ მოვახერხეთ. მეორე წრე მეორე ადგილზე ჩავამთავრეთ და ამ პოზიციას შევინარჩუნებდით კიდეც, შუა ჩემპიონატისას ფეხბურთელები რომ დაგვემატებინა. თუმცა ჩვენი კლუბის ბიუჯეტმა ამის საშუალება არ მოგვცა, გუნდი ვერ გავაძლიერეთ და იმ კონტინგენტით მოგვიწია დაკმაყოფილებამ, ვინც გვყავდა, თორემ... კიდევ ერთხელ ვამბობ - ბრინჯაოს მედლებს მაინც მოვიგებდით.

**- გუნდში ორი ქართველი გყავდათ - ბექა გიორგაძე და პაატა დათუნაიშვილი. ისინი სეზონის დასრულებამდე გამოგაკლდნენ. რას გვეტყოდით მათზე?**

- გიორგაძე მცველია, დათუნაიშვილს კი „ვიტ ჯორჯიიდან" ალბათ ბევრი იცნობს. ჩვენი გუნდისთვის ორივე საჭირო ფეხბურთელია და აუცილებლად დავიბრუნებთ. უბრალოდ, სავიზო პრობლემა შეიქმნა, საკმარისი საბუთები არ ჰქონდათ. ამ საქმეს მალე მივხედავთ და ორივე კვლავ „დინაბურგში" ითამაშებს.

**- სატრანსფერო პერიოდში რომელიმე ქართველის დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- არ გამოვრიცხავ. ორ ფეხბურთელზეა ლაპარაკი და... ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**- ამ ორი ფეხბურთელის ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?**

- ჯერ თავს შევიკავებ. იმას კი გეტყვით, რომ ერთი მეკარეა, მეორე კი ნახევარმცველი.

**- ცნობილი ფეხბურთელები არიან თუ...**

- გაგონილი გექნებათ, ახალგაზრდები არიან. რამდენადაც ვიცი, 21-წლამდელთა ნაკრებში აქვთ ნათამაშები. როგორც გითხარით, ჯერ მათი საკითხი გადაწყვეტილი არ არის, თან ვიდეოჩანაწერების ნახვაც მინდა, რათა წინასწარვე გარკვეული წარმოდგენა მქონდეს. მერე კი კლუბის მესვეურებთან ერთად გადავწყვეტთ, ავიყვანოთ ეს ფეხბურთელები თუ არა.

**- სხვა კლუბის მწვრთნელობაც შემოუთავაზებიათ თქვენთვის. თურმე, „ვენტსპილსში" მუშაობაზე იყო ლაპარაკი. მეორე მწვრთნელობას გთავაზობდნენ?**

- არა, ქალაქ ვენტსპილსს ორი გუნდი ჰყავს. ერთი - თავად ჩემპიონი, ხოლო მეორეა „ვინდავა". სწორედ „ვინდავას" მწვრთნელობაზე ჩამომიგდეს სიტყვა. ამ კლუბის ბაზაზეც მიმიწვიეს, დამათვალიერებინეს, მაგრამ... საქმე ისაა, რომ „დინაბურგთან" მომდევნო სეზონის ბოლომდე მაკავშირებს კონტრაქტი და კლუბის შეცვლაზე არ ვფიქრობ.

**- ამბობენ, დაუგავპილსი, სადაც თქვენ მუშაობთ, ლატვიაში გამორჩეულად „რუსული" ქალაქიაო...**

- მართალია. აქ ყველაზე ბევრი რუსი ცხოვრობს - თითქმის 30 პროცენტი. თუმცა მე პირადად, არანაირი პრობლემა არ შემქმნია, ყველასთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა მაქვს და ჩემს საკეთებელს უხმაუროდ ვაკეთებ...

**- აგვისტოს მოვლენების დროს ტელევიზიაშიც მიგიწვიეს თურმე. პოლიტიკურ დებატებში მიგიღიათ მონაწილეობა...**

- კი, იყო ასეთი რამ. სტუდიაში, ჩემს გვერდით, რუსეთის კონსული იჯდა. აზრი მკითხეს აგვისტოს ომზე. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ინტერესები დავიცავი, თუმც იქვე დავამატე - სპორტსმენი, მწვრთნელი ვარ და პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, ქართველები აგრესორები და ომის მოსურნე ხალხი არ ვართ-მეთქი...

**- კარგი... ახლა სხვა თემაზე გადავიდეთ. რომელი კატეგორიის სამწვრთნელო სერტიფიკატი გაქვთ?**

- A კატეგორიის მწვრთნელი გახლავართ. მომდევნო წლის ბოლოს უკვე PRO კატეგორიის ლიცენზიაც მექნება.

**- ახლახან, მილანში თურმე კახა კალაძეს სტუმრობდით...**

- მე და კახა გლდანში წლების განმავლობაში მეზობლად ვცხოვრობდით და დღესაც ვმეგობრობთ. ის ბევრს მეხმარება და ახლა მწვრთნელი რომ ვარ, ამაში მასაც მიუძღვის დიდი წვლილი. კალაძესთან მილანში უკვე მეორედ ვიყავი... სამი დღეა, რაც დავბრუნდი...

**- ეს მარტო მეგობრული ვიზიტი არ იქნებოდა...**

- აკი გითხარით, კახა მეხმარება-მეთქი. შარშან არ მოხერხდა, მაგრამ წელს უკვე მომეცა შესაძლებლობა, „მილანის" ვარჯიშებსაც დავსწრებოდი. კარლო ანჩელოტიც გავიცანი... უბრალო, კონტაქტური ადამიანია, პროფესიულ დონეზე აღარაფერს ვიტყვი. მასთან საუბრისას ბევრ სამწვრთნელო ნიუანსს ჩავწვდი, გამოცდილება გავიმდიდრე...

**- „დინაბურგი" „მილანის" სქემით ხომ არ თამაშობს?**

- სწორედაც რომ. მთელი სეზონი 4-3-2-1 სქემით ვითამაშეთ. ანჩელოტიმ ამ ტაქტიკურ ნიუანსებშიც გამარკვია. ერთი სიტყვით, მილანიდან ერთობ კმაყოფილი დავბრუნდი...

**- და ბოლო კითხვა: რა მიზანი ექნება „დინაბურგს" ახალ სეზონში?**

- პირველ რიგში, გუნდი როგორმე უნდა გავაძლიეროთ, თუნდაც მცირედით. ფინანსურად, ლატვიაში ყველაზე ძლიერი „სკონტო", „მეტალურგსი" და „ვენტსპილსი" არიან. თუმცა ამ სეზონში ჩვენზე შეძლებულ კლუბებსაც ვაჯობეთ. ვფიქრობ, მომავალ ჩემპიონატში სამეულისთვის ვიბრძოლებთ და იმედიც მაქვს, საპრიზო ადგილის გარეშე არ დავრჩებით.

დავით ცაბაძე

მოსაზრება

# გემოვნებაზე სწორედაც რომ დაობენ

**ჰექტორ კუპერი** ნაკრებში აღარ იწვევს **გოგიტა გოგუას** და თუ არა გემოვნება, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? მივყვეთ თანმიმდევრობით.

ხასიათი - გოგუა რომ მაგარი მებრძოლია, ამაზე ნამდვილად არავინ კამათობს. ურთიერთობა - მასზე თუ ამბობენ, რომ კონფლიქტურია, ეს მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას და ფაქტებით გამყარდეს. უნივერსალიზმი - გოგუას შეუძლია, ითამაშოს დაცვის ორივე ფლანგზე, საყრდენ ნახევარმცველად, გამთამაშებლად, ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე და გარემარბადაც...

სხვა თვისებების ჩამოთვლაც შეიძლება - ის ძალიან მოქნილია, ორივე ფეხით ძლიერი დარტყმა აქვს, დაუღლელია, შეუძლია თამაშის საკუთარ თავზე აღება...

ნაკლი: ზედმეტი შეუპოვრობის გამო ხშირად მიუღია ყვითელი თუ წითელი ბარათი, მაგრამ ბოლო დროს ნალჩიკის „სპარტაკის" მწვრთნელი **იური კრასნოჟანი** მას შეტევაში ათამაშებს და მისი წითელი ბარათების საფრთხეც მინიმუმამდეა დასული.

კიდევ ერთი არგუმენტი გოგუას სასარგებლოდ - საქართველო ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით. გოგუას ევროპაში ჯერ არ გაუჭრია ფანჯარა, მაგრამ ვისაც მისი საუკეთესო თამაშები ახსოვს, ნაკრებსა თუ „თბილისში", ვერ იტყვის, რომ გოგუა თანამედროვე ფორმაციის ფეხბურთელი არ არის.

...7 წლის წინ გოგიტა თბილისის „დინამოს" მეორე გუნდის ფეხბურთელი იყო. კლუბში ხელმძღვანელობა და მწვრთნელები რომ შეიცვალნენ, გოგუა „დინამოდან" გაუშვეს. როგორც ჩანს, მასში პერსპექტივა ვერ დაინახეს. გოგუა მწვრთნელ **ჯემალ ჩიმაკაძის** გამოზრდილია, ვის ხელშიც გაუვლიათ ძმებ **არველაძეებსა** და უმცროს **მიშა მესხს**. ჩიმაკაძე უნიჭოს ხელს არ მოჰკიდებდა. 2001 წელს ის იყო „დინამო 2"-ის მწვრთნელი და მასაც მოუწია იქიდან წასვლამ.

მოკლედ, გოგუა უგუნდოდ დარჩა, ჩიმაკაძე კი არ ეშვებოდა, არწმუნებდა - მაღალ დონეზე შეგიძლია თამაში და არ მოეშვაო. გოგიტაც ვარჯიშობდა, ფეხბურთს უბანში თამაშობდა... სხვათა შორის, აწ განსვენებული ჩიმაკაძის რეკომენდაციით ის ტანვარჯიშზეც დადიოდა. „დინამოდან" გაშვებულ გოგუას ახალი გუნდი უცბად არ მოუძებნია, ერთი ხანობა ფეხბურთისთვის თავის დანებებაც ჰქონდა გადაწყვეტილი...

2003 წელს ის „თბილისში" მივიდა სინჯებზე. გოგუა დაიტოვეს და ნახევარ სეზონში გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა.




2005 წლის ზამთარში „თბილისი", ფაქტობრივად, დაიშალა. გოგიტა „დინამოში" მიიწვიეს, ესპანურ შეკრებაზეც წაიყვანეს, მაგრამ... ტრანსფერი არ შედგა. **შოთა არველაძის** დახმარებით, მას შეეძლო, ამსტერდამის „აიაქსში" გასინჯვაზე წასულიყო, მაგრამ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი არჩია - რუსეთის პირველი ლიგის კლუბ „ხიმკისთან" გააფორმა კონტრაქტი. ვინ იცის, „აიაქსში" რომ წასულიყო, როგორ აეწყობოდა მისი კარიერა. მაშინ გოგიტა 19 წლის იყო და ამ ასაკში ძალიან ძნელია სწორი გადაწყვეტილების მიღება...

კუპერის გარდა, გოგუაზე ხელი საქართველოს ნაკრების არც ერთ დამრიგებელს არ ჩაუქნევია. **ალენ ჟირესი, გაიოზ დარსაძე** და **კლაუს ტოპმიოლერი** მას ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფეხბურთელად მიიჩნევდნენ, გამონაკლისი კუპერი გამოდგა.

მწვრთნელის შეხედულებებშიც იცვლება ხოლმე რაღაც-რაღაცები, ყველაფრის შეცვლა კი შეუძლებელია, მაგრამ გოგუას არ მისცე სანაკრებო შანსი... ვფიქრობ, ამ შემთხვევაში კუპერი თავის პოზიციას, ალბათ, შეცვლის. არგენტინელმა ნაკრებისთვის საქართველოს ჩემპიონატში გამოძებნა ფეხბურთელები და ეს ძალიან კარგია, ოღონდაც, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. კუპერმა ბოლო „სამშაბათობაზე" ლეგიონერებსაც უხმო და... გოგუა მათ შორისაც არ მოხვდა.

ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო. რატომ არის ეს დოგმა? - ხშირ შემთხვევაში სწორედაც რომ დაობენ. ესეც რომ არა, ნაკრები კლუბი არ არის და მწვრთნელი მოვალეა, საუკეთესოებს მოუყაროს თავი. დიახ, საქართველო ღარიბია კარგი ფეხბურთელებით, ეს ყველამ ვიცით და კუპერიც ვერ დაგვაბრმავებს.

და მაინც, რატომ არ მოსწონს ნაკრების დღევანდელ დამრიგებელს გოგუა? თუ არგენტინელი ზოგადი ფრაზებით არ შემოიფარგლება, ამ კითხვაზე პასუხი მართლაც საინტერესო უნდა იყოს.

გოგუას ფეთქებადი ხასიათი აქვს და ნაკრების კულისებიდან ხშირად გამოუჟონავს კიდეც უსიამოვნო ხმებს. ის თავისებური ტიპია, თუმც მასზე ვერავინ იტყვის, რომ რეჟიმს არ იცავს და ყალთაბანდობს. მარტივად რომ ვთქვათ, გოგუა კარგი ფეხბურთელია და ალბათ, ადრე თუ გვიან, მისთვისაც გამოიძებნება ადგილი კუპერის გუნდში...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ბარსელონამდე

# იქამდე უნდა მიხვიდე, იშრომო და ერთ ადგილას არ გაჩერდე...


გიორგი ჭანტურია

**გიორგი ჭანტურია** საქართველოში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ადამიანია. 15 წლის ბიჭი „ბარსელონამ" აიყვანა. გიორგი დროებით სამშობლოში დაბრუნდა, ახალი წლის შემდეგ მას კვლავ ელიან კატალონიურ გრანდში. ამჟამად კი დროს ტყუილად არ კარგავს და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში" ვარჯიშობს, თან 16 და 17-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა. რაკი ქართველი ფეხბურთელის „ბარსელონაში" ჩარიცხვა თავისთავად მოვლენაა, თემას ამიტომაც ვუბრუნდებით...

**- „ბარსელონაში" ვარჯიში დიდი ბედნიერებაა. შთაბეჭდილებებით იქნები სავსე...**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის ყველაფერი დასამახსოვრებელი იყო, თუნდაც ის, რომ „ბარსელონის" ფორმა გადმომცეს...

**- რომელი ნომრით თამაშობდი?**

- თერთმეტნომრიანი მაისურა მომცეს. სხვათა შორის, ეს ნომერი მე არ ამირჩევია, მათი ინიციატივა იყო.

**- როგორც შევიტყვეთ, „ბარსელონის" 15-წლიანთა გუნდში უცხოელები თითქმის არ არიან...**

- კი, არიან, ჩემ გარდა, ორი კამერუნელიც ვარჯიშობდა. ისინი სამუელ ეტოოს ჩაუყვანია, მე კი იქ „საბურთალოს" პრეზიდენტ ტარიელ ხეჩიკაშვილის კავშირების წყალობით მოვხვდი. საერთოდ, კატალონიელები საფეხბურთო სკოლაში უცხოელებს თითქმის არ იწვევენ, კამერუნელებიც ეტოოს პროგრამის ფარგლებში აიყვანეს.

**- სულ რამდენი მატჩი გამართე და რამდენი გოლი გაიტანე?**

- ოთხ მატჩში 4 გოლი გავიტანე და ორიც საგოლე გადაცემა გავაკეთე.

**- ნუთუ, ფიზიკურ მომზადებაში იქაურებს მართლა არ ჩამორჩებოდი?**

- თუ დამიჯერებთ, არანაირი განსხვავება არ ყოფილა.

**- შენი აზრით, რამდენად რეალურია, რომ დიდ „ბარსელონამდე" მიხვიდე? არადა, ეს გზა ძალზე რთულია...**

- ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, არა მხოლოდ ჩემს მონდომებაზე, რასაც ნამდვილად არ მოვაკლებ.

**- „ბარსელონაში" ვარჯიშის შემდეგ აქაურ პირობებთან ხელახლა შეგუება არ გაგიჭირდა?**

- ჩემთვის სტიმულია ის, რომ „ბარსელონაში" უნდა წავიდე. 5 იანვარს დამიბარეს, გუნდი 7-ში იკრიბება და მეტი რა განწყობა მინდა?

**- ახლა ისვენებ?**

- არა, გიორგი დევდარიანთან ვვარჯიშობ, „საბურთალოს" სკოლაში...

**...თემურ ფოცხვერია გიორგის ბავშვობის მწვრთნელია. საფეხბურთო აკადემია „ოლიმპში" ჭანტურიას 7 წლის განმავლობაში ავარჯიშებდა. ახლა ორივე „საბურთალოშია". აი, რას ამბობს მწვრთნელი, რომლის გაზრდილი ფეხბურთელიც „ბარსელონამ" მოიწონა...**

- გიორგი 5 წლის იყო, მამუკა ფანცულაიასა და სოსო მუხიგულაშვილთან რომ ვარჯიშობდა. მერე მამამისმა ჩემთან, „ოლიმპში" მოიყვანა და მაშინ უკვე ვიცნობდი, რადგან ჩვეულებრივზე ზედმეტი სითამამითა და... გნებავთ, საფეხბურთო „თავხედობით" დამამახსოვრა თავი. შევეცადე, რომ სილაღე შეენარჩუნებინა და პარალელურად უფრო დახვეწილიყო. გავიდა დრო და მოედანზე ქცევითაც სანიმუშო გახდა. ისეთი ხასიათი აქვს, წაგებას ვერ ეგუება. შეკრებაზე ნარდის თამაში ვასწავლე და პირველივე ხელის მოგება უნდოდა. წაგებაზე მწარდება, ხომ გითხარით, მარცხს ვერ ეგუება. ასეთი მაქსიმალისტი იშვიათია. თავის დამკვიდრების საოცარი უნარი გააჩნია. უნდა, რომ ყველგან ლიდერი იყოს, ამისკენ მიილტვის და არის კიდეც ბუნებით ლიდერი. საერთოდ, ფეხბურთში მტკიცე ხასიათის გარეშე ვერაფერს მიაღწევ, მამაკაცური თვისებებია საჭირო, მას კი ეს ნამდვილად ახასიათებს.

**- ...თუმცა მას ჯერ დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, ძალიან ბევრი ექნება დასახვეწი...**

- ბევრი რამ კი არა, ყველაფერი უნდა დახვეწოს. ჯერ ხომ 15 წლისაა, ფაქტობრივად, ბავშვია. მას რომ სურს, იმ დონის მისაღწევად დიდი და რთული გზა აქვს გასავლელი. ეს კი მხოლოდ დიდი შრომითაა შესაძლებელი. ისე, თუ ფიქრობთ, რომ პატარა „ბარსელონაში" მოხვედრით უკვე კმაყოფილი იქნება, ძალიან ცდებით. დარწმუნებული ვარ, ვერ მოისვენებს, სანამ დიდ „ბარსელონაში" არ ითამაშებს. ეს მის ხასიათში ზის, სულ უკმაყოფილოა, უფრო მეტი უნდა, მუდმივად აქვს წარმატების წყურვილი. დარწმუნებული ვარ, „ბარსელონაში" რომ მოხვდეს, წინსვლისთვის მერე სხვა სტიმული გაუჩნდება.

**- ნიჭიერ ქართველებს სიზარმაცე ახასიათებთ. ვითომ, გიორგი გამონაკლისია?**

- არა, რა ზარმაცი, უბურთოდ ვერ ძლებს. არ მახსოვს, ვარჯიში გაეცდინოს. თუ არ გააჩერე, სახლში არ წავა... თუმცა ყველაზე მეტი შრომა ახლა დასჭირდება, დიდ ფეხბურთში რომ დაიმკვიდროს ადგილი.

**- დიდი ხანია ბავშვთა ფეხბურთში მუშაობთ და საინტერესოა, ნიჭიერი ბავშვები ძველებურად მოდიან?**

- სხვათა შორის, თავად გიორგიმ გვითხრა, რომ „ბარსელონაში" ჩვენი, „საბურთალოს" რამდენიმე ფეხბურთელი თავისუფლად ითამაშებს. მთავარია, იქამდე მიხვიდე, იშრომო და ერთ ადგილას არ გაჩერდე. შრომა ბევრს ნიშნავს და ეს იცის ჭანტურიამ და იციან მისმა თანაგუნდელებმაც.

**მერაბ მამულაშვილი**

გამოკითხვა

# კვირკველია პოსტსაბჭოეთში მესამეა

## გოგუა და ამისულაშვილი, უბრალოდ, საუკეთესოებში

„სოვეტსკი სპორტმა" რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელა. ახლო უცხოეთის ლეგიონერებში (აქ პოსტსაბჭოელებს ასახელებენ) ერთდროულად სამი ქართველი მოხვდა: მესამე ადგილზე ყაზანის „რუბინის" მარცხენა მცველი **დავით კვირკველია** გავიდა. 28 წლის ფეხბურთელის საშუალო სეზონური შეფასება 5,71 ქულაა.

მეშვიდე პოზიციაზეა ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველი ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**. მისი მაჩვენებელი 5,41 ქულას შეადგენს, მერვე ადგილზე კი გოგუას თანაგუნდელი, ცენტრალური მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** გახლავთ - 5,32.

ამ ნომინაციაში უკრაინელებმა პირველი-მეორე ადგილები არავის დაუთმეს. გამარჯვებულია „ზენიტის" კაპიტანი **ანატოლი ტიმოშჩუკი**, ხოლო მეორეა ყაზანის „რუბინის" თავდამსხმელი **ანდრეი რებროვი**. სულ, ათეულში 4 უკრაინელი, 3 ქართველი და თითო-თითო ბელარუსი, ლიტველი და მოლდოველი მოხვდა.

კვირკველია ნომინანტი გახდა მარცხენა მცველების გამოკითხვაშიც. მას მოსკოველმა არმიელმა **ანდრეი ბერეზუცკიმ**, „ზენიტში" მოთამაშე ჩეხმა **რადეკ შირლმა** და „რუბინის" არგენტინელმა **კრისტიან ანსალდიმ** გადაუსწრეს. ქართველი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

უცნაურია, რომ კვირკველია და ანსალდი ნომინაციაში გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ, არადა, ისინი თანაკლუბელები არიან. დავითმა პრემიერლიგაში 24 შეხვედრა გამართა, კრისტიანმა კი 27. მთელი უცნაურობაც ისაა, რომ ანსალდი მარჯვენა მცველია და მარცხენაფლანგელად მხოლოდ ორ მატჩში ითამაშა, როცა კვირკველია ტრავმირებული გახლდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი — შეჯამება. იტალია


ლევან მჭედლიძე



კახა კალაძე

# ქართული გოლი ორწლიანი პაუზის შემდეგ

პირველად მოხდა, რომ იტალიურ სერია A-ში ერთდროულად ორი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. დიდი ხნის შესვენების შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში ქართული გოლი გავიდა და... პირველი შემთხვევაა, რომ ამ გოლის ავტორი არ არის **კახა კალაძე**. სერია A ჩვენთვის მართლაც რომ საიმედოდ დაიწყო - ქვედა ლიგაში გავარდნილმა „ემპოლიმ", ზედ სეზონის დაწყების წინ, მწვანე შუქი აუნთო 18 წლის ნიჭიერ ახალგაზრდა **ლევან მჭედლიძეს** და „პალერმოსკენ" დაულოცა გზა. მჭედლიძემ სიცილიური კლუბის ვარდისფერი („როზანერო"), 99-ნომრიანი მაისურა მოირგო და... 5 ოქტომბერს ტურინში „იუვენტუსს" გამარჯვების გოლიც გაუტანა („პალერმომ" ის თამაში 2:1 მოიგო). არადა, გოლამდე, ორი მატჩის ჯამში, ლევანს სერია A-ში მხოლოდ 35 წუთი ჰქონდა ნათამაშები...

კალჩოს მთავარ ლიგაში ბოლო „ქართული" გოლი 2006 წლის 14 ოქტომბერს გავიდა, როცა შეცვლაზე შესულმა კალაძემ „სამპდორიასთან" მატჩში ანგარიში გაათანაბრა. ორწლიანი უგოლო პაუზა კი მჭედლიძემ შეწყვიტა. სამწუხაროდ, შესანიშნავ დასაწყისს შესაფერისი გაგრძელება არ მოჰყოლია. ამის მიზეზი ყველამ იცის - ტვინის შერყევა, რომელიც ლევანმა ნაკრებში თამაშისას მიიღო. გამოჯანმრთელების შემდეგ კი მან ფორმის აღდგენა ველარ შეძლო. სეზონის პირველ ნახევარში მცირედით დავკმაყოფილდეთ - მჭედლიძემ ოთხჯერ ითამაშა (ოთხჯერვე შეცვლაზე), ორჯერ კი სათადარიგო იყო. ჯამში მან მოედანზე 65 წუთი დაყო და ერთი გოლი გაიტანა, ხოლო „პალერმომ" სეზონის ეს ნაწილი 23 ქულით მე-10 ადგილზე ჩაამთავრა.

„მილანის" რიგებში უკვე მე-8 სეზონს ატარებს საქართველოს ნაკრების კაპიტანი და ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა საფეხბურთო გრანდში ამდენი ხნის განმავლობაში თამაშობს ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენელი. წლევანდელ სეზონში კახამ 17-დან 10 მატჩში (9-ჯერ სასტარტო შემადგენლობაში) მიიღო მონაწილეობა. მას გოლით ან საგოლე პასით არ გამოუჩენია თავი, თუმცა სამჯერ კი გააფრთხილეს. „მილანის" არ იყოს, ამ სეზონში უშუალოდ კალაძესაც ხშირად ჰქონდა ჩავარდნა, მაგრამ ამ სიტუაციაშიც კი „როსონერის" დაცვის ხაზში ის მაინც გამორჩეული იყო. „მილანი" 33 ქულით მესამე ადგილზეა და საჩემპიონო ამბიციას ჯერაც ინარჩუნებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეტოქე — ბულგარეთი

# ნაცნობი ტოპმიოლერი არა, ნაცნობი სტოილოვი

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრების მეტოქე ბულგარეთის ეროვნულ გუნდს მალე ახალი თავკაცი ეყოლება. **პლამენ მარკოვის** წასვლით გაჩენილი ვაკანსიის შესავსებად არაერთი კანდიდატურა განიხილებოდა, მათ შორის, ჩვენი ნაკრების ყოფილი მესაჭე **კლაუს ტოპმიოლერიც**. მან ბულგარელ ჟურნალისტებს განუცხადა კიდეც, რომ მუშაობაზე თანახმა იყო. თუმცა იქაურმა საფეხბურთო კავშირმა არჩევანი მაინც ადგილობრივ სპეციალისტზე შეაჩერა.

ახალი მწვრთნელი „ლიტექსის" თავკაცი **სტანიმირ სტოილოვი** იქნება. მართალია, საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე ეს ინფორმაცია არ დევს, მაგრამ გაზეთ „მერიდიან მატჩს" ცნობა სწორედაც საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებმა დაუდასტურეს.

რამდენიმე შტრიხი სტოილოვის სამწვრთნელო ბიოგრაფიიდან: „ლიტექსამდე" ის „ლევსკის" წვრთნიდა და საკმაოდ წარმატებითაც. 2006 წელს მან გუნდი უეფას თასის მეოთხედფინალამდე მიიყვანა. სხვათა შორის, ეს ის სტოილოვია, რომლის „ლევსკისაც" საქმე ჰქონდა ბოლნისის „სიონთან" - წლინახევრის წინ, ბულგარულმა გრანდმა იმხანად საქართველოს ჩემპიონი ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით, 2:0 დაამარცხა.

სხვათა შორის, სტოილოვისთვის ეროვნული გუნდი მთლად ახალი ხილიც არაა. ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში, როცა **ხრისტო სტოიჩკოვი** პოსტიდან გადადგა, ბულგარეთის ნაკრებს ბელარუსთან დარჩენილ ორ მატჩში სწორედ სტოილოვმა უხელმძღვანელა და ორივე შეხვედრაში გაამარჯვებინა. ეგ იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბულგარულ პრესასთან საუბარში „ლიტექსის" პრეზიდენტმა **გრიშა განჩევმა** სტოილოვის დათმობაზე საფეხბურთო კავშირს ოფიციალური თანხმობა განუცხადა, კავშირის ბოსმა **ბორისლავ მიხაილოვმა** კი დასძინა - ახალ მწვრთნელთან კონტრაქტს იანვარში, საახალწლო დღესასწაულების შემდეგ გავაფორმებთო. ხელშეკრულების პირობებზე მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმერია



# საქართველოს ნაკრები გადარჩა

## არკონადას ნაცვლად უგო სანჩესი დაინიშნა

ალმერიული სპეკულაცია მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა. პროვინციული კლუბის პრეზიდენტმა **ალფონსო გარსიამ** უარყოფითი შედეგების გამო მთავარი მწვრთნელი, სენიორ **არკონადა** თანამდებობიდან გადააყენა. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ მის ნაცვლად **ექტორ კუპერს** დანიშნავდნენ. საბედნიეროდ „დიარიო მრკას" მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჭორი გამოდგა და სხვა არაფერი. საქართველო ძლიერი მწვრთნელის დაკარგვას გადაურჩა...

გუშინ სენიორ გარსიამ სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ლეგენდარული ფორვარდი **უგო სანჩესი** დანიშნა. ეს გადაწყვეტილება მოულოდნელთან ერთად სარისკოდაც მიიჩნევა, რადგან ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ მექსიკელი სპეციალისტი კრიზისში ჩავარდნილი გუნდის გამოყვანას ვერ შეძლებს. კრიტიკის უფლება ყველას აქვს, მაგრამ თავად სანჩესი დარწმუნებულია, რომ სამუშაოს ალღოს მალე აუღებს და გუნდს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხეს ააცილებს: *„გუნდის ხელმძღვანელობას ნდობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ. „ალმერიის" ხელმძღვანელობის წინადადება ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. მოსაფიქრებელი დროც კი არ მქონდა. ვიცი, რომ ჩემი წინამორბედის გადაყენებაზე სერიოზულად ფიქრობდნენ, მაგრამ ამის პარალელურად ჩემთან მოლაპარაკებას არავინ აწარმოებდა. ძალიან მძიმე დროს მიხდება მუშაობის დაწყება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სიტუაციას მალე გამოვასწორებთ. ერთობლივი მუშაობით და ახალი იდეებით კრიზისს თავს დავაღწევთ. მჯერა, რომ ინტერტოტოზე მოხვედრის შანსი გვაქვს. შესაძლოა, მოვლენათა სასიკეთო სცენარით განვითარების შემთხვევაში უეფას თასის საგზურსაც შევწვდეთ."*

ინტერვიუ

კარიმ ბენზემა

# მე რეალში? ეს მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული

## ფრანგი ფორვარდი ლიონიდან წასასვლელად ემზადება

**გუშინ** „კანალ პლუსის" ეთერით კარიმ ბენზემას ინტერვიუ გადაიცა. სპორტული არხის ჟურნალისტთან საუბარში ფრანგმა ფორვარდმა განაცხადა, რომ „ლიონიდან" წასვლასა და კარიერის ესპანეთში გაგრძელებაზე ოცნებობს. ბენზემას საოცნებო გუნდი მადრიდის „რეალი" ყოფილა. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელია ის, რადგან ცოტა ხნის წინ „ბარსელონაში" გადასვლის პერსპექტივაზეც ალმაფრენით საუბრობდა. ახლა კი, როცა სამეფო კლუბი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა, ბენზემამ კატალონიური გრანდი დაივიწყა და განაცხადა, ბავშვობიდან „სანტაიგო ბერნაბეუზე" თამაშზე ოცნებობს. საქმე ის არის, რომ პრედრაგ მიატოვიჩს მისი გადაბირება სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „ლიონის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები დაძაბული რეჟიმით არ წარიმართოს. ბუნებრივია, ინტერვიუ მხოლოდ ამ ერთი თემით არ შემოიფარგლებოდა. კარიმმა კიდევ არაერთ საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

**- გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საფეხბურთო სამყარო ახლა თქვენზე ლაპარაკობს, მაგრამ თქვენი წარსულის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. როგორ დაიწყო კარიმ ბენზემას საფეხბურთო ცხოვრება?**

- სანამ პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი, ღარიბულ უბანში საშინლად მილეხილ სახლში ვცხოვრობდი. პასუხისმგებლობას ბავშვობიდან ვგრძნობდი და მესმოდა, რომ თავდაუზოგავი შრომით სილარიბისთვის თავი უნდა დამეღწია. მადლობა ღმერთს, მშობლები ყურადღებას არ მაკლებდნენ. ისინი ჩემი გზამკვლევები იყვნენ, ყოველთვის მხარში მედგნენ და სწორ გეზს მაძლევდნენ. ისინი რომ არა, დღეს ფეხბურთელი არ ვიქნებოდი. ბავშვობაში ჩემ გვერდით უამრავი ნიჭიერი ბავშვი ტრიალებდა. მახსოვს, ერთხელ ზინედინ ზიდანმა თქვა, ჩემს უბანში ჩემზე ბევრად ნიჭიერი 40 ბავშვი ცხოვრობდაო. ეჭვიც არ მეპარება, რადგან ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. ძალიან ბევრი ნიჭიერი მოზარდი დაიკარგა. ისინი ცხოვრების მწარე რეალობამ შთანთქა. ზოგს საჭმლის ფული არ ჰქონდა და ქუჩაში ფეხბურთის თამაშის ნაცვლად მუშად მუშაობდა და სახლში გროშები მიჰქონდა.

**- თქვენ არ გქონიათ მუშაობის ცდუნება?**

- არა. იმიტომ, რომ დიდი ფეხბურთის თამაშზე ვოცნებობდი. გაჭირვებისა და სილარიბის მიუხედავად, ოცნებების ერთგული დავრჩი და შრომა გავაგრძელე. ძალიან რთული ცხოვრება გამოვიარე. არანაირი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ ფეხბურთელი გამოვიდოდი და თავდადება დაუფასებელი არ დარჩებოდა, თუმცა ფეხბურთი იმდენად მიყვარდა, რომ ბურთი გვერდზე ვერ გადავდე.

**- მსოფლიომ „ლიონის" ფორვარდის სტატუსით გაგიცნოთ. გულწრფელად რომ ვთქვათ, ლიონი იმ ქალაქების ჩამონათვალს არ განეკუთვნება, სადაც ფეხბურთი ერთ-ერთი მთავარი გართობა და საყოველთაო სიყვარულის საგანია.**

- დიახ, გეთანხმებით. ვერ ვიტყვი, რომ ლიონელებს ყველაზე მეტად ფეხბურთი უყვართ. ამ მხრივ, მარსელში სულ სხვა სიტუაციაა, მაგრამ „ლიონი" დიდი კლუბია და შეუპოვარი შრომით სასახელო ისტორიას ქმნის. ქვეყნის ჩემპიონატში ზედიზედ შვიდჯერ გავიმარჯვეთ. რაც დრო გადის, „ლიონს" საფრანგეთში სულ უფრო და უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ევროპულ გრანდში გადასვლის დრო მოვიდა?**

- „ლიონში" ჯერჯერობით ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. საწუწუნო არაფერი მაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაისადაც აქ ვიქნები. გულიად გეტყვით, რომ მადრიდის „რეალში" გადასვლაზე ვოცნებობ.

**- ესე იგი, დარწმუნებული ხართ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ლიონს" დატოვებთ და „რეალში" გააგრძელებთ კარიერას?**

- არა, ამას დარწმუნებით ვერ განვაცხადებ. უბრალოდ, გითხარით, რომ სამეფო კლუბში გადასვლის სურვილი მამოძრავებს. „რეალში" თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. როგორც გითხარით, კარიმ ბენზემა ოცნებებს არ ღალატობს და დასახული მიზნისკენ შეუპოვრად მიიწევს. ვნახოთ, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ჩემპიონთა ლიგაში როგორ შედეგებს მივაღწევთ.

**- მაინც რატომ გინდათ „რეალში" თამაში?**

- „რეალი" უამრავი ფეხბურთელის საოცნებო კლუბია. ბავშვობაში ამ გუნდის თამაშებს ყველაზე დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი და ჩემთვის ვამბობდი, ისეთი მაგარი ფეხბურთელი უნდა გავხდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც „რეალში" უნდა მოვხვდე-მეთქი. მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული ამისრულდება თუ არა ოცნება. ვიცი, მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობს, თუმცა დარწმუნებული ვარ, „ლიონის" ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რომ მთელ ცხოვრებას ერთ გუნდში ვერ გავატარებ. წასვლა აუცილებლად მომიწევს. მთავარია, გარიგებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. თუ „რეალის" ვარიანტი არ გამოვა, მაშინ სხვაგან წასვლაზე ვიფიქრებ.

**- ბავშვობაში „რეალმა" რითი მოგაწონათ თავი?**

- (იცინის) შესაძლოა, კურიოზულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ბავშვობაში მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატის თამაშების ყურების საშუალება მქონდა. სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. შემდეგ სამეფო კლუბში რონალდო და ზიდანი მივიდნენ. შეუძლებელი იყო, ის გუნდი არ მოგწონებოდა. მოკლედ, მოვიხიბლე და დიდი ოცნებაც ასე დაიბადა.

**- ყველაზე მეტად რომელი ჩემპიონატი მოგწონთ?**

- პრიმერა დივიზიონი. ჩემი აზრით, ესპანეთის ჩემპიონატი ყველაზე სანახაობრივი და საინტერესოა. რა თქმა უნდა, ინგლისისა და იტალიის ჩემპიონატებიც უმაღლესი დონისაა, მაგრამ პრიმერა დივიზიონი მაინც სულ სხვა გაქანებისაა. საქმე იმაშია, რომ ესპანელები საფეხბურთო ესთეტები არიან. მე გულშემატკივრებს ვგულისხმობ. მათი გემოვნების დასაკმაყოფილებლად გუნდები თავს ვალდებულად თვლიან, ლამაზად ითამაშონ და სისტემაც ისე ააწყონ, რომ მეტ-ნაკლებად სანახაობრივი შეხვედრები ჩაატარონ.

**- რა შეგიძლიათ მადრიდის „რეალს" შემატოთ?**

- კარიმ ბენზემა კლასიკური გაგების ცენტრფორვარდია. ნიჭი ღმერთმა დამაბერტყა და ვცდილობ, ეს ნიჭი შრომითა და მუშაობით გავამყარო. ასეა თუ ისე, გოლების გატანა არ მიჭირს. დარწმუნებული ვარ, პრიმერა დივიზიონში გადასვლის შემთხვევაში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი გავხდები. „ლიონსა" და საფრანგეთის ნაკრებში სრული თავისუფლება მაქვს მონიჭებული. მწვრთნელები ამბობენ, რომ ტაქტიკური მონახაზებით ჩემი შემოფარგვლა არ შეიძლება. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (იცინის). შემიძლია, მოედანზე თავისუფლად ვიმოძრაო, სხვადასხვა პოზიციაზე გადავიდე და მოწინააღმდეგის კარის დასალაშქრად საუკეთესო შესაძლებლობა მოვძებნო. დარწმუნებული ვარ, რომ სამეფო კლუბს ძალიან კარგად შევეწყობოდი. გოლის გატანა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ უკეთეს პოზიციაზე მყოფ თანაგუნდელს პასს არასოდეს ვუგვიანებ...

**- სპეციალისტები თქვენს საუკეთესო თვისებად დამატებაზე კარგად თამაშს მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ, ეს მართლა თქვენი ყველაზე ძლიერი მხარეა?**

- არ მწამს იმ ადამიანის დიდი ფეხბურთელობის, რომელიც მხოლოდ ერთი კომპონენტითაა გამორჩეული. შესაძლოა, ესა თუ ის თვისება დომინანტი იყოს, მაგრამ თუ სხვა კომპონენტებშიც არ ბრწყინავ დიდ წარმატებებს ვერასოდეს მიაღწევ. ეს გამორიცხულია. დიახ, დამატებაზე სხარტად ვთამაშობ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დრიბლინგების განხორციელება არ შემიძლია.

**- გოლის გატანას ძალიან უჩვეულოდ აღნიშნავთ ხოლმე. ამას წინასწარ გეგმავთ, თუ ახალი იდეები სპონტანურად მოგდით?**

- მთავარია, გოლი გაიტანო, აღნიშვნას კი ყოველთვის მოახერხებ. ზოგჯერ როგორ ხდება, ზოგჯერ როგორ. ხშირად მეგობრები მირეკავენ და მთხოვენ, თუ გოლს გაიტან, ასე გააკეთეო. არ მინდა, ძმაკაცებს გული დავწყვიტო და ვცდილობ, მათი სურვილი ავასრულო ხოლმე (იცინის).

**- მოდით, თემა შევცვალოთ. ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყავით. რა გახდა ეროვნული გუნდის წარუმატებლობის მიზეზი?**

- არ ვიცი. არაფერი გამოგვივიდა. ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, საზოგადოებამ ეს გარდაუვალი პროცესი ახალგაზრდებისა და ვეტერანების ომად შეაფასა. არ ვიცი, ამის მიზეზი იყო, თუ უბრალო დამთხვევა, მაგრამ ფაქტია, რომ საფრანგეთის ნაკრები ევრო 2008-ზე ერთ მუშტად შეკრული გუნდი არ იყო. მოკლედ, იმდენი მოვახერხეთ, რომ ტურნირს პირველივე ეტაპიდან გამოვეთიშეთ. ძალიან სამარცხვინოდ ვიასპარეზეთ.

**- ჰოლანდიასთან მატჩში სათადარიგოთა სკამზე რატომ დაგსვეს? ამბობენ, ამაში ფრანკ რიბერის ხელი ერიაო...**

- ვერ გეტყვით, სინამდვილეში რა მოხდა. შეიძლება, ჩვეულებრივ ადამიანურ შურთან გვაქვს საქმე. პირადად მე ნაკრებში პრობლემები არასოდეს მქონია. გადაწყვეტილებას ყოველთვის მწვრთნელი იღებს. დომენეკმა მითხრა, რომ არ მათამაშებდა. გული დამწყდა, მაგრამ არაფერი მითქვამს, მწვრთნელის გადაწყვეტილებას მშვიდად შევხვდი. იმ შეხვედრასთან დაკავშირებით ძალიან ბევრს ჭორაობენ, ათასი ისტორია შეთხზეს, მაგრამ მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რიბერი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. მასთან ერთად თამაში ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**- საფრანგეთის ნაკრების ამჟამინდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?**

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებში სიტუაცია შეიცვალა. თაობათა ცვლის პროცესი თითქმის დასრულებულია და გუნდიც გაცილებით უკეთ თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ბოლო მატჩები ძალიან კარგად ჩავატარეთ. ჩავარდნა ყველას ჰქონია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში დასანანი ის იყო, რომ ჩავარდნა და კრიზისი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს დაემთხვა.



გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# გაიყიდება თუ არა კლუბი?

## ჯორდების ფანებს ამის იმედი აღარ აქვთ



ჯო კინეირი

„კაჭკაჭების“ თავკაცი **ჯო კინეირი** ელის, რომ **მაიკ ეშლი** კლუბის გაყიდვის იდეაზე საბოლოოდ იტყვის უარს და მძიმე მდგომარეობიდან "ნიუკასლს" თავად გამოიყვანს. სეზონის დასაწყისში გულშემატკივრებმა ჯერ გაიკვირვეს, შემდეგ კი აღშფოთდნენ, როცა ეშლი ძალზე ადვილად დათანხმდა „სენტ ჯეიმს პარკის“ კერპის **კევინ კიგანის** გუნდიდან წასვლას. მას მერე ფანები საპროტესტო აქციებს არ წყვეტენ. განსაკუთრებით ისინი საშინაო თამაშებზე აქტიურობენ. გახსოვთ, რომ გუნდი დიდი ხნის განმავლობაში უმწვრთნელოდ იყო დარჩენილი, რადგან თითქმის უპერსპექტივო კლუბში მუშაობას არავინ თანხმდებოდა. დღეს სიტუაცია მეტ-ნაკლებად ჩაწყნარებულია - კინეირმა, ასე თუ ისე, შეძლო ქარიშხლის ჩაცხრომა. სწორედ ამიტომ, მწვრთნელი ფიქრობს, რომ გუნდის მომავალს შემდეგ სეზონშიც მას ანდობენ. *„ვგრძნობ, რომ ეშლის სურს საკლუბო საქმეებში დაბრუნება. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მას ჩვენთან დარჩენა კიდევ დიდი ხნით უნდა“*, - განაცხადა კინეირმა. მის ამ განცხადებას გულშემატკივართა აღშფოთება მოჰყვა. რიგით ფანებს ეშლის დანახვა არ უნდათ და მისმა დარჩენის პერსპექტივამ, შესაძლოა, მათში აპათია გამოიწვიოს.

*"გადავდივარ თუ არა „სანდერლენდში“? ასეთი წინადადება არ მქონია და კომენტარი რაზე უნდა გავაკეთო? ასეთ სტატიებს ლამის ყოველ კვირას ვკითხულობ. გადაჭრით ვაცხადებ, როგორც მინიმუმ სეზონის ბოლომდე, „ნიუკასლში“ ვრჩები, შემდეგ კი ჩემი ბედი კლუბის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული. ახლა უამრავი საქმე მაქვს და მასზე ვარ კონცენტრირებული. თანაც, კონტრაქტის დარღვევას არ ვაპირებ“*, - განუცხადა სპეციალისტმა „სანდი მირორს“.

**მაიკლ ოუენი** ჯერ კიდევ ნოემბრიდან იხვეწებოდა, რომ მასთან კლუბის წარმომადგენელი დამჯდარიყო, რათა ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება დაწყებულიყო. საქმე ერთი თვე გაიწელა. ეშლიმ ვარსკვლავს გაუმჯობესებული პირობებით ოთხწლიანი კონტრაქტი დეკემბრის შუაში შესთავაზა. ამის მიუხედავად, პროცესის გაჭიანურებამ პატივმოყვარე ფეხბურთელის განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა. მან კლუბის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ სეზონის დასრულებამდე მოლაპარაკების გამართვას აღარ აპირებს. თუმცა იქვე დასძინა, რომ საფეხბურთო სეზონის ბოლომდე აუცილებლად დარჩება გუნდში. ფეხბურთელის განცხადება გუშინწინ საღამოს გამოქვეყნდა. მისი განცხადებით, ანაზღაურების საკითხი პრიორიტეტული არ არის და შესაბამისად, ამ ფაქტორის გამო გადაწყვეტილებას არ მიიღებს. *„კლუბში ბედნიერი ვარ. აქ ყველანაირი პირობა მაქვს არა მხოლოდ იმისთვის, რომ ფეხბურთი ვითამაშო, არამედ იმისთვისაც, რომ თამაშისგან სიამოვნება მივიღო“*, - დაამატა ფეხბურთელმა.

გაცნობებთ, რომ „ნიუკასლი“ მზადაა, სეზონის ბოლოს გამოეთხოვოს სკანდალისტ **ჯოი ბარტონს**. „სანდი მირორის“ ცნობით, „კაჭკაჭები“ ფეხბურთელში ხუთ მილიონ გირვანქას ითხოვენ. ჯოის გასხვისება კლუბს ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა, მაგრამ პოტენციურ მყიდველებს აფრთხობდათ, რომ ფეხბურთელი ციხიდან პირობით ვადამდე გახლდათ გათავისუფლებული. რაც შეეხება ჯოის ამჟამინდელ მდგომარეობას, მას მარჯვენა მუხლი აქვს ტრავმირებული და მინდორს მარტის დასაწყისში თუ დაუბრუნდება.

ჩრდილოინგლისური კლუბის მარცხენა მცველმა **შარლ ნზოგბიამ** განაცხადა, რომ იანვარში გუნდის დატოვების სურვილი მოსვენებას არ აძლევს. არადა, ფეხბურთელის კონტრაქტი მხოლოდ 2012 წელს იწურება. ფრანგის სატრანსფერო ფასი 7 მილიონი გირვანქაა. 22 წლის მოთამაშის გადაბირების სურვილს „ლიონსა“ და „პარი სენ ჟერმენს“ მიაწერენ. *„ნიუკასლში“ ჩემი ამბიციების დაკმაყოფილების წინაპირობას ვერ ვხედავ. მას მერე, რაც აქ ვარ, ყველაფერს ვაკეთებ გუნდის კეთილდღეობისთვის და ვიდრე არსად წავსულვარ, ასევე გავაგრძელებ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუკი კარიერის სხვაგან გაგრძელების შესაძლებლობა მომეცემა. უმჯობესი იქნება, თუკი ამას კონტინენტურ ევროპაში გავაკეთებ“*, - განუცხადა „ეკიპს“ ფეხბურთელმა.

ესპანეთის ნაკრებისა წევრს, „ბეტისის“ კაპიტან **ხუანიტოს** მიმდინარე წლის ბოლოს კონტრაქტის ვადა ეწურება. "კაჭკაჭებმა" ამით ისარგებლეს და ევროპის ჩემპიონს კარიერის მათთან გაგრძელება შესთავაზეს. ვეტერანმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. 32 წლის ფეხბურთელს სევილიურ კლუბთან ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულების დადება სურს. კლუბი ამ ნაბიჯზე არ მიდის, რადგან არავის იცის, კიდევ რამდენი ხანი ითამაშებს ხუანიტო მაღალ დონეზე. ჯო კინეირმა თავისი გუნდის ესპანელ წევრებს, **ხისკოსა** და **ხოსე ენრიკეს** მოლაპარაკებებში დახმარება სთხოვა.

**შალვა ბიბილაშვილი**

მიონხენგლადბახის ბორუსია

# გლადბახი გაძლიერდა!

## გალაშეკი, სტალტერი და ბეილი იმისათვის, რომ ბორუსია არ გავარდეს

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ბუნდესლიგის პირველი წრე აუტსაიდერის რანგში დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გუნდი არ გაძლიერდა, გაისად მეორე ბუნდესლიგაში იასპარეზებს. ხელმძღვანელებმა შესაბამისი ნაბიჯები გადადგეს და მეორე წრისთვის სამი ფეხბურთელი დაიმატეს, სამივე მათგანი უკანა ხაზისთვის: ჩეხი საყრდენი **ტომაშ გალაშეკი**, კანადელი მცველი **პოლ სტალტერი** და ბელგიელი მეკარე **ლოგან ბეილი**.

35 წლის გალაშეკი, რომელიც წინა სეზონში „ნიურნბერგის“ ღირსებას იცავდა, „გლადბახში“ „ბანიკიდან“ გადავიდა და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, სატრანსფერო თანხა ნახევარ მილიონ ევროს არ აღემატება. 31 წლის სტალტერი, რომელიც 1998-დან 2005 წლამდე ბრემენის „ვერდერის“ ღირსებას იცავდა, „ბორუსიაში“ „ტოტენჰემიდან“ უფასოდ გადავიდა და კონტრაქტი 2011 წლის ივნისამდე გააფორმა.

*„სტალტერი დაცვის ფლანგისთვის გვჭირდებოდა, მას როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მცველის ფუნქციების შესრულება შეუძლია. გალაშეკი ძალიან გამოცდილი საყრდენი შუახაზელია, ბეილი კი ძალიან ძლიერი, პერსპექტიული მეკარე,“* - აცხადებს გლადბახელთა დამრიგებელი **ჰანს მაიერი**. ბელგიელი 23 წლის გახლავთ და აქამდე „გენკის“ ღირსებას იცავდა 2007 წელს ის ბელგიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე კი ბელგიის ოლიმპიური ნაკრების მეკარე გახლდათ.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრავმა

# ტოტის ორი თვე

2008 წლის ბოლო შეხვედრა „რომასთვის“ კოშმარული გამოდგა. გუნდმა წარმატებული სვლა შეწყვიტა და სიცილიაში „კატანიასთან“ დამარცხდა. გარდა ამისა, ტრავმა მიიღო გუნდის ლიდერმა **ფრანჩესკომ ტოტიმ** და ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორდა. პირველი დიაგნოზი არც თუ შემაშფოთებელი გახლდათ, თუმცა გამოკვლევებმა სულ სხვა სურათი აჩვენა - ტოტი მინიმუმ ორ თვეს დაისვენებს. ამ ამბავმა **ლუჩანო სპალეტი** ძალიან დაამწუხრა, ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ „რომას“ ტოტის ტრავმა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. მოვუსმინოთ ლუჩანოს: *„მარცხი მარცხად და ტოტის ტრავმა ნამდვილად დიდი შოკია. ფრანჩესკო ახლახან გამოჯანმრთელდა, ფორმაში შედიოდა და სამწუხაროდ, ისევ დაშავდა. ამ სეზონში ფორტუნამ ზურგი გვაქცია, სხვა ახსნას ამ ყველაფერს ვერ მოვუძებნი. როგორც ექიმებმა განაცხადეს, ტოტიმ ორთვიანი ტრავმა მიიღო. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური ეტაპის მატჩებისთვის უკვე მწყობრში იყოს. იმედი მაქვს, ასეც იქნება, „არსენალთან“ კაპიტანი ძალიან დაგვჭირდება“*. ჩვენი მხრივ, შეგახსენებთ, რომ ლიგის ფლეი ოფები 24-25 თებერვალს აიღებს სტარტს.

**ლაშა ნიკლაური**




ტრავმა

# ფაბრეგასის დიდი შვებულება

"არსენალი"-"ლივერპულის" მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს "არსენალის" ახალგაზრდა კაპიტანმა **ფრანსესკ ფაბრეგასმა** თანამემამულე **ჩაბი ალონსოსთან** შეჯახებისას უმძიმესი ტრავმა მიიღო. მეორე ტაიმში ესპანელი მოედანზე აღარ გამოჩენილა. ექიმების დასკვნით, ფეხბურთელმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და მწვანე მინდორს აპრილის ბოლომდე ჩამოშორდა. "მეთოფეებს" სერიოზული პრობლემები ნახევარდაცვის ცენტრში აქამდეც არ აკლდათ. ალბათ იცით, რომ გაზაფხულამდე ვერც **ტომაშ როსიცკი** ითამაშებს. *"ცუდი ამბავი დაგვემართა... ფრანსესკი გაძლიერებულად იმუშავებს, რათა საყვარელ საქმეს დათქმულ დროზე ადრე დაუბრუნდეს. ოთხი თვე გუნდში დასაბრუნებლად უნდა ეყოს. მისი არყოფნა, რა თქმა უნდა, უზარმაზარი დანაკლისი იქნება. იმისთვის, რომ თამაშის ხარისხი შევინარჩუნოთ, ყველა ფეხბურთელს უწინდელზე მეტი მუშაობა მართებს. ასეთი დანაკლისის შემდეგ ახალწვეულებზე ზრუნვა ნამდვილად მოგვიწევს"*.

**შალვა ბიბილაშვილი**

რეალი

# კანავარო: სამეფო კლუბი ნებისმიერმა გუნდმა შეიძლება დაამარცხოს

## იტალიელი მცველი ტრავმების გამო წუხს

სამეფო კლუბში **ხუანდე რამოსის** დანიშვნის შემდეგ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ მადრიდის „რეალი“ უფრო მჭიდროდ და სწრაფად თამაშობს. ელ კლასიკოში დამარცხების შემდეგ მადრიდელებმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ვალენსიასთან“ საკმაოდ კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს. მიუხედავად ამისა, „რეალში“ მაინც შიში და ეჭვებია გამეფებული. ამაზე **ფაბიო კანავაროს** მიერ „დიარიო მარკასთვის“ მიცემული ინტერვიუც მეტყველებს. ესპანური გრანდის გამოცდილი მცველი წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ისევ და ისევ ტრავმებს მიიჩნევს: *„დღეს ხშირად გაისმის კითხვა, რა სჭირს მადრიდის „რეალს“ რატომ წააგო მან ამდენი შეხვედრა. რატომ ვერ მოახერხა ელ კლასიკოში სერიოზული კონკურენციის გაწევა. ამ ყველაფერს ერთადერთი პასუხი აქვს. ჩვენი ყველა უბედურების მიზეზი ტრავმებია. სამეფო კლუბს ასეთი სუსტი შეხვედრები ძალიან დიდი ხანია არ ჩაუტარებია. „ვალენსიასთან“ მატჩში ძალიან დადებითი ტენდენცია გამოჩნდა, მაგრამ სანამ ტრავმირებული ფეხბურთელები არ გამოჯანმრთელდებიან. როცა ძირითადი შემადგენლობის 10 ფეხბურთელი გაკლია ნებისმიერ გუნდთან შეიძლება წააგო. მათ შორის, უდიდეს კრიზისში მყოფ აუტსაიდერებთანაც კი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გამოსავალი ფეხბურთელების გამოჯანმრთელებაშია. წარმოიდგინეთ, როგორ გინდა მოახერხო, რომ რუუდ ვან ნისტელროის არყოფნა არ დაგეტყოს და ცხოვრება ჩვეულებრივად გააგრძელო. ღმერთმა ზურგი შეგვაქცია, ამას ფატალური უიღბლობა ჰქვია. გასულ სეზონში სამეფო კლუბთან შეხვედრის წინ პრაქტიკულად ყველა გუნდს ფეხები უკანკალებდა. ახლა კი თამამად გვეჯახებიან და იმის განცდა აქვთ, რომ ბევრად უფრო მარტივად გვეთამაშებიან და დაგვამარცხებენ. ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ყოველთვის ჯობია, რომ რეალურად ვისაუბროთ და მწარე სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. მიუხედავად ყველაფრისა, არ მინდა, ჩვენი გულშემატკივრები ნიჰილიზმმა მოიცვას. ადრე თუ გვიან ტრავმირებული ფეხბურთელები აუცილებლად გამოჯანმრთელდებიან და სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდება. თანაც, ხელმძღვანელობა ახალწვეულებსაც დაგვახმარს. იმედია, ისინი მალე შეეგუებიან ახალ გარემოს და სამეფო კლუბი ძველებურად ათამაშდება.“*

„დიარიო მარკას“ კორესპონდენტი **მარკოს დიასი** დაინტერესდა, ხუანდე რამოსის მოსვლის შემდეგ გუნდში რა შეიცვალა. კანავარომ ამ მცირე დროში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დაინახა: *„პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ გუნდს ენთუზიაზმი და იმედი დაუბრუნდა. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ბერნდ შუსტერს ვაკნინებ, უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ სიახლეს ყოველთვის რაღაც ახალი, კარგი მოაქვს. ხუანდემ ახალი ხედვა და ენთუზიაზმი მოიტანა. ყოფილ მწვრთნელს სასტიკად აკრიტიკებდნენ. შეუძლებელია, ადამიანი ამ შემოტევის გავლენაში არ მოექცეს და მშვიდად იმუშაოს. ჩემი აზრით, სენიორ რამოსმა გუნდის ხარვეზები სწორად დაინახა და მათ აღმოფხვრაზე ენერგიულად მუშაობა დაიწყო. პირველი შედეგი უკვე სახეზეა. სამეფო კლუბი უფრო მობილურად თამაშობს.“*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევერკუზენი


რიო დე ჟანეიროს ქუჩებში ტალანტების ცვენაა


ჟორჟინიო (ზემოთ) ლევერკუზენის ღირსებას 1989-დან 1992 წლამდე იცავდა


ემერსონი (მარჯვნივ) ლევერკუზენში: 82 თამაში, 11 გოლი


ესეც უნდა გახსოვდეთ: რობერტო პაოლო რინკი

# სკაუტინგის სამაგალითო სისტემა

## გუნდი, სადაც მოუთვინიერებელ ბრაზილიელებს ათვინიერებენ

**ჟორჟინიო**, **ლუსიო**, **ემერსონი**, ახლა **რენატო აუგუსტო** – ათწლეულებია, ლევერკუზენის „ბაიერი" გერმანიაში ბრაზილიელი ფეხბურთელების ბუდედაა ქცეული. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოთამაშეების აბსოლუტური უმრავლესობა იმედებს ამართლებს. „ლევერკუზენი" ერთადერთი გუნდი როდია, რომელიც ბრაზილიაში ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეძებს, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგალითად, გერმანული გუნდებიდან, „ფარმაცევტები" ამას ყველაზე უკეთ ახერხებენ. ეს ყველაფერი კი პირველ რიგში სკაუტინგის შესანიშნავი სისტემისა და ფეხბურთელების კლუბში ინტეგრაციის კარგი კონცეფციის დამსახურებაა. თორემ აგერ, „შალკემაც" გადაწყვიტა ბრაზილიაში ნიჭიერი ფეხბურთელების მიგნება და წლის დასაწყისში **ზე რობერტო II** წაიყვანა. შედეგი: ეს ფეხბურთელი გელზენკირხენულ კლუბს არაფერში გამოადგა, ამბობს, სამშობლოში უნდა დავბრუნდე და სიტყვა გერმანიის გაგონებაც კი აღარ მინდაო.

გახსოვთ ფეხბურთელი **ფერნანდო პერეირა პ. ნანდო**, რომელსაც შემოკლებით მხოლოდ ნანდოს ეძახდნენ? ეს მოთამაშე 1989-დან 1992 წლამდე „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა და 65 მატჩში 17 გოლის გატანა მოახერხა. დღეს, ჰამბურგში, ნანდოს გოლებზე აღარავინ ლაპარაკობს, სამაგიეროდ, მისი ერთი საქციელი ანეკდოტად შემორჩა, რომელსაც ჰამბურგელი ქომაგები დღესაც უდიდესი სიამოვნებით იხსენებენ ხოლმე. ნანდოს ბრაზილიაში გადასახადების გადახდა არ უყვარდა და საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებისგან იმდენად იყო დაშინებული, რომ ეს შიში გერმანიაშიც ჩამოჰყვა. გერმანულმა ბანკებმა ნანდოს ნდობა ვერ დაიმსახურეს და თურმე, ფეხბურთელი მთელ თავის ხელფასს სახლის კედელში მალავდა. ერთხელ, კლუბის ბოსებმა მისთვის სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტეს და სანამ ნანდო გუნდთან ერთად შეკრებაზე იყო, სახლში მუშები მიუგზავნეს, რომლებსაც ბრაზილიელის ბინა უნდა გაერემონტებინათ. მუშებმა კედელში 100 000 დოლარი აღმოაჩინეს...

ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორები არიან ბრაზილიელები და რამდენად უცხოა მათთვის მოწესრიგებული გერმანია და პრაგმატული გერმანული მენტალიტეტი. თუნდაც **აილტონის** მაგალითის მოყვანა რად ღირს ან იმის, რომ გერმანული კლუბების ხელმძღვანელები მუდმივად ჩივიან ყოველი სეზონის სტარტის წინ იმის გამო, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები სამშობლოდან დაბრუნებას აგვიანებენ ხოლმე. და რაც გერმანელებისთვის ყველაზე პარადოქსულია, მათთვის ნებისმიერი სახის ჯარიმა სულერთია – გინდა 100 000 ევროს გადახდა დააკისრე, მინიმუმ 4-5 დღე მაინც დაიგვიანებს. ულირს და იმიტომ! ეს კი გერმანელებისთვის გაუგებარია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნანდოს შემთხვევიდან დღემდე, ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგრამ როდესაც ბრაზილიელი ფეხბურთელი „ლევერკუზენში" გადადის, მდგომარეობა თითქმის ყოველთვის სხვანაირი და იდეალურთან მიახლოებულია. თუკი ისტორიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ „ლევერკუზენი" ის გუნდია, სადაც ბრაზილიელი და ზოგადად, ალვირახსნილი სამხეთამერიკელი მოთამაშეები გერმანიაში ყველაზე უკეთ გრძნობენ თავს – როგორც მოედანზე, ისე მოედანს მიღმა. ამის აქტუალური მაგალითი ფლეიმეიქერი **რენატოა**.

20 წლის რენატო ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელების რეიტინგში „კიკერმა" მეექვსე ადგილზე გაიყვანა საშუალო შეფასებით 2.79 ბალი. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რენატო ბუნდესლიგის საუკეთესო ახალწვეულად შეერაცხათ. ის არ არის ერთადერთი ბრაზილიელი მოთამაშე, რომელმაც ზაფხულში გერმანიას მიაშურა. მან მნიშვნელოვნად გაასწრო გერმანიის ჩემპიონატის თანამემამულე ახალწვეულებს, „ჰამბურგის" გამთამაშებელ **ტიაგო ნევესს**, „ჰერტას" მცველ **კაკას** ან „ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელ **ველინგტონს**.

მოკლედ, „ლევერკუზენში" გადასული ბრაზილიელი ისევ იდეალურია. რატომ? მიზეზი მარტივია: „ბაიერს" სპეციალური სკაუტინგის სისტემა და ფეხბურთელის შერჩევის საკმაოდ საინტერესო მეთოდები აქვს. ფაქტია, რომ „ლევერკუზენი" ამ მხრივ გერმანიაში ყველაზე მიზანმიმართულად და ინტენსიურად მუშაობს, ვიდრე ბუნდესლიგის ნებისმიერი სხვა კლუბი.

*„ლევერკუზენს" ფეხბურთელების კლუბში და ქვეყანაში ინტეგრაციის საუკეთესო მეთოდები აქვს მთელ გერმანიაში,"* - აცხადებს „ფარმაცევტების" ყოფილი გენერალური მენეჯერი **რაინერ კალმუნდი**.

სწორედ რაინერი იყო ის კაცი, ვინც 20 წლის წინათ გახლდათ იმის ინიციატორი, რომ „ლევერკუზენს" ბრაზილიაში აქტიური მუშაობა დაეწყო. კალმუნდმა შემთხვევით გაიცნო ფოტოგრაფი და რეპორტიორი **ჰაინც პრელვიტცი**, რომელიც ბრაზილიაში ცხოვრობდა და სწორედ მან ურჩია კალმუნდს ფეხბურთელი **ტიტა**, რომელიც „ლევერკუზენის" ისტორიაში პირველი ბრაზილიელი გახლდათ. სწორედ ამ ტრანსფერით დაიწყო „ბაიერის" აქტიურობა ბრაზილიაში. ნელ-ნელა გაუმჯობესდა სკაუტინგი, გაიზარდა საინფორმაციო წყარო და მალე, გუნდის ბრაზილიაში მივლენილ შეფ-სკაუტად **ნორბერტ ციგლერი** დაინიშნა. მას მერე 55 წლის ციგლერი წელიწადში სამ თვეს ბრაზილიაში, ატარებს, აქვს ოფისი და ამბობს: *„ვერც ერთი ევროპელი ვერ იტყვის, რომ ჩემზე ხშირად ყოფილა „მარაკანაზე"!"*

საერთო ჯამში, მას მერე „ლევერკუზენში" სულ 18 ბრაზილიელი ვიხილეთ. ვერ ვიტყვით, რომ თვრამეტივემ იდეალური შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ იმ მოთამაშეების რაოდენობა, რომლებმაც იმედები გაამართლეს, მნიშვნელოვნად დიდია, ვიდრე სხვა გერმანულ კლუბებში. ამის მიზეზი, კალმუნდის თქმით, ოთხეტაპიანი სისტემაა. უპირველესი საკითხი, ან, შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯი გახლავთ ის, რომ იწყება დაკვირვება, თუ როგორი გამოხმაურება აქვს ამა თუ იმ ფეხბურთელს პრესაში. *„შეფ-სკაუტი აკვირდება ფეხბურთელის განვითარების პროცესს და მუდმივად ეცნობა პრესას, რადგან ძალიან საინტერესოა, როგორი გამოხმაურება აქვს მოთამაშეს მედიაში. ეს არის პირველი ინფორმაცია, რომელიც ფეხბურთელის შესახებ უნდა იყოს მოძიებული,"* - აცხადებს კალმუნდი.

მეორე ნაბიჯია საინფორმაციო წყაროების ამუშავება. ანუ, თუ შეფ-სკაუტი ფეხბურთელის გამოხმაურებებმა დააკმაყოფილა, ის ამუშავებს ყველა საინფორმაციო წყაროს, რაც კი იმ ქვეყანაში გააჩნია. *„ზუსტად ამას აკეთებდა „ვალენსია" 80-იან წლებში არგენტინაში,"* - აცხადებს ციგლერი. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ: მწვრთნელები, ფეხბურთელები, მრჩევლები, ჟურნალისტები, ჩვეულებრივი ნაცნობ-მეგობრები. ციგლერი: *„მათი დახმარებით მე ამომწურავი ინფორმაცია მაქვს მოთამაშის შესახებ. ეს ის ხალხია, ვისაც ვენდობი და რომც არ ვენდობოდე, იმდენი არიან, რომ გამორიცხულია, რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათი არ მივიღო."*

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, „ლევერკუზენი" კონკურენტებს მუდმივად მინიმუმ ერთი ნაბიჯით ჯობნის. ამის მაგალითი რენატოა, რომელსაც „ფარმაცევტები" სამი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. შესაბამისად, როდესაც ამ ფეხბურთელს თავის კლუბთან კონტრაქტი ეწურებოდა და ტრანსფერზე დააყენეს, „ბაიერის" შეფებმა უკვე იცოდნენ, რას წარმოადგენდა 20 წლის რენატო და შანსი ხელიდან არ გაუშვეს.

გარდა მოპოვებული ინფორმაციისა, ცხადია, ციგლერის შტაბის სკაუტები თამაშებს ესწრებიან და ფეხბურთელებს ცოცხლად აკვირდებიან. ფეხბურთელების რაოდენობა უდიდესია და ეს პატივი მაინც გამორჩეულ მოთამაშეებს ხვდებათ ხოლმე წილად. დღესდღეობით, ციგლერის სიაში 10 000-ზე მეტი ბრაზილიელი მოთამაშეა! სია დაყოფილია რამდენიმე ნაწილად და ა.შ. ყველა ფეხბურთელს დროთა განმავლობაში ქულები ეწერება. სპორტული წარმატებების გარდა, კრიტერიუმებში მოთამაშის ხასიათი და ჩვევებიც შედის.

*„მაგალითად, თუკი ფეხბურთელს ათბალიანი სისტემით, მონდომება-მოტივაციაში 8.5 ქულაზე ნაკლები უწერია, ჩვენ მას არ ვიყიდით. იმიტომ რომ, თუკი ბრაზილიაში არ ხარ მაქსიმალურად მონდომებული, ევროპაში საერთოდ ვერაფერს გააწყობ,* - ამბობს „ბაიერის" შეფ-სკაუტი ციგლერი, *- ვითვალისწინებთ ძალიან მცირე დეტალსაც. იმიტომ, რომ რაც ბრაზილიაში იდეალურად მოჩანს, შესაძლოა, ევროპაში დაიკარგოს."*

იმისათვის, რომ ბრაზილიელს გერმანიაში არ გაუჭირდეს, ლევერკუზენელები შემდეგნაირად იქცევიან: სკაუტები მუდმივად ესაუბრებიან ფეხბურთელს, მისი ოჯახის წევრებს, კლუბს, სამეგობრო წრეს და ამით იზრდება ნდობის ფაქტორი. სკაუტს ხშირად ფსიქოლოგის როლის შესრულებაც მოეთხოვება. კალმუნდი ამბობს, თავის დროზე პრელვიტცმა უდიდესი სამუშაო გასწია, რადგან ის ძალიან კარგად იცნობდა როგორც ბრაზილიურ, ისე გერმანულ მენტალიტეტსაცო. პრელვიტცის გარდაცვალების შემდეგ, „ლევერკუზენის" შეფებმა მისი ადგილი ორ პიროვნებას, **იონას ბოლდტსა** და **ფრანკ დიტგენსს** ჩააბარეს.

*„ბრაზილიელი ფეხბურთელი მხოლოდ ორ შემთხვევაში იჭრება: როცა არ ათამაშებენ და როცა არ ენდობიან,* - ამბობს ციგლერი, *- მათ მუდმივად უნდა ეფერო! სხვანაირად არაფერი გამოვა. უნდა აგრძნობინო, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ თამაშობს, გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურაა. მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში რომც თამაშობდეს, თუ არ დაუყვავებ და არ მოეფერები, მაინც უკმაყოფილო იქნება. ბავშვებივით არიან, მაგრამ როცა სწორად მიუდგები, იმედს არ გაგიცრუებენ!"*

ჰო, როდესაც ბრაზილიელი ნდობას ვერ გრძნობს, სახლის კედელს გამოთხრის და 100 000 დოლარს იქ დამალავს...

**გოტფრიდ ლენცი**




### ბრაზილიელები ლევერკუზენში

| ფეხბურთელი | პერიოდი | თამაში | გოლი | გაამართლა? |
|---|---|---|---|---|
| ტიტა | 1987-88 | 21 | 10 | + |
| ჟორჟინიო | 1989-92 | 87 | 9 | + |
| პაულო სერჟიო | 1993-97 | 121 | 47 | + |
| რამონ ჰუბნერი | 1995-96 | 15 | 1 | - |
| როდრიგო | 1995-96 | 27 | 1 | - |
| ზე ელიასი | 1997-98 | 23 | 0 | - |
| პაულო რინკი | 1997-2002 | 88 | 29 | + |
| ემერსონი | 1997-2000 | 81 | 11 | + |
| ზე რობერტო | 1998-2002 | 113 | 17 | + |
| რობსონ პონტე | 1999-01, 03-05 | 140 | 19 | + |
| მარკინიოსი | 2000-02 | 0 | 0 | - |
| ლუსიო | 2001-04 | 92 | 15 | + |
| ფრანკა | 2002-06 | 70 | 21 | + |
| ჟუანი | 2002-07 | 139 | 10 | + |
| როკე ჟუნიორი | 2004-07 | 35 | 0 | + |
| ატირსონი | 2005-07 | 30 | 2 | - |
| რენატო | 2008-? | 17 | 1 | + |
| ენრიკე | 2008-? | 17 | 0 | + |

ინტერვიუ | მასიმო მორატი



# ასე მშვიდად ლოჟაში თავი არასდროს მიგრძვნია

## პრეზიდენტს ადრიანომ გული დასწყვიტა

**„ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ სეზონის პირველი ნახევარი შეაჯამა და განვლილი პერიოდი დადებითად შეაფასა. სენიორ მასიმო „კალჩო 2000“-ის ჟურნალისტს სერია A-ში შექმნილ მდგომარეობაზე, სალიგო პერსპექტივასა და გუნდში არსებულ ვითარებაზე ესაუბრა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.**

**- სენიორ მორატი, როგორ შეაფასებდით სეზონის პირველ ნახევარს?**

- საკმაოდ დადებითად. ჩემი გუნდის თამაშით უაღრესად კმაყოფილი ვარ. „ინტერმა“ სეზონის პირველი ნახევარი შესანიშნავად განვლო და ეს სატურნირო ცხრილიდან ნათლად ჩანს. ნუთუ ვინმე ელოდა, რომ კონკურენტებს ასეთ მოკლე დროში გვარიანი ფორით ჩამოვიტოვებდით. ეს თითოეული ფეხბურთელის და გუნდის თავკაცის, ჟოზე მოურინიოს დამსახურებაა.

**- გეტყობათ, მოურინიოს გაწეული სამუშაოთი ძალიან კმაყოფილი ხართ.**

- გუნდის ნებისმიერი ტიფოზი იმასვე გეტყვით, რასაც მე. მოურინიო შესანიშნავად მუშაობს და ყველა შეხვედრაში გვიმტკიცებს, რომ თავისი საქმის უბადლო მცოდნეა. „ინტერში“ არაერთ მწვრთნელს უმუშავია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ჯუზეპე მეაცას“ ლოჟაში ასე მშვიდად თავი ადრე არასდროს მიგრძნია. ჟოზე ბოლომდე აკონტროლებს თამაშს და დროულ ცვლილებებს აკეთებს.

**- „ინტერი“ სკუდეტოს მოპოვების მთავარი ფავორიტია?**

- ჩემი აზრით, „ინტერი“ დღეს იტალიაში საუკეთესო გუნდია და შესაბამისად, სკუდეტოს მოპოვების ყველაზე მეტი შანსი სწორედ ჩვენ გვაქვს. თუმცა ფრთხილად ვართ და კარგად გვესმის მდევართა სუნთქვა. „იუვენტუსი“ ძალიან ძლიერია და ამაში ტურიდან ტურამდე ვრწმუნდები. „მილანს“ დიდი კოზირი აქვს, „როსონერი“ ლიგაში არ თამაშობს და მთელი კონცენტრაცია ჩემპიონატზე აქვს გადატანილი.

**- ერთი ტური „მილანი“ ლიდერიც კი იყო, მაშინ თქვენს განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.**

- „მილანის“ გულშემატკივართა ეიფორია ჩემთვის გასაკვირი იყო და ასეთი განცხადება ამიტომ გავაკეთე. დღესაც ამ აზრზე ვარ, ეს ემოცია იმან გამოიწვია, რომ „მილანი“ სერია A-ში პირველობას მიჩვეული არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „როსონერის“ პატივს არ ვცემ. პირიქით, „მილანი“ დიდი გუნდია და ამის უარყოფა არასდროს მიცდია.

**- „ინტერს“ დავუბრუნდეთ, რა ხდება ადრიანოს თავს?**

- ძალიან მწყდება გული, რომ ეს ფეხბურთელი გონს ვერაფრით მოვიყვანეთ. ადრიანო დიდი შესაძლებლობის მოთამაშეა, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც კი გახდეს. სეზონის წინ, მოურინიომ მისი „ინტერში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა, რასაც მივესალმე. ადრიანოსთან საუბარი გვქონდა და შევთანხმდით, რომ საქმეს ძალიან სერიოზულად მიუდგებოდა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, შემდეგ კი ისევ აუშვა და თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო. დღეს ძნელია იმის თქმა, როგორ წარიმართება ადრიანოს მომავალი.

**- ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე თუ იაქტიურებთ?**

- ნამდვილად არა. ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. გუნდი ყველა რგოლში კარგად არის დაკომპლექტებული და ამაში მწვრთნელებიც მეთანხმებიან. თანაც, ბაზარზე არ ჩანს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს რეალურად გააძლიერებდა.

**- ჩემპიონთა ლიგასაც შევეხოთ, როგორ მოგწონთ „მანჩესტერ იუნაიტედი“?**

- რა დასამალია და ძალიან მომწონს. ალექს ფერგიუსონს ფანტასტიკური გუნდი ჰყავს, რომლის წინააღმდეგ თამაში ძალიან რთულია. აშკარად არ გაგვიმართლა, როცა მეტოქედ „მანჩესტერი“ გვხვდა წილად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისელების გვეშინია, არაფერი მსგავსი, უბრალოდ, მეტოქეს რეალურად ვაფასებთ. „ინტერს“ შესწევს იმის ძალა, რომ არათუ ფინალში გავიდეს, არამედ თასს დაეუფლოს.

**- ანუ, დიდია შანსი 2009 წელს „ინტერის“ ტიფოზები ჩემპიონთა თასს ეღირსონ?**

- „ინტერის“ გულშემატკივრები ბოლო წლებში ბევრჯერ გავახარეთ და ასე იქნება მომავალშიც. ტიფოზებს ლიგის მოგება მართლაც განსაკუთრებულად უნდათ და იმედია, ეს სურვილიც მალე აუხდებათ.




თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!

ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.

კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27

ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge


მილანი

# ანჩელოტის საშობაო ნატვრა

## ...და ბექჰემომანია მილანში

გასულ უქმეებზე „მილანმა“ როგორც იქნა მოიგო და თანაც, როგორ მოიგო, „უდინეზე“ 5:1-ზე გაანადგურა. ეს ამბავი იტალიურმა პრესამ „როსონერის“ დაბრუნებად შერაცხა. ამავე აზრზე არიან „მილანის“ ფეხბურთელები და მთავარი მწვრთნელი. შავ-წითლებმა უჩვეულოდ სწრაფ ტემპში ითამაშეს, თითქოს დროს აუწყვეს ფეხი და ერთობ ძლიერი მეტოქე ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს. სწორედ ასეთი „მილანის“ ხილვა გვსურს, ამ გუნდს ხომ განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს. საცოდაობაა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ეპიზოდურად ვხედავთ სწრაფად და ორგანიზებულად მოთამაშე „როსონერის“. დიდებულად გაისარჯნენ ბრაზილიელები, ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ და მეტოქის მცველებს შანსი არ დაუტოვეს. იტალიურ პრესაში **კარლო ანჩელოტის** ნოვაციას ძალიან დიდი ოპტიმიზმით უყურებენ - საქმე იმაშია, რომ კარლეტომ გამთამაშებლად **რონალდინიო** დააყენა, შეტევაში კი **ალეშანდრე პატოს კაკა** შეუწყვილა. ანუ ეს არ იყო 4-3-2-1, ეს იყო 4-3-1-2. ამით ანჩელოტიმ ორი კურდღელი დაიჭირა, კაკა წინ წასწია, მოედნის სიღრმეში გაუჩოს მოარიდა და ამით ის პრობლემა მოუხსნა, რომელზეც თავად ფეხბურთელს არაერთხელ უსაუბრია. გახსოვთ ალბათ, კაკამ დაიწუწუნა, რონი სივრცეებს მიზღუდავსო. თავდასხმაში პატომ და კაკამ დიდებულად იასპარეზეს, ორ-ორი გოლი გაიტანეს და საგოლე გადაცემებიც მიითვალეს აქტივში. კარგი იყო რონალდინიოც, თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა.

გუშინ, გაუჩო იტალიურ RAI-ს ესტუმრა და განვლილ პაექრობასთან ერთად, სამომავლო მიზნებზე ისაუბრა: *„ეს იყო დიდებული გამარჯვება, რომელმაც თითოეულ ჩვენთაგანს უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ამ მოგებით დიდი სტიმული მოგვეცა, საკუთარი თავის კიდევ უფრო ვირწმუნეთ და ვფიქრობ, ის ჩავარდნაც დავძლიეთ, რომელზეც ბოლო დროს ხშირად წერდნენ. პატომ და კაკამ შესანიშნავად ითამაშეს და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს. თუმცა, მთავარი ის არის, რომ სამი ქულა ავიღეთ და ლიდერს კიდევ უფრო დაწინაურების საშუალება არ მივეცით. რატომღაც ბევრმა ჩამოგვწერა და მხოლოდ ლიგის საგზურისთვის ბრძოლა გვიწინასწარმეტყველა. რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარია - „ინტერს“ ცხრა ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ წინ კიდევ ბევრი ტურია და მდგომარეობის გამოსწორების შანსი კიდევ გვექნება. ასე რომ, ჩვენ სკუდეტოსთვის ბრძოლა ნამდვილად არ შეგვიწყვეტავს. წინ ზამთრის შესვენება და შეკრებაა, რომელიც დარწმუნებული ვარ, ნაყოფიერად ჩაივლის“.*

კარლო ანჩელოტი კი უკვე შეკრებაზე ფიქრობს და პრესასთანაც ამ თემაზე საუბრობს: *„დავანებოთ თავი ბოლო გამარჯვებას და სეზონის პირველი ნახევარი მთლიანობაში შევაჯამოთ. ეს იყო გაცილებით რთული პერიოდი, ვიდრე წარმოგვედგინა. ამაში მთავარი დამნაშავე ტრავმებია. არაერთი წამყვანი ფეხბურთელი გვყავს დაშავებული და ასეა სექტემბრიდან მოყოლებული. შეიძლება ითქვას, რომ შესვენებამ სულზე მოგვისწრო. ექიმებთან კონსულტაციები გავიარე და ვიცი, რომ იანვარში ტრავმირებული ფეხბურთელების ნაწილი გამოჯანმრთელდება და გუნდს შეუერთდება. სანტა კლაუსს აუცილებლად ვთხოვ, რომ სეზონის მეორე ნახევარში ტრავმებმა აღარ შეგვაწუხოს. შეკრებაზე დუბაიში მივემგზავრებით, სადაც მოსამზადებლად ყველა პირობაა შექმნილი. ვიმუშავებთ ხარვეზების აღმოფხვრაზე, რომელიც სამწუხაროდ განვლილ პაექრობებში უხვად გვქონდა“.*

„მილანის“ ბანაკიდან გუშინ რამდენიმე სიახლემ გამოჟონა. ერთ-ერთი მათგანი გუნდის გულშემატკივრებს ძალიან გაახარებთ. **ალესანდრო ნესტას** რომ სერიოზული ტრავმა აქვს, გეცოდინებათ. ალბათ ისიც გახსოვთ, რომ მის კარიერას საფრთხეც კი ემუქრებოდა. ყველაფერი ამერიკაში ჩატარებულ გამოკვლევაზე გახლდათ დამოკიდებული, რომლის შედეგებიც იმედის მომცემი გამოდგა. ნესტას ტრავმა არ არის იმდენად სერიოზული, რომ მან კარიერის დასრულებაზე იფიქროს. ეგ კი არა, თუ სარეაბილიტაციო პროცესი კარგად წარიმართა, „სკუადრა აძურას“ ყოფილი უკანახაზელი მოედანს თებერვლის დასაწყისშიც კი შეიძლება დაუბრუნდეს. ამ ამბავმა ანჩელოტი დიდად გაახარა, მან აღნიშნა კიდეც, რომ ეს ამბავი მისთვის კარგი საშობაო საჩუქარია.

მიუხედავად ამისა, „მილანში“ მაინც ფიქრობენ ახალ მცველებზე და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც იდგმება. არის პირველი შედეგებიც - გუნდს უკვე შეუერთდა ბრაზილიელი **ტიაგო სილვა**, რომელიც **პაოლო მალდინის** შემცვლელადაც კი მოიაზრება. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი „მილანში“ კიდევ ერთ მოთამაშეს ელოდებიან. საუბარია **ლეანდრო რინაუდოზე**. ეს ფეხბურთელი „ნაპოლიში“ ირიცხება და ამპლუით ცენტრალური მცველი გახლავთ. რინაუდო იმედის მომცემი უკანახაზელია, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნაპოლის“ ძირითად შემადგენლობაში არცთუ ხშირად ხვდება. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, „მილანის“ ინტერესის სფეროში კიდევ რამდენიმე მცველია: **პაოლო კასტელაცი** (პარმა), **კრისტიან ტერლიცი** (კატანია), **მორის კორიციერი** (პალერმო). ამ ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ „როსონერი“ დაცვის გაძლიერებას ლამობს. თუმცა, სანამ კლუბის მესვეურები მცველებზე ფიქრობენ, „მილანში“ ბექჰემომანია დაიწყო. ინგლისელი მეგავარსკვლავი „მილანი“ - „უდინეზეს“ პაექრობასაც დაესწრო და მთელი შეხვედრის განმავლობაში ოპერატორთა ყურადღების ცენტრში გახლდათ მოქცეული. ნამატჩევს დევიდი **ადრიანო გალიანის** დაემშვიდობა და მეუღლე **ვიქტორიასთან** ერთად სტადიონი დატოვა. თუმცა, იქამდე პრესას იტალიურად მიესალმა და ორიოდე სიტყვა უთხრა. დასასრულ, სწორედ **დევიდ ბექჰემის** კომენტარს გაგაცნობთ:

*„იტალიაში დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედი და ეს ასეც იქნება. „მილანი“ უდიდესი კლუბია, რომლის ღირსების დაცვა ჩემთვის უაღრესად საპატიოა. შეხვედრა ძალიან მომეწონა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ სერიოზულ გუნდსა და ჩემპიონატში მომიწევს ასპარეზობა“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლანდიური ამბები

# სტეკელენბურგი ბრუნდება

## ფეიენოორდში არეულობაა, უტრეხტმა კი ვან ჰანეგემს კარისაკენ მიუთითა




ვილ ვან ჰანეგემი უმუშევარი დარჩა

„აიაქსის“ ძირითადი მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი** სამი თვეა, მოედანზე არ გასულა. მას მხრის ტრავმა აქვს. მიუხედავად ამისა, **კლაას იან ჰუნტელაარის** „რეალში“ გადასვლის შემდეგ, ის გუნდის კაპიტნად აირჩიეს. მაარტენთან დაკავშირებით მეორე სასიხარულო ინფორმაციაც შეგვიძლია მოგაწოდოთ. კლუბის საექიმო შტაბმა მას პორტუგალიურ შეკრებაზე გამგზავრების ნება დართო. ეს არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ბოლომდე გამოჯანმრთელებულია, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის.

გუნდის ძირითადი გოლკიპერის დაბრუნების შემდეგ ნიჭიერ მეკარეს, **კენეტ ვერმეერს** თადარიგში გადასვლა მოუწევს. მაარტენი ჰოლანდიის ნაკრების გოლკიპერია, ხოლო ვერმეერს ჯერჯერობით მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშები. 22 წლის ფეხბურთელს კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. ამსტერდამელები მას ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ. თუმცა კენეტის აგენტი მოლაპარაკებას არ თანხმდება. მას ვერმეერის დუბლიორობა არ აკმაყოფილებს.

უკვე გაცნობეთ, რომ **მარკო ვან ბასტენმა** „აიაქსის“ განმენდა და გაძლიერება განიზრახა. შესაძლო შენაძენებს შორის სახელდება „ტვენტეს“ 21 წლის ფეხბურთელი **ელერო ელია**. ეს ბიჭი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე ჰოლანდიის ნაკრების კანდიდატია. ერთნაირი წარმატებით თამაშობს თავდასხმის ორსავე ფლანგზე. ელიას „ტვენტესთან“ კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. ის 4-5 მილიონი ევრო ღირს. ამსტერდამელთა გარდა, ელიას „მანჩესტერ სიტი“, „ევერტონი“, „ბოლტონი“, „შალკე“ და „ბაიერნი“ ეპატიჟებიანო, წერს „ალგემეენ დაგბლადი“. იმავე გაზეთში დაიბეჭდა „ტვენტეს“ პრეზიდენტ **იოოპ მუსტერმანის** სიტყვები: *„აიაქსმა“ ელერო ელიას ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება შემოგვთავაზა, მაგრამ უარით გავისტუმრეთ. მან შეუფერებლად დაბალი თანხა შემოგვთავაზა. იანვრის ბოლომდე გერმანიიდან და ინგლისიდან ალტერნატიულ წინადადებებს დაველოდებით...“*

აქვე გეტყვით, რომ „აიაქსის“ ყოფილი კაპიტნის, დენი ბლინდის ვაჟმა, **დეილი ბლინდმა** ამსტერდამულ გრანდთან პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულებას 2013 წლის ივნისამდე მოეწერა ხელი. დეილი „აიაქსის“ იუნიორთა გუნდის კაპიტანი გახლდათ. მამამისივით, ის დიდი „აიაქსის“ კაპიტნობასაც აპირებს.

ახლა ორიოდ სიტყვას სხვა ჰოლანდიური კლუბების შესახებაც მოგახსენებთ. „უტრეხტმა“ მთავარი მწვრთნელი **ვილემ ვან ჰანეგემი** დაითხოვა. ერთი დღით ადრე ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა უტრეხტელი დირექტორატი გააკრიტიკა და განაცხადა - როგორც კი სეზონი დასრულდება, გადავდგებიო. ვან ჰანეგემის ადგილას მეორე მწვრთნელი **ტონ დუ ჩატინიერი** დანიშნეს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ვილ ვან ჰანეგემი იმ ჰოლანდიის ნაკრების მცველი იყო, რომელიც 1974 წლის მუნდიალის ფინალში გერმანიასთან დამარცხდა.

მიმდინარე სეზონში, ერედივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი ალკმაარელი **მუნირ ელ ჰამდაუია**. მან 15 მატჩში 15 გოლი და 5 საგოლე პასი მიითვალა. ესპანური პრესა იუწყება, რომ მუნირმა თვით „ბარსელონას“ ალუძრა მადა. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ელ ჰამდაუის შესაძლო კატალონიურ ტრანსფერს უკვე გამოეხმაურა **ლუი ვან გაალი**. აი, მისი კომენტარი: *„ბარსელონა“ ფანტასტიკური კლუბია. თუ მუნირი ესპანეთში გამგზავრებას მოისურვებს, ხელს არ შევუშლით.“*

ამასობაში, „ჰერენვეენმა“ 26 წლის შვედი თავდამსხმელი **პატრიკ ინგელსტენი** შეიძინა. ფეხბურთელს განაცხადში ახალი წლის დადგომისთანავე შეიყვანენ. *„შეთანხმება მიღწეულია. დარჩა მხოლოდ წვრილმანი საკითხები. „ჰერენვეენის“ მიერ შემოთავაზებული თანხით ბოლომდე კმაყოფილები არ ვართ, მაგრამ რა გაეწყობა,“* - განაცხადა ინგელსტენის აწ უკვე ყოფილი კლუბის „კალმარის“ პრეზიდენტმა **იონი პეტერსონმა**. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში „კალმარიდან“ „ჰერენვეენში“ გადავიდა შვედეთის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ვიქტორ ელმი**.

დაბოლოს, „ფეიენოორდმა“ ახალი კონტრაქტები შესთავაზა 20 წლის გარემარბ **დიეგო ბისესვარსა** და 26 წლის მარჯვენა მცველ **სერჟინიო გრინს**. სურინამელთა დღევანდელი კონტრაქტები სეზონის ბოლოს იწურება. როტერდამული გრანდი სეზონს უსახურად ატარებს. 16 ტურის შემდეგ მას მხოლოდ 16 ქულა აქვს და მე-13 ადგილი უკავია. კლუბის ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის, **გერტ იან ვერბეეკის** დათხოვნას ჯერ არ აპირებს. ამის გამო ფეხბურთელები „ფეიენოორდთან“ ახალი კონტრაქტების გაფორმებას ჯერჯერობით თავს არიდებენ. ასევე იქცევა 21 წლის კანადელი საყრდენი ნახევარმცველი **ჯონათან დე გუზმანიც**, რომელიც უფრო ამბიციური კლუბებიდან სარფიან შეთავაზებებს ელის.

ინგლისის ნაკრები

# ხანგრძლივი კონტრაქტი კაპელოს

## ...და იტალიელის დონის ულტიმატუმი დევიდ ბექჰემს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თავკაცი, ლორდი დევიდ **ტრისმენი** დიდი სიხარულით აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყებს მოლაპარაკებას ფაბიო **კაპელოსთან** კონტრაქტის 4.5 წელიწადით გაგრძელების შესახებ. ამ ინფორმაციას „დეილი მეილი“ ავრცელებს. *„ფაბიომ ზუსტად იცის, რა უნდა. შესანიშნავი იქნებოდა, თუკი მასთან თანამშრომლობას გავახანგრძლივებდით. თუ ეს მოხერხდა, მისი ხელმძღვანელობით შესანიშნავი ნაკრების ჩამოყალიბებას შევძლებთ,“* - აცხადებს ლორდთა პალატის პატივცემული წევრი.

მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** “მილანში” გადადის. მიმომხილველთა ვარაუდით, გალაქტიკოს იტალიურ ტრანსფერს საფუძვლად უდევს არა სპორტული პრინციპი, არამედ მარკეტინგული გეგმა. პოპულარულ ფეხბურთელთან ორთვიანი კონტრაქტის გაფორმება “როსონერის” პოპულარობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. ფაბიო კაპელომ ვეტერანი ნახევარმცველის გასაგონად ასეთი განცხადება გააკეთა:

*„მომდევნო ორი თვის განმავლობაში დევიდს მუდმივად მართებს თამაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებ მის გამოძახებას. როდესაც ის ლოს-ანჯელესში სტაბილურად ასპარეზობდა, ნაკრებშიც უპრობლემოდ ვიძახებდი. ფეხბურთელთა შერჩევის წესი არ იცვლება. თამაშობს ის, ვინც კონკრეტული მომენტისათვის სხვაზე უკეთეს ფორმაშია.”*



ფაბიო კაპელო და დევიდ ბექჰემი

დონ ფაბიოს შეახსენეს, რომ ბექჰემს სულ რაღაც ერთი მატჩი აშორებს ლეგენდარული **ბობი მურის** რეკორდისაგან. ბექზის სანაკრებო აქტივში 107 მატჩია. მურს ეროვნულ გუნდში მასზე ერთით მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული. თებერვალში, ინგლისს ესპანეთთან ამხანაგური შეხვედრა აქვს დანიშნული. ბექჰემს შეუძლია, მურის რეკორდი ესპანელებთან მატჩისას გაიმეოროს. მაგრამ კაპელოს პირადი მიღწევები არ აინტერესებს: *“აქ იმისთვის ვარ, რომ ნაკრებმა თამაშები მოიგოს და არა იმიტომ, რომ ვიღაცამ რეკორდი დაამყაროს. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დევიდი გუნდისათვის საჭირო ფეხბურთელია. მას ზღვა გამოცდილება გააჩნია, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და თანაგუნდელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ბექზს სხვებზე უკეთ ვიცნობ. მოგეხსენებათ, მასთან ერთად ჯერ კიდევ „რეალში“ ვმუშაობდი,“* - განაცხადა იტალიელმა მაესტრომ.

და კიდევ ერთი ინფორმაცია ნისლიანი ალბიონიდან. სად გაიმართება 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი? **ზეპ ბლატერი** ამ საკითხზე ბევრს ფიქრობს. ცნობილია, რომ ტურნირის მასპინძლობისათვის იბრძოლებენ ინგლისი, ესპანეთი და ავსტრალია. სამივე ქვეყანა ღირსეულზე ღირსეული კანდიდატია. ამ ქვეყნებში საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, მაგრამ ინგლისს, როგორც ფეხბურთის სამშობლოს, მაინც გამორჩეული ხიბლი აქვს. 2012 წელს ლონდონმა ზაფხულის ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს. საგანგებოდ ამ მოვლენისათვის ბრიტანეთის დედაქალაქში ოლიმპიური სტადიონი აშენდება. ლონდონს კიდევ ერთი უთანამედროვესი საფეხბურთო არენა შეემატება.

აი, ფიფას პრეზიდენტის კომენტარი: *„ინგლისი ძალიან ძლიერი კანდიდატია. ამ ქვეყანაში ფეხბურთი უმაღლეს დონეზეა განვითარებული. ესპანეთიც ჩინებული პრეტენდენტია. ბრძოლა 2018 წლის ტურნირის მასპინძლობისთვის უკვე დაწყებულია“*. ფავორიტების გარდა, არსებობენ ეგრეთ წოდებული მეორე ეშელონის პრეტენდენტები, ისეთები, როგორებიც არიან კატარი, რუსეთი, იაპონია და ჩინეთი.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## ასტონ ვილა: დეფო? რატომაც არა?

ბირმინგემის „ასტონ ვილა“ მზადაა, „პორტსმუთისა“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდი **ჯერმეინ დეფო** შეიძინოს. თავდამსხმელს სხვა პრემიერლიგური კლუბებიც აკვირდებიან - „ტოტენჰემი“, „მანჩესტერ სიტი“ და „ლივერპული“. დეფოს „პორტსმუთთან“ კონტრაქტი 2012 წელს იწურება. ამიტომ ის საკმაოდ ძვირი ღირს - 12-14 მილიონი გირვანქა. ამ სეზონში „ვილას“ ძალიან ამბიციური გეგმები აქვს. ბირმინგემელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ოთხეულში მოხვედრა. ამოცანის შესასრულებლად მათ ოთხიდან ერთი ინგლისური გრანდის თამაშგარეში დატოვება მოუწევთ. გუნდის თავკაც **მარტინ ონილს** ეს გამოწვევა არ აშინებს. 18 ტურის შემდეგ მისი შეგირდები მესამე ადგილზე იმყოფებიან, ხუთი ქულით ჩამორჩებიან გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ლივერპულს“ და სამი ქულით აღემატებიან მეხუთე ადგილზე მყოფ „არსენალს“. მიმომხილველთა აზრით, სწორედ „არსენალი“ შეიძლება გახდეს ბირმინგემელთა მომეტებული ამბიციის მსხვერპლი. „მეთოფეებმა“ თუ ასე გააგრძელეს, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი საგზური მათ ნაცვლად, „ასტონ ვილას“ გადაეცემა.

## ორმოცი მილიონი ჰიუზს

„მანჩესტერ სიტის“ მთავარი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** იანვარში ახალი ფეხბურთელების შესაძენად 40 მილიონ გირვანქას მიიღებს - იუწყება „დეილი მეილი“. *„მარკ ჰიუზს სჭირდება ის ფეხბურთელები, რომელთაც კარგად იცნობს. გუნდისთვის აუცილებელია სწრაფი, მაღალი კლასის მოთამაშეების გადმობირება. ჰიუზმა აქ თავისი გუნდი უნდაააწყოს და ახალი ფეხბურთელებით შედეგს რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს“*, - აცხადებს კლუბის მმართველი დირექტორი **ხალდუნ ალ მუბარაქი**. გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ამ თანხიდან 25 მილიონი გირვანქა, შეიძლება, „ვილიარეალის“ მეკარის, **დიეგო ლოპესის** ტრანსფერში დაიხარჯოს.

## ლიდსს ახალი თავკაცი ჰყავს

**გუსტავო პოიეტისა** და **ადრიან ბუდროიდის** წყვილი „ლიდსის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს. მათ ხსენებულ პოსტზე შოტლანდიელი **გარი მაკალისტერი** უნდა შეეცვალათ. შოტლანდიელი კლუბის ხელმძღვანელობამ სულ ახლახან გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან. ამავე პოსტზე დანიშვნის კანდიდატი იყო სერ **ალექს ფერგიუსონის** ვაჟი **დარენ ფერგიუსონი**, მაგრამ რიგი საკითხების გამო მისი კანდიდატურა მალევე გამოირიცხა, - გვამცნობს „ტელეგრაფი“. შეგახსენებთ, რომ პოიეტი „ტოტენჰემში“ **ხუანდე რამოსის** თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო ბუდროიდი 2005-2008 წლებში „უოტფორდს“ წვრთნიდა. იორკშირული კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, რომ **სტივ სტონტონის** საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, „ლიდსის“ მწვრთნელის პოსტი მანაც დატოვა. ირლანდიის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი მაკალისტერის თანაშემწედ თებერვლიდან მუშაობდა.

P.S. როგორც გუშინ გვიან ღამით გახდა ცნობილი, "ლიდსს" უკვე სრულფასოვანი თავკაცი ჰყავს. ამ თანამდებობაზე **საიმონ გრეისონი** დაინიშნა. მისტერ საიმონი აქამდე სამი წლის განმავლობაში "ბლექპულს" თავკაცობდა.

## ჰალ სიტის ანგარიშის ჩაბარება მოუწევს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ „ჰალ სიტის“ ხელმძღვანელობას საკუთარი პასუხისმგებლობა შეახსენა, რადგან სწორედ ისინი არიან სტუმართა გუნდის უსაფრთხოების გარანტები. მოგეხსენებათ, „სანდერლენდთან“ (1:4 სტუმართა სასარგებლოდ) თამაშის დროს სერიოზული ინციდენტი მოხდა. მასპინძელთა გულშემატკივარმა სტუმარ **ფილ ბერდსლის**, როცა ეს უკანასკნელი საჯარიმოს დასარტყმელად ემზადებოდა, შუშის ბოთლი ესროლა და ცოტა დააკლდა, თავში რომ გაერტყა. მატჩის არბიტრმა **მაიკ რაილიმ** თამაშის ოქმში, ბუნებრივია, ყველაფერი დეტალურად აღწერა. „ჰალ სიტის“ ალბათ სერიოზული ჯარიმა ელის.

## ფიფამ გადაწყვეტილება შეცვალა

მოგეხსენებათ, ფიფას პერუს, ქუვეითისა და სამოას ფეხბურთის ფედერაციები დისკვალიფიცირებული ჰყავდა. შეგახსენებთ, რომ პირველი ორი ფედერაციის საქმეში სახელმწიფო სტრუქტურების ჩარევის გამო იყვნენ დასჯილნი, ხოლო მესამე სერიოზული ფინანსური და ადმინისტრაციული გადაცდომების გამო. პერუ და სამოა უპირობოდ დაბრუნდნენ ფიფას რიგებში, ხოლო ქუვეითი მხოლოდ საგამოცდო ვადით. თუკი მსგავსი პრეცედენტი ქვეყანაში კიდევ მოხდება, ამ ქვეყნის ფეხბურთის წინააღმდეგ ბევრად უფრო მკაცრი სანქციები გატარდება.

ძიუდო

მეგობრობა გზად და ხიდად



მარცხნიდან: დილარ ხაბულიანი, გია ნაცვლიშვილი, მასამიცუ ოკი და შოთა ჩოჩიშვილი

# იამასიტა ქართველ ბავშვებთან ვარჯიშის ჩატარებაზე ოცნებობს

დილომში ერთი თვის წინათ ძიუდოს აკადემია ჩადგა მწყობრში, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელი მიენიჭა. ამ შესანიშნავ სასახლეს სამი დარბაზი აქვს. ერთ-ერთის კეთილმოწყობა იაპონელებმა ითავეს და გუშინ ორი ერის მეგობრობის ძიუდოს დარბაზი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოში იაპონიის ელჩი **მასამიცუ ოკი**, სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი **ზაზა დოლიძე**, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **დილარ ხაბულიანი**, ოლიმპიური ჩემპიონები **შოთა ჩოჩიშვილი, დავით გობეჯიშვილი** და სხვები.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართველები არემონტებდნენ ძიუდოს სასახლეს. გადავწყვიტეთ, ამ საქმეში მეგობრებს დავხმარებოდით. იაპონიისა და საქართველოს ძიუდოისტთა ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელსაც მეგობრობის დარბაზი კიდევ უფრო განამტკიცებს. ჩვენი თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება, - ბრძანა ბატონმა ელჩმა და მასპინძლებს ძიუდოს ფუძემდებლის **ძიგარო კანოს** სურათი გადასცა, რომელიც მეგობრობის დარბაზში დაკიდეს.

დილარ ხაბულიანმა ძვირფას სტუმარს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ ორი ქვეყნის ძიუდოისტები მომავალშიც მეტოქეობასთან ერთად მძმობის გზებით ივლიან.

**დავით ნამგალაური:** - საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერა. აქტიურობით იაპონია გამოირჩევა: არა მარტო ამ დარბაზის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ სახსრებს ვგულისხმობ - ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს სხვა პროექტების განხორციელებაც აქვთ გამიზნული. უკვე განსაზღვრულია თანხა სუმოს დასახმარებლად.

**გია ნაცვლიშვილი:** - ასეთი დონის სასახლე პირველია საქართველოში. იგი ჩვენს ძიუდოისტებს დაოსტატებაში დაეხმარება. მომავალ ოთხ წელიწადში ბევრ ოლიმპიურ სახეობას ექნება კომფორტული დარბაზები.

**შოთა ჩოჩიშვილი:** - დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იაპონელებს მეგობრობის დარბაზის კეთილმოწყობისთვის, ასევე, იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩემი დამსახურება არ დაივიწყეს და ძიუდოს აკადემიას შოთა ჩოჩიშვილის სახელი მიანიჭეს. ეს სპორტული კომპლექსი იმის საწინდარია, რომ მომავალში ჩვენი ძიუდოისტების წარმატებები იმრავლებს...

იაპონია-საქართველოს მეგობრობის ძიუდოს დარბაზის გახსნისას სტუმრებმა სახელოვანი ფალავნის **იასუჰირო იამასიტას** მიერ ქართველი მეგობრებისადმი გამოგზავნილი წერილიც წაიკითხეს. შემოკლებულ ვარიანტს აქვე გთავაზობთ:

*„საქართველო 1978 წელს გავიცანი, როდესაც თბილისში ჩამოვედი და ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე. მას შემდეგ მრავალი იაპონელი ძიუდოისტი ესტუმრა საქართველოს და არანაკლები ქართველი სპორტსმენი მივიღეთ ტოკაის უნივერსიტეტში. პირველი ვაჟი რომ შემეძინა, შოთა დავარქვი მეგობარი ძიუდოისტების - შოთა ჩოჩიშვილისა და შოთა ხაბარელის პატივსაცემად. მინდა, რომ ჩემი შვილიც მათსავით ვაჟკაცი იყოს.*

*ჩვენ, ძიუდოისტები, ვმეტოქეობთ, მაგრამ ერთმანეთის მოძულენი არ ვართ. მეტოქეობა გვაძლევს სტიმულს, მეტი და მეტი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. ძიუდოში ყველაზე მნიშვნელოვანია ღირსების გრძნობა და მოწინააღმდეგის პატივისცემა. ძიუდომ მრავალი მეგობარი შემძინა საქართველოსა თუ მთელ მსოფლიოში. ამიტომ, ვფიქრობ, ეს დარბაზი დამაკავშირებელ ხიდად იქცევა იაპონიასა და ჩემს საყვარელ საქართველოს შორის.*

*მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც იაპონია-საქართველოს მეგობრობის ძიუდოს დარბაზში ქართველ ბავშვებთან ვარჯიშის ჩატარების შესაძლებლობა მომეცემა.*

*მინდა, რომ ძიუდოს დარბაზს სახელოვანი მომავალი, ხოლო ქართველ ძიუდოისტებს ახალ-ახალი გამარჯვებები ვუსურვო...“*

ჭიდაობა

ინტერვიუ გელა სალირაშვილთან

# თუ დარჩენაა, დარჩენა იყოს

***ამას წინათ ინდოელთა მიწვევით ქალაქ კოლჰაპურში იმყოფებოდნენ ქართველი ფალავნები - პეკინის თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე და ორი ოლიმპიადის მონაწილე გელა სალირაშვილი, რომლებმაც იოლად სძლიეს მეტოქეებს და შინ გამარჯვებული დაბრუნდნენ.***

გელა სალირაშვილი (74 კგ.) 28 წლის გახლავთ. დიდი ხანია, **მარლენ ოსიყმაშვილთან** ვარჯიშობს. საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი ვერცხლის მედალოსანი მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. 2007 წელს ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. მონდომებით დაიწყო მზადება თამაშებისთვის. სამწუხაროდ, წლეულს რამდენიმე ტურნირზე ხელი მოეცარა, მათ შორის ევროპის ჩემპიონატზე - მეორე წრეში პოლონელ **ბრზოზოვსკისთან** დამარცხდა, არადა, მანამდე მისთვის ორჯერ ჰქონდა მოგებული. ნავსი რუმინეთის ტურნირზე გატეხა - მესამე ადგილი დაიკავა და ჩინეთის დედაქალაქშიც იმედიანად გაემგზავრა. ოლიმპიურ ხალიჩაზე პირველ შეხვედრაში გვინეა-ბისაუელ **აუგუსტო მიდანას** აჯობა, მეორე ორთაბრძოლა კი ბელარუსის სახელით მოასპარეზე **მურად გაიდაროვთან** დათმო.

- ორივე რაუნდი ფრედ დამთავრდა, - მითხრა გელა სალირაშვილმა. - წილისყრამ ორჯერვე ჩემს მეტოქეს გაუმართლა. გაიდაროვი გამოცდილი ფალავანია და შანსი ხელიდან არ გაუშვა. სამწუხაროდ, იგი მეოთხედფინალში **სოსლან თიგიევთან** დამარცხდა და მეც ოლიმპიადას დავემშვიდობე. სოსლანი იმ **თეიმურაზ თიგიევის** ძმაა, რომელმაც ნახევარფინალში გიორგი გოგშელიძეს კინაღამ თვალი რომ ამოსთხარა. საგულისხმოა, რომ ძმებმა პეკინში ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ ისე ვიყავი გულგატეხილი, რომ ჭიდაობისთვის თავის დანებება მინდოდა. ჩემმა მწვრთნელმა მარლენ ოსიყმაშვილმა და მეგობრებმა შემაგულიანეს - ხომ ხედავ, 32 წლის **რევაზ მინდორაშვილმა** ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ასე რომ, არც შენთვისაა ყველაფერი დაკარგული. ვერც მეუღლეს გავუტეხე ხათრი და ისევ ხალიჩას დავუბრუნდი.

**- ინდოეთში როგორ მოხვდი?**

- ის იყო, ვარჯიში განვაახლე, რომ ინდოეთიდან გიორგი გოგშელიძეს შეეხმიანენ - ჩვენს ეროვნულ ჭიდაობაზე გეპატიჟებით და საჩვენებელ შეხვედრაშიც მიიღეთ მონაწილეობაო. გიორგიმ ორგანიზატორებს უთხრა, სალირაშვილსაც თუ მიიწვევთ, აუცილებლად ჩამოვალთო. ისინიც უყოყმანოდ დათანხმდნენ.

ინდოელები ბოლო დროს დიდ ყურადღებას უთმობენ თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაცია-განვითარებას, ამიტომ ცდილობენ, შეჯიბრებებზე სახელოვანი ფალავნები მიიწვიონ. პეკინის ოლიმპიადაზე 66 კილოში სუშილ კუმარი მესამე პრიზიორი გახდა - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მან ყაზახ სპირიდინოვს სძლია. 60 კილოში გამოდიოდა იოგეშვარ დუტი, ხოლო 120 კილოში რაჯუ ტომარი, რომელიც ეროვნულ ჭიდაობაში ინდოეთის ხუთგზის ჩემპიონია. კოლაჰაპურში სტუმრობისას გოგშელიძემ სწორედ რაჯუს სძლია. ამ შეხვედრამდე კი ეროვნულ ჭიდაობაში გაიმართა საინტერესო ტურნირი წითელ ქვიშაზე, რომელსაც 20 ათასზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა. მერე ქვიშაზე ხალიჩა გადააფარეს და ასე გვაჭიდავეს. მე 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში იქაურ ფალავანს უნდა შევხვედროდი, მაგრამ მეტოქემ უარი თქვა ჭიდაობაზე. მაშინ მძიმეწონოსანთან შერკინება მთხოვეს ორგანიზატორებმა. არც მიყოყმანია. სამწუხაროდ, მოწინააღმდეგის სახელი არ მახსოვს, ის კი ვიცი, რომ პირველი რაუნდი 3:0, მეორე კი 7:0 მოვუგე. გიორგიმაც ორივე პერიოდში დაამარცხა ტომარი. მასპინძლებმა მგზავრობის ხარჯები აგვინაზღაურეს და ფულადი პრიზებითაც დაგვაჯილდოვეს.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

- იანვრის მიწურულს საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ვეცდები, ჩემპიონობა მოვიპოვო და ნაკრებში ადგილი შევინარჩუნო, რათა წლევანდელი დანაკლისი გაისად ავინაზღაურო. თუ დარჩენაა, დარჩენა იყოს.



ტყვიის სროლა

# ჩუბინებს სეოკ-ის თანადგომაც არ მოაკლდებათ

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტყვიის სროლის ფედერაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ 2006-2008 წლების შედეგების შესაჯამებლად. გულწრფელად ილაპარაკეს ამ სახეობაში არსებულ შუქ-ჩრდილებზე. დასახეს სამომავლო გეგმებიც. სხდომის დამთავრების შემდეგ ყრილობის რამდენიმე მონაწილეს გავესაუბრე:**

როლანდ გირგვლიანი, *საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქუთაისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

- ქვეყანას ყოველთვის ვუზრდიდით პერსპექტიულ სპორტსმენებს. ახლაც გვყავს ნიჭიერი თაობა, მაგრამ მოსამზადებლად პირობები გვაკლია. ქალაქის ცენტრში, „დინამოს“ სტადიონზე, არის შენობა, რომლის მეორე სართულზე მოჭიდავეები ვარჯიშობენ, პირველ სართულზე კი, დაახლოებით ათას კვადრატულ მეტრზე, ორი ტირია განთავსებული, მაგრამ რად გინდა - უამინდობისას ჭერიდან წყალი ჩამოდის, კედლები სველდება, იარალი ფუჭდება, ტყვია-წამალი ნესტიანდება. მოზარდები სიცივეში რიგიანად ვერ მეცადინეობენ, შეშის ღუმელზე ვთბებით. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ დარბაზს გადაგვიხურავენ და იარაღებსაც შეგვიძენენ. ხუთი წლის წინათ ტირი გაგვიძარცვეს - 44 მცირეკალიბრიანი და პნევმატური იარაღი წაიღეს, მათ შორის საბჭოთა კავშირის რვაგზის ჩემპიონისა და რეკორდსმენის **ლია ჩაგანავასი.** სამწუხაროდ, დღემდე მათს კვალს ვერ მიაკვლიეს.

ნინო სალუქვაძე, *ოლიმპიური ჩემპიონი:* - ბოლო სამი წლის განმავლობაში ევროპის ჩემპიონატებზე რამდენიმე საპრიზო ადგილი დავიკავეთ, მსოფლიოს თასებზეც მივაღწიეთ წარმატებას, პეკინის ოლიმპიადაზეც არ შეგვირცხვენია თავი; სპორტის დეპარტამენტისა და სროლის სახეობათა ფედერაციის თანხებით, ასევე, შემოწირულობებით, შევიძინეთ ტყვია-წამალი და იარაღები.

რამდენჯერმე შეჯიბრებებზე მოზარდებიც გვყავდა, მაგრამ სასურველი შედეგები ვერ აჩვენეს, რადგან მათთვის საწვრთნ... ...რებების ჩატარება ვერ მოხერხდა. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ - წლევანდელ წარმატებებს იმასაც ვუმადლი, რომ ერევნის დიდებულ ოლიმპიურ ბაზაზე ორჯერ ვიყავი შეკრებაზე. ყოველი სჯა-ბაასის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აუცილებლად გვჭირდება ღია სასროლეთი. ქალაქის მერიის სპორტის სამსახურის უფროსის ზაზა დოლიძის დახმარებით დედაქალაქის ტერიტორიაზე ღია სასროლეთის ასაშენებლად გამოვძებნეთ ადგილი. ინვენტარს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გვპირდება. ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქარსელაძის აქტიური ჩარევით, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენც ავაშენებთ თანამედროვე ტირს, სადაც ვარჯიში და ოლიმპიადისთვის მომზადება შესაძლებელი იქნება.

თამაზ იმნაიშვილი, *სროლის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი:*

- ყოფილ საბჭოეთში საქართველოს სასტენდო სროლაში მოწინავე პოზიციები ეკავა. საკავშირო ნაკრებში უმრავლესობას ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მაღალი მიღწევებით გაითქვეს სახელი ზურაბ მაჩხანელმა, ტარიელ ჟღენტმა, ბორის ანტონოვმა, თემურ მატოიანმა, გია შენგელიამ, დავით ქვათაძემ. პირადად მე 30 წელიწადი გამოვდიოდი საერთაშორისო სარბიელზე - ვიყავი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი, საკავშირო ნაკრების კაპიტანი და დღეს გული მიკვდება, როცა ვხედავ, რომ სასტენდო სროლა თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. შესანიშნავი ბაზები გვქონდა თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთსა და ზუგდიდში, რომლებიც იავარქმნილია. სპორტის დეპარტამენტისა და სეოკ-ის ახალი ხელმძღვანელობის თანადგომით, აღორძინების ხანა იწყება. უკვე 16 იანვრისთვის გადმოგვირიცხავენ სახსრებს სასტენდო სროლისთვის სატყორცნი მანქანა-დანადგარების შესაძენად. ქალაქის მერიის სპორტის სამსახურის დახმარებით ვარკეთილში გამოიყო ადგილი, სადაც სტენდი მოეწყობა. ალბათ, ფედერაციის მრავალი თაობის წარმომადგენელთა ოცნებაც ახდება. ეს კი საშუალებას მოგვცემს, კვლავ აღვზარდოთ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენები, რომლებიც, ნინო სალუქვაძის მსგავსად, მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გვასახელებენ.

დიდად გვეიმედება ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტისა, რომელიც მეგობარი ბიზნესმენების დახმარებით ტყვიის მსროლელებსა და მესტენდურებს იარაღს, ქუთაისელ ჩუბინებს კი დარბაზის გადახურვასაც შეჰპირდა.

გია ნაცვლიშვილი, *სეოკ-ის პრეზიდენტი:* - საქართველოში სპორტის ისეთი სახეობები გვაქვს, რომლებშიც, ტრადიციულად, წარმატებებს ვაღწევთ. უპირველესად, სწორედ, მათ უნდა მივხედოთ. მათ შორის - სროლის სახეობებს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე აქტიურ სპორტში რჩება. მას კიდევ შეუძლია მრავალჯერ გვასახელოს, თან მისი მაგალითი სტიმულია ახალგაზრდებისთვის.

მესმის, რომ მთავარი პრობლემა ბაზებია. მალე თანხები გვექნება და ყველაფერს გავაკეთებთ სტენდისა და ტირის ასაშენებლად, უწინდელი ტრადიციების ასაღორძინებლად. შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად იმ ახალგაზრდებს დავაფინანსებთ, რომლებსაც ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვება შეეძლებათ, პერსპექტიულ სპორტსმენებს სტიპენდიებსაც დავუნიშნავთ. გპირდებით, რომ ჩვენი თანადგომა სროლის ფედერაციას არ მოაკლდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# SOS! თსუ იშლება!



ნუგზარ ჭეიშვილი

საქართველოს ჩემპიონატს შეიძლება თსუ გამოაკლდეს. ეს ყურმოკრული ამბავი როდია – გუშინ უნივერსიტეტის დარბაზიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის კაბინეტამდე ვიარე და დავრწმუნდი, რომ თსუ-ს საკალათბურთო გუნდი ხევის პირასაა, ჩასაჩეხად ბიძგიც კი აღარ სჭირდება. ერთადერთი გამოსავალი ქარაფზე გადაკიდებული გუნდის ქეჩოთი დაჭერაღაა.

ჯერ თსუ-ს მწვრთნელ **ნუგზარ ჭეიშვილს** დავურეკე და გუნდში არსებულ მდგომარეობაზე ვკითხე. მან სამი კალათბურთელის გვარი ჩამომითვალა (**დავით და გიგი ბარბაქაძეები, გიორგი ყველაშვილი**), რომლებმაც გუნდი უკვე დატოვეს და ისიც დაამატა, თუ სამგზავრო ფულს არ მივცემთ თსუ-ში აღარავინ დაგვრჩებაო.

ბატონ ნუგზარს ვკითხე, გვირაბის ბოლოს მცირე სინათლე თუ ჩანს-მეთქი? არ ვიციო, მომიგო.

თუკი მწვრთნელმა არ იცის, არც კალათბურთელებს ეცოდინებათ და არც გუნდის მასაჟისტებს. ამიტომ უფრო ზემოთ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ვცადე სიტუაციის გარკვევა. მივადექი სასწავლებლის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, ბატონ **შოთა მინდელს**. მან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან გამგზავნა – ის დაგაკვალიანებს, ზუსტად ვის მიაკითხოო. გამიჩნდა იმედი, რომ იმ პიროვნებებამდე მივიდოდი, ვინც თსუ-ს საკალათბურთო გუნდის არსებობა-არარსებობის საკითხს წყვეტს, მაგრამ თურმე, ბატონ **გია ხუბუას** თსუ-ს საკალათბურთო გუნდის საკითხზე პრესასთან საუბარი უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელის, **ლილიკო ნემსაძისთვის** მიუნდვია.

...ბატონმა ყმას უბრძანა, ყმამ მოსამსახურესო და ა. შ. – უბრალოდ, გამოთქმაა ასეთი.

მივადექით ქალბატონი ლილიკო ნემსაძის მოადგილეს **მაია ლომინეიშვილს.**

"უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უფლება არ აქვს მოთამაშის მოწვევის და მისთვის ხელფასის გადახდის. ამიტომ მან საკუთარ თავზე აიღო საკალათბურთო გუნდის ბაზით უზრუნველყოფა, ხოლო ხელფასებზე პასუხისმგებლობა "სახალხო ბანკმა" იკისრა. ამ ბანკთან ხელშეკრულება შარშან გაფორმდა. ახალ სეზონს ისე შევხვდით, გვეგონა, კონტრაქტი ძალაში იყო, მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა და ბანკის ხელმძღვანელობის შეცვლამ ბევრი რამ თავდაყირა დააყენა და დაფინანსებაზეც უარი თქვეს. ეს ამბავი ზაფხულში რომ გვცოდნოდა, ახალი სპონსორის ძიებას მაშინვე შევუდგებოდით, მაგრამ ახლა შუა სეზონია და საქართველოს თასის დაწყებამდე უნდა მოვახერხოთ სპონსორის მოძიება," – გვითხრა მაია ლომინეიშვილმა.

ასე და ამგვარად, გუნდის დაშლაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ვერ დავადანაშაულებთ, თუმცა ფაქტია, რომ თსუ-ს ხევში გადაჩეხვა ქართული კალათბურთისთვის დიდი დანაკლისი იქნება – დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს სტუდენტური კლუბი უმაღლესი ლიგის ბინადარი იყო და მასში არაერთ მაღალი დონის ვარსკვლავს უთამაშია. თუნდაც მანუჩარ მარკოიშვილის გვარის ხსენება რად ღირს (რა დონის კალათბურთელია, ამაზე წარმოდგენას ამავე გვერდზე გამოქვეყნებული სტატია შეგიქმნით).

იმედი ბოლოს კვდებაო, ამბობს თსუ-ს მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი. მას იმედი აქვს, რომ 25 იანვრამდე (საქართველოს თასის გათამაშება ამ დღეს იწყება) გუნდს სპონსორი გამოუჩნდება. ...და რა მოხდება წინაალმდეგ შემთხვევაში? ამ კითხვას ნუგზარ ჭეიშვილი დანანებით პასუხობს: *"გუნდიდან ყველა წავა. რჩება ერთი გამოსავალი - შემადგენლობის ახალგაზრდებით შევსება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ განაცხადში 5 ადგილილა გვაქვს. ვთქვათ 5 ახალგაზრდა დავიმატეთ, ჩემპიონატში ხუთი კაცით ვითამაშებთ? კალათბურთის ფედერაციის წესების თანახმად განაცხადში 10-ზე ნაკლები კალათბურთელის შეყვანის უფლება არ გვაქვს. 9 მოთამაშის შეყვანის შემთხვევაში 200-დოლარიანი ჯარიმაა, 8 მოთამაშის შემთხვევაში – 400-დოლარიანი და ა.შ. კიდევ უფრო დიდი ჯარიმა დაგვეკისრება უმაღლესი ლიგიდან გუნდის შუა სეზონში მოხსნის შემთხვევაში. იმედს ვიტოვებთ, რომ საქმე აქამდე არ მივა."*

ჯერჯერობით იმედის საფუძველი და ხევის წინაშე მდგომი გუნდის ქეჩოთი დამჭერი არ ჩანს...



მაკაბი-ნტდ/თბილისი

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# დღეს ფინალია

## ენერჯი vs ნტდ თბილისი

**23 დეკემბერი, რუსთავი**

**სასოფლო-შსს 87:64**

22:15, 12:21, 19:12, 34:16

სასოფლო: ნივნივაძე (11ქ), მარხვაშვილი (27ქ), გ. ბარბაქაძე (16ქ), ტყეშელაშვილი (16ქ, 11მ), ათანელიშვილი (3ქ); ყველაშვილი (12ქ), გულისაბედაშვილი (2ქ), თვაური

შსს: ნინუა (8ქ), ფაიქრიძე, ბერუაშვილი (4ქ), აბულაძე (11ქ), შენგელია (11ქ); გოლეთიანი (16ქ), ბ. ნოზაძე (8ქ), პატარაია (6ქ), მიქაბერიძე, ბაქრაძე, ბერია, გურგენიძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. მაჭავარიანი

**მაკაბი-ნტდ/თბილისი 68:87**

22:22, 14:24, 19:23, 13:18

მაკაბი: კილაძე (13ქ), თევზაძე (6ქ), არონია, მეზვიშვილი, ანთაძე (14ქ), ლონდარიძე (26ქ, 17მ), ჯავახიშვილი (2ქ), რევაზიშვილი (2ქ), ბიბილური (5ქ)

ნტდ: ტეტელაშვილი (5ქ), ჩიტაშვილი (16ქ), ფაშაევი (5ქ), სარიევი (11ქ), ნუფტალიევი (4ქ), დ. ბარბაქაძე (16ქ), გლოველი (5ქ), როდუმტა (2ქ), სუხიშვილი (7ქ), კეიდია (7ქ), კოლუაშვილი (2ქ), ბახშიევი (7ქ) მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

გუშინ **ნუგზარ კანდელაკის** "ნტდ\თბილისმა" "მაკაბის" ძლევით ოფიციალურად მოიპოვა ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალის საგზური. დღეს, გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს თასის მოქმედი მფლობელი "ენერჯი" და ამ სეზონის დაწყების წინ შექმნილი "ნტდ\თბილისი" შეხვდებიან. რუსთაველებმა ფინალის საგზური გუშინ "სასოფლოს" ძლევით გაინაღდეს, დღეს კი ისვენებდნენ და ხვალინდელ ფინალსაც მეტოქეზე მეტად დასვენებულები შეხვდებიან. ნტდ-"მაკაბის" შეხვედრა საინტერესო მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო, ახალგაზრდა მაკაბელები მონდომების წყალობით უძალიანდებოდნენ გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეს. **ილია ლონდარიძემ** თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა და ტურნირის რეკორდი დაამყარა ფარიდან ასხლეტილი ბურთების მოხსნაში - 17 მოიხელთა, რასაც 26 ქულაც მოაყოლა. თუმცა ერთი მოთამაშის აქტიურობა რომ გუნდური წარმატების საწინდარი არ არის, მალე გამოჩნდა და გაცილებით გააზრებულად მოქმედი ნტდელები პირველი მეოთხედის შემდეგ დაწინაურდნენ. ნუგზარ კანდელაკის შეგირდებმა უპირატესობა თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვეს და იოლადაც გაიმარჯვეს.

მეორე მატჩი, სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემი იყო, რაკი "სასოფლოსა" და შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდათ. ამიტომაც, "ძალოვნებმა" ზედმეტი დაძაბულობის გარეშე დაიწყეს თამაში და მთელი პირველი ტაიმი უძალიანდებოდნენ გაცილებით დიდი ამბიციის "სასოფლოს". ვეტერანი **კახა შენგელია** ფარქვეშ ჩვეულად აქტიური იყო, **ბექა გოლეთიანი** კი პერიმეტრიდან ითვლიდა ქულებს და პირველი ტაიმიც შსს-მ 36:34 მოიგო. დიდი შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და "სასოფლომ" მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა. **გიორგი მარხვაშვილმა** და **ლევან ტყეშელაშვილმა** სამქულიანების წარმატებით სროლას მიჰყვეს ხელი, სწრაფი შეტევების ორგანიზებასაც ჩინებულადართმევდნენ თავს და საბოლოოდ ყველაფერი მათ სასარგებლოდ დასრულდა — 87:64. ფინალი "ენერჯი-ინვესტსა" და "ნტდ\თბილისს" შორის, რუსთავში 15 საათზე გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ლეგიონერი

# მანუმ ცსკა დააინტერესა

**ვტბ-ს თასი**

**კიევი-ჟალგირისი 74:67**

მანუჩარ მარკოიშვილი: 22 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება

**ცსკა-კიევი 88:58**

მანუჩარ მარკოიშვილი: 22 წუთი, 17 ქულა, 1 მოხსნა

**დინამო-კიევი 73:86**

მანუჩარ მარკოიშვილი: 31 წუთი, 28 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი

რუსეთის დედაქალაქში დასრულდა საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი, რომელშიც პოსტსაბჭოური კლუბები მონაწილეობდნენ. მოსკოვში შეიკრიბნენ ცსკა, მოსკოვის "დინამო", პოდმოსკოვიეს "ხიმკი", "კიევი", მარიუპოლის "აზოვმაში", ლიტვის "ჟალგირისი". რიგის ასკ და პოსტსაბჭოური მყუდროება პოლონურმა "სოპოტმა" დაარღვია.

არ ვიცით, ამ შეჯიბრებამ ორგანიზატორთა იმედები როგორ გაამართლა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული გუნდების არმიწვევის მიუხედავად, ქართველთა მოლოდინმა აშკარად გაამართლა: **მანუჩარ მარკოიშვილი** "კიევს" ბრინჯაოსკენ გაუძღვა და ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც ამოყო თავი. ეს ერთი-ორად დასაფასებელია მაშინ, როცა შეჯიბრებაში ისეთი გრანდები მონაწილეობდნენ, როგორებიც არიან ცსკა და "ჟალგირისი".

ოღით, მოვლენებს ქვემოდან აღმა ავყვეთ და ჯერ სიმბოლურ ნაკრებს გავეცნოთ: **რობერტ ჰოლდენი** (ცსკა), **ანტონ პანკრაშოვი** ("ხიმკი"), **მანუჩარ მარკოიშვილი** ("კიევი"), **კენან ბაირამოვიჩი** ("კიევი"), **მაიკ უილკინსონი** ("ხიმკი"). ტურნირის ყველაზე ღირებულ მოთამაშედ ჩემპიონი ცსკა-ს ლიტველი ლეგიონერი **რამუნას შიშკაუსკასი** დასახელდა.

მესამე ადგილისთვის მატჩში "კიევი" **გიორგი ცინცაძის** ყოფილ კლუბ მოსკოვის "დინამოს" დაუპირისპირდა. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და კიეველთა გამარჯვებით დასრულდა – 86:73. ვინც შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი იხილა, დაგვეთამხმება, რომ მანუჩარ მარკოიშვილის გარეშე კიეველები დინამოელებს ვერ დაამარცხებდნენ – როცა მანუ მოედანზე იყო, უკრაინელები 8-10 ქულით გადიოდნენ წინ, ხოლო როცა მწვრთნელი **საშა ობრადოვიჩი** მარკოიშვილს სკამზე სვამდა, უპირატესობას მოსკოველები ეუფლებოდნენ.

*"მანუმ "კიევის" დაცვა მნიშვნელოვნად გაამყარა და შეტევები გაამრავალფეროვნა,"* – წერია "კიევის" ოფიციალურ ვებსაიტზე. იქვე ვკითხულობთ: *"სკეილზმა და მარკოიშვილმა დროულად განახორციელეს სამი სწრაფი გარღვევა და დიდ შესვენებამდე სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს – 37:42.*

*შესვენებაზე მწვრთნელმა უკრაინელებს უთხრა – დღეს თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ მოსკოველებზე არაფრით ნაკლები არ ხართ, მეორე ტაიმის დასაწყისში მარკოიშვილმა ორქულიანი ჩააგდო, საჯარიმო მიაყოლა და "კიევის" ლაღ თამაშს ჩაუყარა საფუძველი."*

საბოლოოდ მატჩი ვინც მოიგო, უკვე გითხარით, ხოლო მანუმ 31 წუთში 4-დან 4 სამქულიანი (!), 6-დან 4 ორქულიანი და 8-დან 8 საჯარიმო გამოიყენა. ერთადერთი, ვინც 20-ქულიანი ბარიერი გადალახა სწორედ მარკოიშვილი იყო – 28 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი.

ტურნირის ნახევარფინალში "კიევი" მოსკოვის ცსკა-ს დაუპირისპირდა. ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, ცსკა-მ უკრაინელები 88:58 გაანადგურა. თუმცაღა, მარკოიშვილს არც ამ მატჩში შეურცხვენია თავი. იგი კიეველთა ბომბარდირი გახდა – 5-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 17 ქულას მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, რომ 2002-03 წლების სეზონში მანუ იტალიურ "ბენეტონში" **ეტორე მესინას** ხელმძღვანელობით თამაშობდა. მესინა ახლა ცსკა-ს წვრთნის და, ალბათ, სწორედ ამიტომ რუსი ჟურნალისტები სერიოზულად ალაპარაკდნენ მანუჩარის მოსკოვურ კლუბში გადასვლაზე...

ვტბ-ს ტურნირის სადებიუტო მატჩი "კიევმა" და მარკოიშვილმა გასახურებლად გამოიყენეს – "ჟალგირისთან" 74:67 მოგებულ მატჩში მანუჩარმა 4 ქულა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა მიითვალა.

ტურნირის ფინალში ცსკა-მ "ხიმკი" 70:66 დაამარცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა სეოკ-ში

# ჭადრაკი და ჩოგბურთი გარანტიებს იღებენ

ამას წინათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ კაფე „მსოფლიო სპორტში" დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადიდან ტრიუმფით დაბრუნებულ ჩვენს ქალთა ნაკრებს საზეიმო მიღება რომ მოუწყო, სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** კლუბის შექმნაზე გაამახვილა ყურადღება, რასაც, ბუნებრივია, ჩვენი საჭადრაკო სამყარო აღფრთოვანებით შეხვდა. გუშინ სწორედ აღნიშნული კლუბის ირგვლივ ისაუბრეს გია ნაცვლიშვილმა და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** მსოფლიოს ხუთგზის გვირგვინოსან **მაია ჩიბურდანიძესთან** ერთად. გადაწყდა, რომ კლუბში ჩიბურდანიძის წინამძღოლობით ოთხი ძირითადი და მეხუთეც სათადარიგო მოჭადრაკე იქნება და გუნდი გაისიდანვე ჩაერთვება ევროპის საკლუბო ჩემპიონატში. *„გადავწყვიტეთ, რომ ახალშექმნილ კლუბს „სამაია" დავარქვათ და ვეცდებით ყველას იმედები გავამართლოთ"* - განაცხადა მაია ჩიბურდანიძემ..

*„სეოკ-ი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს კლუბს. ბუნებრივია, უპირველესად ფინანსურ მხარდაჭერას ვგულისხმობ. ჩვენ შედეგი გვჭირდება, რომელიც სანაკრებო თუ ინდივიდუალურ დონეზე ჭადრაკში ნამდვილად არ გვაკლია, მაგრამ საკლუბო წარმატებებიც არ გვაწყენდა"*- თქვა სეოკ-ის პრეზიდენტმა.





გუშინვე გია ნაცვლიშვილი სეოკ-ის ოფისში ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ლეილა მესხს** და პერსპექტიულ ჩოგბურთელ **სოფიკო შაფათავას** შეხვდა. სეოკ-ის პრეზიდენტი შაფათავას სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე და, რაც მთავარია, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე დაფინანსებას დაჰპირდა. *„ჩვენი მიზანია, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ჩოგბურთშიც ვცადოთ ბედი. მათ შორის კი, ვისზეც აქცენტს ვაკეთებთ, სოფო შაფათავაცაა, რომლისგანაც მომავალში პროგრესს ნამდვილად მოველით"*- აღნიშნა გია ნაცვლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად აუცილებელია მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგის ასეულში მოხვედრა, 19 წლის შაფათავა კი ამჟამად რეიტინგში 245 პოზიციაზეა, თუმცა, როგორც სოფო თავად აღნიშნავს 2009 წლის მიწურულს მისი მიზანია 150-ე პოზიციამდე აიწიოს. სხვათა შორის, ავსტრალიის ღია პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპის ორი წრის გავლა კლასიფიკაციაში იმავე რაოდენობის ქულებს იძლევა, რასაც 50-ათასიანი ტურნირის მოგება. ასე რომ, სოფოს დიდი შანსი აქვს უკვე იანვრიდანვე მოახერხოს რეიტინგში წინსვლა თუ, რა თქმა უნდა, მელბურნის კორტებზე იყოჩაღებს. *„გაისად დაგეგმილი მაქვს უკვე თამაში WTA-ს ტურნირებში დავიწყო. რაც შეეხება ავსტრალიის ღია პირველობას, ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ და არ ვიცი ბატონ გიას მადლობა როგორ გადავუხადო. თავს არ დავზოგავ, რომ ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოვიპოვო"* - მითხრა შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა. ამჟამად სოფიკო შაფათავა თბილისში დიღმის კორტებზე ვარჯიშობს **მარინა მალაციძისა** და **მაია სხირელის** ხელმძღვანელობით.

ბოლოს კი აღვნიშნავთ, რომ დღეს 20:00 საათზე მუსკომედიის თეატრში დაგეგმილია სეოკ-ის ღონისძიება,-შეიქმნება ოლიმპიურ მეცენატთა დარბაზი და სეოკ-ის ვერსიით 2008 წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი გამოვლინდება.

**კახა ბერიძე**

ჭადრაკი

# სუპერთასი ნანასია!

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასის გათამაშება უკვე ტრადიციად იქცა და ამაში უდიდესი დამსახურება ტურნირის ჩატარების მოთავეს, ქალბატონ **ნანა ალექსანდრიას** მიუძღვის. ნანა ალექსანდრია თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საჭადრაკო სკოლის დირექტორი და ამ სკოლაში არსებული საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტია. იდეას თანამოაზრეთა შემოკრების წყალობით შეასხა ფრთები და მართლაც შესანიშნავი შეჯიბრება გამოდის ყოველთვის – ყველა ასაკში იმართება ტურნირები სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში და გამარჯვებულები და პრიზიორები საჩუქრებთან ერთად ფულად ჯილდოებსაც იღებენ... ასე იყო ამჯერადაც. შეჯიბრებაში მხოლოდ ქალბატონები მონაწილეობდნენ და უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სოლიდური შემადგენლობა იშვიათია ქართულ ტურნირებში: თამაში ისურვა ოლიმპიური ნაკრების ყველა წევრმა, გარდა **მაია ჩიბურდანიძისა,** თუმცა ქალბატონმა მაიამ ტურნირი მაინც დააფასა და სტუმრად მობრძანდა.

შეჯიბრების წინ მთავარმა მსაჯმა **ლელა თანდაშვილმა** დებულება გააცნო მოჭადრაკეებს. უმთავრესმა მასპინძელმა ნანა ალექსანდრიამ კი, ოლიმპიური გუნდის წევრებს მიულოცა დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვება და სამახსოვრო საჩუქრებიც უძღვნა. გახსნის ცერემონიაზე ქართული სპორტის მესვეურებიც მობრძანდნენ – კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკა რურუა**, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი **ზაზა დოლიძე** და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გიგი წერეთელი.** აღსანიშნავია, რომ ბატონი გიგი ნტნ-ის საპატიო პრეზიდენტია. ნტნ-ს თანაპრეზიდენტიც ჰყავს – ბატონი **ემზარ ზენაიშვილი**, რომელიც ასევე ესწრებოდა ღონისძიებას. ცხადია, ერთ-ერთ მასპინძლად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძეც** მიიჩნეოდა და ისიც დიდი სიამოვნებით ასრულებდა ამ ფუნქციას. ქალბატონმა ნანამ რამდენიმე სახალისო ისტორიაც გაიხსენა, რაც ოლიმპიელებს დრეზდენში გადახდათ თავს. ამ საქმეში მას არც **ნინო გურიელი** და ნონა გაფრინდაშვილი ჩამორჩნენ... ბატონმა გიგი წერეთელმა მადლობა გადაუხადა ოლიმპიური გუნდის წევრებს დიდი სიხარულის მონიჭებისათვის და თავის მხრივაც მცირედი საჩუქარი გადასცა თითოეულ მათგანს. საჩუქარი მიიღეს გოგონებმა მინისტრისგანაც, თუმცა მან აღნიშნა, რომ ამ შეკრების შესახებ გვიან შეიტყო და ვერ მოასწრო კარგად მომზადება. თუ იმ საჩუქრით ვიმსჯელებთ, საბოდიშო მინისტრს არც არაფერი ჰქონდა – პეკინის ოლიმპიადისთვის დამზადებული ოქროს მედალიონები გადაეცათ ქალბატონებს. იქვე ფრიად სასიამოვნო ინფორმაციაც გაახმოვანა: მიმდინარე



ნანა ძაგნიძე

წლის ბოლომდე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას გადაეცემა დოკუმენტი, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლის შენობის მის საკუთრებაში გადასვლას დაადასტურებს. ქვეყნის ხელისუფლებისგან ეს მართლაც სანუკვარი საახალწლო საჩუქარია. ბატონმა ნიკამ ესეც თქვა: *„ჭადრაკისადმი სახელმწიფოს ყურადღება კიდევ უფრო გაიზრდება და ხელშეწყობაც არ დააკლდება. ადრე ამაზე შესაძლოა, ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ საქმე არ კეთდებოდა, ჩვენს შემთხვევაში კი ნაკლებს ვილაპარაკებთ და მეტ საქმეს გავაკეთებთ. მე ვაპირებ ყველა ფედერაციის ხელმძღვანელობას შევხვდე და ახლოს გავეცნო მათ პრობლემებს. ასეთი შეხვედრა აუცილებლად მექნება ჭადრაკის ფედერაციასთანაც, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავგეგმოთ მომავალი წელი, და ვიცოდეთ, თუ რა იქნება პრიორიტეტი, რათა კიდევ უფრო განვითარდეს და აღორძინდეს საქართველოში ჭადრაკი".*

საჩუქრების გარეშე არ დარჩენილან პატივცემული სტუმრებიც: ქალბატონმა ნანამ ყველა მათგანს გადასცა მშვენიერი საჭადრაკო დაფები ქართული ჭადრაკისადმი გაწეული დახმარებისათვის. ამის შემდეგ მთელი ყურადღება ტურნირისაკენ იქნა მიმართული.

ფინალურ ეტაპზე სულ 40-მა ქალბატონმა ითამაშა. ელვისებური ჭადრაკი 5 წუთი გრძელდება, ყოველგვარი დამატებითი წამების გარეშე. შეჯიბრება შვიდ ტურად ჩატარდა და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრის **ნანა ძაგნიძის** გამარჯვებით დასრულდა – ნანამ 6 ქულით იპირველა. მეორე ადგილზე ასევე ოლიმპიური ნაკრების წევრი **სოფიკო ხუხაშვილი** გავიდა 5,5 ქულით. მესამეზე კი **მაკა ფურცელაძე** ასევე 5,5 ქულით. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, უპირატესს პროგრესის სისტემა ავლენდა. ამ ნიშნით ჩამორჩნენ ფურცელაძეს **ნინო ბაციაშვილი** და **სოფიკო გურამიშვილი**. საინტერესოა, რომ რამდენიმე ფავორიტმა სათანადოდ ვერ ისასპარეზა. ოლიმპიური გუნდის კიდევ ორმა წევრმა ცხრილის შუაში დაასრულა ასპარეზობა: **მაია ლომინეიშვილმა** 4,5 ქულით მეათე ადგილი ირგუნა, ხოლო **ლელა ჯავახიშვილმა** 4 ქულით- მეთოთხმეტე. მეთორმეტე იყო **ნინო ხურციძე**, რომელმაც ასევე 4 ქულა დააგროვა. მოულოდნელი იყო **სალომე მელიას** ხელმოცარვა, რომელმაც მეცხრამეტე ადგილით დაასრულა ტურნირი, თუმცა მასაც 4 ქულა მოუგროვდა. **სოფიო გვეტაძის** 3 ქულა და 22-ე ადგილიც უცნაურია, რადგანაც სოფიო სწრაფი ჭადრაკის კარგ მოთამაშედ ითვლება. აღსანიშნავია, რომ ტურნირში თავად ნონა გაფრინდაშვილმაც მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგადაც ითამაშა - 4,5 ქულით მეთერთმეტე ადგილზე გავიდა.

წინ კიდევ ერთი ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველოდა: ქალბატონი ნანა ალექსანდრიას მორიგი ინიციატივით ნონას თასის გამარჯვებული სუპერთასისთვის უნდა შეხვედროდა ვაჟთა შორის **ტიგრან პეტროსიანის** სახელობის მემორიალის გამარჯვებულს. ტიგრან პეტროსიანის მემორიალი კი დიდოსტატმა **გიორგი ბაღათუროვმა** მოიგო.

ფინალური შეხვედრა ოთხი პარტიისაგან შედგებოდა. თუკი მატჩი ფრედ დასრულდებოდა, გამარჯვებულის გამოსავლენად მაშინვე დაინიშნებოდა ეგრეთ წოდებული „არმაგედონი", სადაც თეთრებს 6 წუთი ეძლეოდათ, შავებს – ხუთი; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდებოდა.

„არმაგედონამდე" საქმე არ მისულა: პირველ ორ პარტიაში გამარჯვება ვერც ერთმა შეძლო, მაგრამ მესამეში და მეოთხეში ძაგნიძემ იძალა და დამსახურებულად დაეუფლა სუპერთასს. ძაგნიძემ წლეულს დიდ წარმატებებს მიაღწია, რაც უპირველესად მის რეიტინგზე აისახა; იგი ფრანგულ კლუბ „მონაკოს" შემადგენლობაში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულია; ვაჟთა შორის დიდოსტატის ნორმა მესამედ შეასრულა, რაც მალე წოდებაშიც აისახება და დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზეც კარგად ისასპარეზა.

როგორც ნანა ალექსანდრიამ განაცხადა, სუპერთასიც ტრადიციული გახდება და იმასაც ვეცდებით, რომ ჩატარების ფორმატიც მეტად დავხვეწოთ და საპრიზო ფონდიც საგრძნობლად გავზარდოთო. ამ წამოწყებაში თანადგომის შესახებ თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსმა ზაზა დოლიძემაც განაცხადა. თუკი ყველას სურვილი და შესაძლებლობა ერთმანეთს დაემთხვა, მომავალ წელს მართლაც გამორჩეული ასპარეზობების მხილველნი გავხდებით.

**ზვიად შათირიშვილი**

ჭიდაობა



# გოგშელიძე პრემიერლიგის ვარსკვლავია

**პეკინის** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მოჭიდავე **გიორგი გოგშელიძე** წლევანდელ სეზონს ბრწყინვალედ ასრულებს. მართალია, გიორგი დააკლდა ნაკრების შეკრებას, სამაგიეროდ, მან საკლუბო ასპარეზზე გვასახელა. ვინაიდან ჩვენში საკლუბო სისტემამ ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი (არადა, ძალიან წაადგებოდა ჭიდაობის კიდევ უფრო პოპულარიზაციას საქართველოში), ჩვენები უცხოეთის კლუბებში ლეგიონერებად მიდიან. გიორგიმ ჯერ ინდოეთში იჭიდავა, სადაც ქვეყნის ფალავნის სახელი მოიპოვა, შემდეგ კი ირანში გადავიდა. ირანში ჭიდაობა უზომოდ პოპულარულია, საინტერესოდ მიმდინარეობს იქაური პრემიერლიგაც, დარბაზები მუდამ გადაჭედილია.

გიორგი გოგშელიძე კლუბ „ჯერედის" (სპარსულიდან ქართულად სეტყვას ნიშნავს) წევრია. 22 დეკემბერს პრემიერლიგაში მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. უდიდეს ინტერესს იწვევდა თეირანის „ნაფტანის" და „ჯერედის" შეხვედრა, ორივე კლუბი პრემიერლიგის A ჯგუფშია. 96 კგ წონით კატეგორიაში გიორგი გოგშელიძე „ნაფტანის" ლიდერს, ირანის ნაკრების წევრ **საიდ ებრაჰიმის** დაუპირისპირდა. პირველი პერიოდი გიორგიმ წააგო (3:3 –ბოლო ქულა ირანელმა მოიპოვა), მეორეში იმარჯვა (3:0), მესამეში კი ირანელმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. შეგახსენებთ, რომ გოგშელიძემ ამ მეტოქეს ოლიმპიადაზეც მოუგო. სწორედ ქართველის მოგების წყალობით „ჯერედმა" 4:3 გაიმარჯვა. „ჯერედში" სულ სამი ლეგიონერია: გოგშელიძე, **დილშოდ მანსუროვი** (უზბეკეთი) და **ალექსეი შემაროვი** (რუსეთი). სამივე ლეგიონერმა იმარჯვა. ამავე ჯგუფში „ზირაბმა" 6:1 გაანადგურა „დორუდი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტომ ნავსი გატეხა



ბევრი ელოდა, რომ ზედიზედ ხუთი ნაგების შემდეგ, "ტორონტო რეპტორზი" სტუმრად, "სტეიპლზ ცენტრის" მოედნის ყოველ სანტიმეტრზე ბრძოლას გაუმართავდა "ლოს ანჯელეს კლიპერსს" და ამ მატჩში შეწყვეტდა თავის წარუმატებელ სერიას. მაგრამ ცოტა იყო ისეთი ოპტიმისტი, რომელიც ამ შეხვედრაში კანადელთა იოლ გამარჯვებას იწინასწარმეტყველებდა.

სამწამიანში თამაშის სპეციალისტის **მარკუს კემბის** არყოფნამ ძალიან გაურთულა საქმე მასპინძელთა გუნდს. "ტორონტოს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ტრაიანომ** სასტარტო ხუთეულში წინა ხაზი "დაამძიმა", როცა მოედანზე ერთდროულად **ჯამარიო მუნი, კრის ბოში** და **ჯერმეინ ო'ნილი შეუშვა**. ამ ტაქტიკამ მხოლოდ მერვე მატჩში გაამართლა.

პირველ ნახევარში კანადურმა გუნდმა კარგად გამოიყენა კემბის არყოფნისას მეტოქის სამწამიანში გაჩენილი ვაკუუმი და უკვე დიდი შესვენებისთვის, "კლიპერსი" ნაწილ-ნაწილ ჰყავდა დაშლილი - 51:32.

**დანლივის** შეგირდები მესამე მეოთხედში მოვიდნენ გონს. **ზაკ რენდოლფის** მონდომებით "კლიპერსი" მეტოქეს ექვს ქულამდე მიუახლოვდა, მაგრამ ყველაფერი მაშინ დასრულდა, როცა მასპინძელთა ასეთი წარმატებული თამაშის მთავარმა მიზეზმა - რენდოლფმა მუხლის ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

დროის დარჩენილი მონაკვეთი პირველ ნახევარს დაემსგავსა, მაგრამ ამჯერად სოლო პარტიას კრის ბოში ასრულებდა, რომელმაც აქტიური მოქმედებით აიკლო მეტოქის ფარი.

## ტურის გმირი: კობი ბრაიანტი

"მემფისთან" მატჩის ბოლოს **კობი ბრაიანტის** აქტივობამ "ლეიკერსი" ზედიზედ მესამე მარცხს გადაარჩინა. მემფისში კობიმ 36 ქულა (23-დან 14 ზუსტი "ცოცხალი" ტყორცნა) დააგროვა, რომელთაგანაც 10 ქულა ბოლო სამ წუთზე მოდის.

"ლეიკერსი" შინ კარგი განწყობით დაბრუნდა. შობის ღამეს, "ლეიკერსი" და კობი "ბოსტონ სელტიქსის" 18-მატჩიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტას შეეცდებიან.

## ტურის ანტიგმირი: ბრენდონ როი

როგორც ჩანს, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ახალგაზრდა ლიდერი დიდხანს აღნიშნავდა "ფინიქს სანზთან" დაგროვებულ 52 ქულას. სამდღიანი შესვენების შემდეგ, "დენვერთან" შეხვედრაში როისგან მისივე აჩრდილი იყო დარჩენილი. მცველმა სეზონში ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა - 8 ქულა, 5 პასი და 3 შეცდომა.

საბოლოოდ, "პორტლენდმა" 89:97 წააგო, როი კი მესამე კალათბურთელი გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც 10-ქულიან ზღვარს ვერ მიაღწია მას შემდეგ, რაც წინა შეხვედრაში 50 ან მეტი ქულა დააგროვა.

## ტურის რიცხვი: 200 მილიონი

ზუსტად ამდენი ადამიანი ადევნებდა თვალს ჩინეთში "ნიუ ჯერსი ნეტსისა" და "ჰიუსტონ როკეტსის" დაპირისპირებას. ამ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა NBA-ის ორი ჩინელი ლეგიონერი - "როკეტსის" ცენტრი **იაო მინი** და "ნეტსის" ფორვარდი **იი იანლიანი**. თითო მაყურებელზე, რომელმაც შეხვედრა ცოცხლად იხილა, 12 ათასი ჩინელი ტელემაყურებელი მოდიოდა.

ჩინელების დუელში გამარჯვება უფრო გამოცდილ მინსა და მის გუნდს ხვდა წილად. ცენტრმა 24 ქულა და 16 მოხსნა დააგროვა, იანლიანის შესაბამისი მაჩვენებლები 10 ქულასა და 7 მოხსნას უდრიდა.

## ტურის ფრაზა

*"ხელფასს არ ვიმსახურებ. მოთამაშეები თავად არიან საკუთარი თავის მწვრთნელები. მათ მატჩის მსვლელობისას ისეთი ეფექტური ცვლილებები შეიტანეს დაცვით თამაშში, რომ მე მხოლოდ შეცვლების გაკეთება მესაჭიროებოდა"*, - განაცხადა "საკრამენტოსთან" გამარჯვების (101:85) შემდეგ "სან ანტონიო სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**.

## კვირის მოთამაშეები

"ორლანდო მეჯიქის" ფორვარდი **ჯამირ ნელსონი** და "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" მცველი **კრის პოლი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთის რჩეული ნელსონი საშუალოდ მატჩში 27.6 ქულას აგროვებდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო კლუბში. "გოლდენ სტეიტთან" მატჩში ჯამირმა 32 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. "ორლანდომ" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო.

დასავლეთის ლაურეატის პოლის სტატისტიკური მაჩვენებლები 23.7 ქულას, 10.0 გადაცემასა და 4.3 მოხსნას შეადგენდა. კრისმა გასულ კვირას NBA-ის რეკორდი გააუმჯობესა - მან ზედიზედ 105 მატჩში შეძლო მინიმუმ ერთი ჩაჭრის დაგროვება. წინა რეკორდი **ელვინ რობერტსონს** ეკუთვნოდა და ის 105 ჩაჭრას უდრიდა.

**ორლანდო-გ. სტეიტი 113:81**

25:16, 28:27, 34:23, 26:15

ო: ნელსონი (22+7 პასი), ლუისი (21), პიეტრუსი (14), კ. ლი (12), თურქოგლუ (12+7 პასი), დ. ჰოვარდი (11+11 მოხსნა).

გ-ს: კროუფორდი (18), მოროუ (13), ბელინელი (12), ე. რენდოლფი (11+12 მოხსნა+3 დაფარება), ბიედრინსი (5+9 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი 91:114**

13:29, 27:32, 25:25, 26:28

ნ-ჯ: დულინგი (17), იი იანლიანი (10+7 მოხსნა), კარტერი (10), ჰარისი (10), ლოპესი (8+9 მოხსნა).

ჰ: იაო მინი (24+16 მოხსნა+4 დაფარება), ბრუქსი (22+6 პასი), ლენდრი (13), მაკგრეიდი (12), სკოლა (11), არტესტი (10).

**მემფისი-ლეიკერსი 96:105**

25:25, 32:24, 23:28, 16:28

მ: გეი (23+7 მოხსნა), მაიო (22+6 პასი), უორიკი (14), მილიჩიჩი (11+8 მოხსნა+3 დაფარება), კონლი (10).

ლ: ბრაიანტი (36), პ. გასოლი (15+7 მოხსნა+6 პასი), ბინუმი (13), ოდომი (12), ფიშერი (11).

**ს. ანტონიო-საკრამენტო 101:85**

33:22, 29:23, 18:16, 21:24

ს-ა: პარკერი (18+6 პასი), მეისონი (11), დანკანი (10), ჯინობილი (10), ჰილი (10).

ს: სალმონსი (22), უდრიხი (13+6 ჩაჭრა), გარსია (10+3 ჩაჭრა).

**დენვერი-პორტლენდი 97:89**

29:27, 24:20, 25:28, 19:14

დ: ნენე (19+11 მოხსნა), ბილაპსი (19+10 პასი), კლეიზა (17), სმიტი (15+7 მოხსნა), ანდერესენი (11+6 დაფარება), მარტინი (8+12 მოხსნა+3 დაფარება).

პ: ოლდრიჯი (20), აუთლო (15), ბლეიკი (14), ოდენი (10), ფერნანდესი (9), პრჟიბილა (7+8 მოხსნა).

**კლიპერსი-ტორონტო 75:97**

18:25, 14:26, 28:18, 15:28

კ: ზ. რენდოლფი (19+8 მოხსნა), ე. გორდონი (19), ბ. დევისი (16+9 პასი), ტორნტონი (5+9 მოხსნა).

ტ: ბოში (31+7 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (23+9 მოხსნა+5 დაფარება), ე. პარკერი (12+7 მოხსნა), კალდერონი (8+9 პასი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 28 | 26 | 2 | 92.9 |
| 2. კლივლენდი | 27 | 23 | 4 | 85.2 |
| 3. ორლანდო | 28 | 22 | 6 | 78.6 |
| 4. ატლანტა | 27 | 17 | 10 | 63.0 |
| 5. დეტროიტი | 25 | 14 | 11 | 56.0 |
| 6. მაიამი | 26 | 14 | 12 | 53.8 |
| 7. ჩიკაგო | 27 | 13 | 14 | 48.1 |
| 8. ნიუ ჯერსი | 27 | 13 | 14 | 48.1 |
| 9. მილუოკი | 29 | 13 | 16 | 44.8 |
| 10. ფილადელფია | 27 | 12 | 15 | 44.4 |
| 11. ნიუ იორკი | 27 | 11 | 16 | 40.7 |
| 12. ტორონტო | 28 | 11 | 17 | 39.3 |
| 13. ინდიანა | 27 | 10 | 17 | 37.0 |
| 14. შარლოტი | 28 | 9 | 19 | 32.1 |
| 15. ვაშინგტონი | 25 | 4 | 21 | 16.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 27 | 22 | 5 | 81.5 |
| 2. ნიუ ორლეანი | 23 | 16 | 7 | 69.6 |
| 3. ჰიუსტონი | 28 | 19 | 9 | 67.9 |
| 4. დენვერი | 28 | 18 | 10 | 64.3 |
| 5. სან ანტონიო | 27 | 17 | 10 | 63.0 |
| 6. პორტლენდი | 28 | 17 | 11 | 60.7 |
| 7. ფინიქსი | 27 | 16 | 11 | 59.3 |
| 8. იუტა | 29 | 17 | 12 | 58.6 |
| 9. დალასი | 26 | 15 | 11 | 57.7 |
| 10. მემფისი | 27 | 9 | 18 | 33.3 |
| 11. კლიპერსი | 28 | 8 | 20 | 28.6 |
| 12. გ. სტეიტი | 29 | 8 | 21 | 27.6 |
| 13. საკრამენტო | 29 | 7 | 22 | 24.1 |
| 14. მინესოტა | 26 | 4 | 22 | 15.4 |
| 15. ოკლაჰომა | 28 | 3 | 25 | 10.7 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 27.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 26.2 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 26.2 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 24.4 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 23.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 23.6 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 23.3 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.8 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 22.7 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.9 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 12.3 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.9 |
| ზაკ რენდოლფი (კლიპ) | 11.0 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.9 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 10.7 |
| დევიდ ლი (ნ-იორ) | 10.6 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.3 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.3 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.9 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.8 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.8 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 8.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 7.5 |
| ჩონსი ბილაპსი (დენ) | 7.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.0 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 3.0 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.4 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.2 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 2.0 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 1.9 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.9 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 1.9 |
| ტრევორ არიზა (ლეი) | 1.8 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.7 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.8 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.4 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.3 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 2.0 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 2.0 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.9 |

# კარმელო სამ მატჩს გამოტოვებს



სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს "დენვერ ნაგეტსის" ლიდერ **კარმელო ენტონის**. 2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მაჯის არეში ტკივილს გრძნობს. აღსანიშნავია, რომ ეს ტრავმა კარმელოს რეგულარული სეზონის სტარტიდან აწუხებს და აქამდე, თამაშებზე ფორვარდი სპეციალური სახვევით გამოდიოდა.

*"ახლა ყველაზე შესაფერისი მომენტია იმისთვის, რომ პაუზა ავიღო და გუნდი პარტნიორების იმედად დავტოვო. ორივე ხელზე რენტგენი გადავიღე და აღმოჩნდა, რომ ორივეზე სერიოზული დაზიანება მაქვს. ტკივილი ყოველ მატჩში ძლიერდებოდა და მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო. "ფინიქსთან" მატჩის დროს ყველა ამბობდა, რომ თამაში არ გამომივიდა, მაგრამ მათ სინამდვილეში არ იცოდნენ, რომ მაჯა მთელი მატჩის განმავლობაში მაწუხებდა. დრო იყო რამე მეღონა, თორემ ასე შეიძლება მთელი წელი გაგრძელებული[illegible]"*, - განაცხადა "პორტლენდთან" მატჩის წინ ენტონიმ.

კარმელო ამ სეზონში "დენვერის" ლიდერია მოპოვებული ქულების რაოდენობით - მის ანგარიშზე საშუალოდ 20.5 ქულა მოდის.

# ნეტსის ჩინელს სასჯელი ელის

როგორც უკვე ვწერდით, ჩინეთის სპორტის სამინისტრომ რამდენიმე კალათბურთელზე მიიტანა ეჭვი იმაში, რომ მათ ოფიციალურ დოკუმენტებში დაბადების თარილი აქვთ გადაკეთებული.

ეჭვმიტანილთა სია 36 კალათბურთელით შეივსო. მათ შორის არის "ნიუ ჯერსი ნეტსის" ფორვარდი **იი იანლიანი**. "ნეტსის" განაცხადში მითითებულია, რომ კალათბურთელი 1987 წლის 27 ოქტომბერს არის დაბადებული. ანალოგიური მონაცემები იყო მოყვანილი ორი წლის წინ, დრაფტზე წარდგენისას.

მაგრამ ჩინეთის მთავრობამ მოიკვლია იი იანლიანის სკოლის ბარათი, რომლის მიხედვითაც კალათბურთელი რეალურად სამი წლით არის უფროსი.

ჯერჯერობით ჩინეთის კალათბურთის ფედერაცია თავს იკავებს ოფიციალური კომენტარებისგან, მაგრამ თუ ეჭვი დადასტურდა, "ნიუ ჯერსის" ფორვარდს დისციპლინარული სანქციები ელის როგორც სამშობლოში, ასევე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.

# ლეიკერსმა ფარმარი დაკარგა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ექიმებს მიაჩნიათ, რომ კალიფორნიული კლუბის მცველ **ჯორდან ფარმარს** ტრავმირებულ მარცხენა მუხლზე ოპერაცია ესაჭიროება. ახალგაზრდა კალათბურთელმა დაზიანება "მაიამი ჰიტთან" მატჩში მიიღო და სავარაუდოდ, 6-8 კვირა მოუწევს დასვენება.



*"რა თქმა უნდა, ყველანი შევწუხდით ფარმარის ტრავმის გამო, მაგრამ ასეთი რამ ჩვენს ლიგაში ხშირად ხდება. სათადარიგო კალათბურთელებიც იმიტომ გვყავს, რომ ტრავმირებული შეცვალონ. ჩემი აზრით, ჯორდანი კარგა ხნით გამოგვაკლდა"*, - განაცხადა "ლეიკერსის" დამრიგებელმა **ფილ ჯექსონმა**.

ფარმარი კალიფორნიული კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო სათადარიგო მოთამაშეა. ამ სეზონში მის ანგარიშზე 7.9 ქულა და 2.4 შედეგიანი პასი მოდის.

# ტომაშევიჩმა ნასვლა გადაწყვიტა

სერბმა ცენტრმა **დეიან ტომაშევიჩმა** საბერძნეთის აეკი დატოვა, რომლის შემადგენლობაში მიმდინარე სეზონის დასაწყისში გადავიდა. 35 წლის კალათბურთელი, რომელსაც მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, კარიერის დასრულებაზე ფიქრობს.

Talkbasket-ის ინფორმაციით, ტომაშევიჩი (4.5 ქულა და 3.6 მოხსნა საბერძნეთის ჩემპიონატში) დარწმუნებული არ არის, რომ ისევ დაუბრუნდება იმ დონეს, რომლის წყალობითაც მან "პანათინაიკოსთან" ერთად 2006-07 წლების სეზონში ევროლიგა მოიგო.

ტომაშევიჩი სერბეთის ნაკრების რიგებში ორჯერ მსოფლიოს და სამჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ჰონდას ექვსი მყიდველი ჰყავს



ავტორიტეტული გამოცემა Motor Authority "ჰონდა რეისინგის" სავარაუდო მყიდველებზე საუბრობს. როგორც ჟურნალისტები ირწმუნებიან, იაპონური საჯინიბოს ექვსი პოტენციური მყიდველი ჰყავს.

უკვე არაერთხელ მოხსენიებული **დევიდ რიჩარდსის** ("პროდრაივის" მფლობელი) გარდა, სცენაზე გამოდის ტელესაკომუნიკაციო კომპანია Telmex-ის ბოსი, მექსიკელი მილიარდერი **კარლოს სლიმი**, რომელიც ამ კვირას ბრეკლიში "ჰონდა რეისინგის" ბაზასაც კი სტუმრობდა. როგორც Motor Authority წერს, მექსიკელის პირადი ვერტმფრენი იმდენად დიდი აღმოჩნდა, "ჰონდას" პერსონალს პარკინგის მოედნის მთლიანად დაცლამ მოუწია ძვირფასი სტუმრის მისაღებად. მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ როგორც იტყობინებიან, მოსალოდნელი გარიგება ბრაზილიელი **ბრუნო სენას** ფორმულა 1-ში დებიუტს შეუწყობს ხელს. საქმე ისაა, რომ Telmex-ის შვილობილი კომპანია - Embratel სენას ერთ-ერთი სპონსორია.

სავარაუდო მყიდველთა რიცხვში მოხვდა კორეული Hyundai Kia Automotive Group. მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ავტომწარმოებელი, რომელიც წელიწადში 1.6 მილიონ მანქანას უშვებს, დღეს ავტოსპორტში წარმოდგენილი არ არის, თუმცა 2003 წლამდე რალის ჩემპიონატში გამოყავდა საკუთარი გუნდი. 2010 წელს, კორეამ პირველ გრანპრის უნდა უმასპინძლოს, ასე რომ „Hyundai Kia-ს მხრიდან დაინტერესება სრულიად გამართლებულია.

გუშინ დასახელდა "ფორს ინდიის" მფლობელი **ვიჯეი მალია**, შვეიცარიული საბანკო კონსორციუმი და ბერძენი მილიარდერი **აპილეას კალაკისი**.

კრივი

# ევანდერი ჩივილს აპირებს



ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსანი **ევანდერ ჰოლიფილდი**, რომელმაც 20 დეკემბერს ქულებით წააგო WBA-ის სატიტულო ბრძოლა რუს **ნიკოლაი ვალუევთან**, შეხვედრის შედეგების გაპროტესტებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ციურიხში გამართული ბრძოლის შემდეგ, სამმა მსაჯმა ასეთი ანგარიში დააფიქსირა - 114:114, 116:112 და 115:114 ვალუევის სასარგებლოდ. მაგრამ ამერიკელი მოკრივის გუნდი არ დაეთანხმა მსაჯების ამ გადაწყვეტილებას და ჩათვალა, რომ ევანდერმა საკმარისზე მეტი გააკეთა გამარჯვების მოსაპოვებლად.

46 წლის ჰოლიფილდი დღეს შეიტანს პროტესტს WBA-ში და საბოლოო გადაწყვეტილებას დაელოდება. სხვათა შორის, ბრძოლის გამართვიდან მეორე დღეს, ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2009 წელს ჰოლიფილდი და ვალუევი კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

ცხენოსნობა

# ნორვეგიას ბრინჯაო წაართვეს

ნორვეგიელ ცხენოსან **ტონი ანდრე ჰანსენს** ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და პეკინის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ჩამოართვეს. ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი ჰანსენის ცხენის - "კამიროს" დოპინგტესტი გახდა, რომელმაც დადებითი შედეგი აჩვენა.

ცხენის ორგანიზმში იპოვეს „კაპსაიცინი". ეს არის ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი, რომელსაც კანზე ისვამენ და ის წვის შეგრძნებას იწვევს. ცხენი, რომელსაც „კაპსაიცინის" მალამო აქვს წასმული, ცდილობს უფრო მაღლა ახტეს, რათა წვა არ იგრძნოს. შესაბამისად, ეს ცხენსა და მის მხედარს ბარიერის იოლად გადალახვაში ეხმარება.

ჰანსენი ოლიმპიადაზე კონკურში გუნდურ ასპარეზობაში გამოდიოდა. საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ნორვეგიის კუთვნილი მესამე ადგილი შვეიცარიის ნაკრებს გადაულოცა, რომელმაც გუნდურ ტურნირში მეოთხე პოზიცია დაიკავა.

დისკვალიფიკაციისა და მედლის ჩამორთმევის გარდა, ჰანსენმა 2.75 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმაც უნდა გადაიხადოს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-პიტსბურგი 3:4 (ო)**

1:0, 2:2, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 პეი-4 (ნუმინენი-10, მეირი-5), 2:0 კოტალიკი-8 (პეი-8, მეირი-6), 2:1 დუპუი-7 (მატანი-13, ორპიკი-6), 2:2 გოლიგოსკი-5 (მალკინი-41, ფედოტენკო-9), 3:2 მაკარტური-9 (კოტალიკი-8, ნუმინენი-11), 3:3 გოლიგოსკი-6 (მალკინი-42, ჯ. სტაალი-10), 3:4 კროსბი-14 (მალკინი-43, გოლიგოსკი-12).

**ატლანტა-ტორონტო 2:6**

0:2, 1:1, 1:3

გოლები: 0:1 პონიკაროვსკი-11 (ანტროპოვი-14, სტაიანი-20), 0:2 ჯერემი უილიამსი-5 (მური-9, ჯეისონ ბლეიკი-13), 0:3 სტაიანი-8 (ანტროპოვი-15, პონიკაროვსკი-14), 1:3 კ. არმსტრონგი-8 (ჯეისონ უილიამსი-9, ვალაბიკი-4), 1:4 მური-7 (კუბინა-11, ჯერემი უილიამსი-2), 2:4 ტ. უაიტი-11 (ვიაჩ. კოზლოვი-13, პაველიდი-7), 2:5 ჰაგმანი-10 (ჯ. მიტჩელი-7), 2:6 სტაიანი-9 (ანტროპოვი-16, პონიკაროვსკი-15).

**ედმონტონი-ფინიქსი 4:2**

2:0, 0:2, 2:0

გოლები: 1:0 სტორტინი-1 (სტრუდვიკი-4, ბროძიაკი-2), 2:0 პუიო-5 (კოლიანო-8, მორო-7), 2:1 ჰანძალი-9 (ზაუერი-4, დოუნი-17), 2:2 ლისინი-6 (ტოვანოვსკი-15, ო. იოკინენი-12), 3:2 სურეი-9 (ვიშნოვსკი-12, ჰემსკი-22), 4:2 კოლიანო-9 (ჰემსკი-23, ვიშნოვსკი-13).

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 4:3**

2:1, 1:0: 1:2

გოლები: 0:1 რაიანი-5 (გეტცლაფი-25, ს. ნიდერმაიერი-13), 1:1 რეიმონდი-8 (ოლუნდი-10, ბერნიე-8), 2:1 კესლერი-8 (ბერნიე-8, რეიმონდი-9), 3:1 დ. სედინი-16 (დევისონი-1, ჰ. სედინი-26), 4:2 დ. სედინი-17, 4:2 ს. ნიდერმაიერი-4 (პერი-21, რაიანი-8), 4:3 პალსონი-3 (პერი-22, რაიანი-9).

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "დალას სტარზის" მარცხენა გარემარბი **ლუი ერიქსონი**. ფორვარდმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა, სადაც ექვსი გოლი გაიტანა და თავის გუნდს ექვსი შესაძლებლიდან ხუთი ქულა მოაპოვებინა. ერიქსონი 18 გატანილი გოლით კლუბის საუკეთესო სნაიპერია, ხოლო 26 ქულით მეორე ადგილს იკავებს "დალასის" ბომბარდირთა შორის.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო "ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდმა **ჯეფ კარტერმა**. მან ოთხ მატჩში 7 ქულა (4 გოლი+3 შედეგიანი პასი) მიითვალა. კარტერი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია (25 გოლი), ის აგრეთვე ლიდერობს ლიგაში რიცხობრივ უმცირესობაში გატანილი გოლებითა (4) და გამარჯვების შაიბებით (5).

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავად "ნიუ ჯერსი დევილზის" თავდამსხმელი **პატრიკ ელიაში** დაასახელეს, რომელიც გასული კვირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 8 ქულა (3+5). ფორვარდი კლუბის საუკეთესო მექულეც გახლავთ - 31 მატჩში 37 ქულა (16+21).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 33 | 24 | 5 | 4 | 52 |
| 2. რეინჯერსი | 36 | 22 | 12 | 2 | 46 |
| 3. ვაშინგტონი | 34 | 20 | 11 | 3 | 43 |
| 4. ფილადელფია | 33 | 18 | 8 | 7 | 43 |
| 5. მონრეალი | 33 | 18 | 9 | 6 | 42 |
| 6. ნიუ ჯერსი | 31 | 19 | 9 | 3 | 41 |
| 7. პიტსბურგი | 33 | 18 | 11 | 4 | 40 |
| 8. ბაფალო | 34 | 16 | 13 | 5 | 37 |
| 9. კაროლინა | 34 | 16 | 13 | 5 | 37 |
| 10. ფლორიდა | 32 | 15 | 13 | 4 | 34 |
| 11. ტორონტო | 33 | 14 | 13 | 6 | 34 |
| 12. ოტავა | 31 | 12 | 14 | 5 | 29 |
| 13. ატლანტა | 33 | 11 | 18 | 4 | 26 |
| 14. ტამპა ბეი | 32 | 7 | 16 | 9 | 23 |
| 15. აილენდერსი | 33 | 10 | 20 | 3 | 23 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 33 | 26 | 4 | 3 | 55 |
| 2. დეტროიტი | 32 | 22 | 6 | 4 | 48 |
| 3. ვანკუვერი | 34 | 19 | 12 | 3 | 41 |
| 4. ჩიკაგო | 31 | 18 | 6 | 7 | 43 |
| 5. კალგარი | 33 | 18 | 11 | 4 | 40 |
| 6. ანაჰაიმი | 34 | 18 | 13 | 3 | 39 |
| 7. ფინიქსი | 34 | 16 | 14 | 4 | 36 |
| 8. ნეშვილი | 32 | 16 | 13 | 3 | 35 |
| 9. მინესოტა | 32 | 16 | 14 | 2 | 34 |
| 10. ედმონტონი | 32 | 15 | 14 | 3 | 33 |
| 11. კოლორადო | 33 | 16 | 16 | 1 | 33 |
| 12. კოლამბუსი | 33 | 14 | 15 | 4 | 32 |
| 13. ლოს ანჯელესი | 33 | 13 | 14 | 6 | 32 |
| 14. დალასი | 32 | 13 | 14 | 5 | 31 |
| 15. სტ. ლუისი | 33 | 13 | 17 | 3 | 29 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 58 (15+43) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 47 (14+33) |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 43 (20+23) |
| მარკ სავარი (ბოს) | 40 (11+29) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 40 (18+22) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 39 (16+23) |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 39 (25+14) |

| გოლები | |
|---|---|
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 25 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 24 |
| ფილ კესელი (ბოს) | 21 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშ) | 20 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 18 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 18 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 18 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 17 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 17 |
| საიმონ განიე (ფილ) | 17 |
| დანიელ სედინი (ვან) | 17 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 43 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 33 |
| მარკ სავარი (ბოს) | 29 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 29 |
| ჰ. სედინი (ვან) | 26 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 25 |
| მაიკ რიჩარდსი (ფილ) | 24 |
| დავიდ კრეისი (ბოს) | 24 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 24 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ბაჰრეინი-ს. არაბეთი | 1:0 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| დროილსდენი-ჩესტერფილდი | 2:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ეირი-ლოუჩი | 3:1 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-კავალა | 78:67 |

**ხელბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ფლენსბურგი-კრონაუ | 29:30 |
| კილი-გოპინგენი | 41:32 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| დინამო-ხიმიკი | 5:0 |
| სპარტაკი-აკ ბარსი | 1:6 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-გრაცი | 0:4 |
| ვენა-აკრონი | 6:3 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 4:0 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 4:3 |
| ლინცი-ინსბრუკი | 2:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-კრეფელდი | 4:3 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 1:3 |
| ინგოლშტადტი-დუისბურგი | 3:1 |
| კასელი-იზერლონი | 4:4 |
| კიოლნი-ჰამბურგი | 3:3 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 4:2 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1:2 |
| ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 2:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-კარლოვი ვარი | 3:5 |
| ლიტვინოვი-პლზენი | 6:1 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| სლავია-ულინი | 3:5 |
| სპარტა-კლადნო | 3:3 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 4:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ბილი | 2:3 |
| ჟენევა-ციურიხი | 7:1 |
| ლანგნაუ-ბერნი | 3:4 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 4:3 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 2:5 |
| ცუგი-დავოსი | 3:4 |

TV სპორტი

**24 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ჟურნალი.
09:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. კანი-ლიონი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 არგენტინის ჩემპიონატი. პლეიოფი. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.
15:30 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
22:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:35 არგენტინის ჩემპიონატი. პლეიოფი. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
02:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ბორდო.
06:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბილბაო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. II დღე. მადრიდი. ესპანეთი.
10:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:05 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
13:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-უდინეზე.
15:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. III დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
17:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
19:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:15 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ვაშინგტონი.
00:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:45 ფრენბურთი.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
02:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-უდინეზე.
04:35 სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. III დღე. მადრიდი. ესპანეთი.
05:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
07:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ჰოხფილცენი. ავსტრია.
17:00 მულტისპორტი.
18:00 ფეხბურთი. მილანი. იტალია.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ოლივერ კანი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. მანჩესტერ იუნაიტედი. 1998-99.
22:00 პეკინი 2008. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია.
23:00 ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პეკინი 2008. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონია.
00:30 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. საჩვენებელი გამოსვლები.
01:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ფინალი. მადრიდი. ესპანეთი.
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 სერფინგი. პორტუგალია.
15:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ტურნირი. ავსტრია.
15:30 ახალი ამბები.
17:00 პეინტბოლი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
17:30 რალი. IRC-ის თასი. სეზონის მიმოხილვა.
18:00 ავტოსპორტი. ერთა თასი. ჩემპიონთა რბოლა. ბრიტანეთი.
19:00 ჰიპ-ჰოპი. ს. კორეა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 მულტისპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ტურნირი. ავსტრია.
22:30 მულტისპორტი.
23:00 ახალი ამბები.
23:15 უნივერსიადა 2008. ტელეჟურნალი.
00:00 მულტისპორტი.
01:00 ფეხბურთი. საფეხბურთო ფრისტაილი. საფრანგეთი.
02:00 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# სკანდალების წელიწადი




**ბოლო ორი წელიწადი ფორმულა 1-ის სამყაროში საკმაოდ სკანდალური გამოდგა. გასულ წელს, ყველა მოვლენა დაჩრდილა „მაკლარენსა" და „ფერარის" შორის ატეხილმა ჯაშუშურმა სკანდალმა. წელს კი რამდენიმე სკანდალი ვიხილეთ. მათ შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის უკავშირდებოდა.**

## სკანდალური პრეზიდენტი

ბევრმა ამ სკანდალს „წლის მოვლენა" უწოდა. მარტის დასაწყისში ბრიტანულმა ტაბლოიდმა News of the World-მა თავის ვებგვერდზე ვიდეოჩანაწერი გამოიტანა, რომელიც დაწვრილებით აღწერდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტ **მაქს მოსლის** პირადი ცხოვრების ერთ ეპიზოდს. ვიდეოზე გადაღებული იყო 77 წლის ბრიტანელის ორგია ლონდონის ერთ-ერთი ბორდელის გოგონებთან. თანაც, ჟურნალისტებმა ვიდეოში ნაცისტური ქვეტექსტი ამოიკითხეს, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა, რადგან მოსლის მამა **ოსვალდი** მთავარი ბრიტანელი ფაშისტი იყო. ამ კადრებმა წამში მოიარა მთელი მსოფლიო და ატომური ბომბის ეფექტი ჰქონდა. მოსლიზე მასირებული შეტევა დაიწყო, რომელსაც ბევრი ვერ გაუმკლავდებოდა.

პრეზიდენტმა ყველა დაგეგმილი შეხვედრა გადადო. ის თავის კაბინეტში იურისტებთან ერთად ჩაიკეტა და იმაზე ფიქრი დაიწყო, როგორ გაეცა პასუხი „ყვითელი" ჟურნალისტებისთვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოსლიმ პირველივე ოფიციალურ კომენტარში აღიარა - *„ფირზე მე ვარ გამოსახული და ნებისმიერ ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების უფლება"*.

ამასობაში, მთელ მსოფლიოში ისმოდა მოწოდებები იმის შესახებ, რომ მოსლის სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა პოსტი. პრაქტიკულად მთელი ავტოსამყარო ამას უჩიჩინებდა პრეზიდენტს. და მხოლოდ ერთეულები - მაგალითად, მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონი **ალან ჯონსი** - მხარს უჭერდა მაქსს. მაგრამ მოსლისთვის ყველაზე უსიამოვნო იყო ის, რომ თავად **ბერნი ექლსტოუნმა** მოითხოვა მისი გადადგომა.

მაქსი ცდილობდა ამ ყველაფრისთვის ყურადღება არ მიექცია. მან ბრიტანულ გამოცემას სასამართლოში უჩივლა, FIA-მ კი ამასობაში, გენერალური ასამბლეის სხდომა მოიწვია, სადაც კენჭისყრის მეშვეობით უნდა გარკვეულიყო მოსლის პრეზიდენტობის ბედი. ასამბლეის სხდომა 3 ივნისისთვის იყო დანიშნული, მანამდე კი ფედერაციის შემადგენლობაში შემავალმა 24 კლუბმა გამოაცხადა, რომ მოსლის გადადგომას ითხოვენ და მის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. „მეამბოხეებს" შორის იყვნენ ბრიტანეთის, ამერიკის, ფინეთის, გერმანიის, ბრაზილიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების კლუბები. თავის მხრივ, მოსლიმ ეს კლუბები ფედერაციაში რევოლუციის მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულა. ასამბლეის დაწყებამდე მოწინააღმდეგე კლუბების რიცხვმა 37-ს მიაღწია.

ასეთ წინააღმდეგობას ხელი არ შეუშლია მოსლისთვის პრეზიდენტის პოსტი შეენარჩუნებინა. კენჭისყრის თანახმად, მაქსს ნდობა გამოუცხადეს, რამაც კრიტიკის ახალი ტალღა გამოიწვია. ამასთან, კლუბების ერთმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ მზად არიან დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ფედერაციასთან ურთიერთობა, მეორე ნაწილმა კი მოსლის სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამ სკანდალის შემკვეთის ამოცანა შეუსრულებელი დარჩა. აშკარაა, რომ გაზეთი საკუთარი ინიციატივით არ დაიწყებდა მოსლიზე კომპრომატის ძებნას, გამოდის, რომ მას ვიღაცამ დაავალა ეს საქმე. და ისიც ცხადია, რომ მიზანი არამარტო მოსლის დამცირება, არამედ მისი პრეზიდენტის სავარძლიდან ჩამოგდება იყო. მაგრამ ასე არ მოხდა. ბევრი სვამს კითხვას, ვინ იდგა ამ საქმის უკან, მაგრამ პასუხი დღემდე არ არის ცნობილი. მოკლედ, ეს წლის მთავარ გამოცანად დარჩა.



ეს ეპოპეა კი მაქს მოსლის სასამართლოში გამარჯვებით დასრულდა. მან მოიგო News of the World-ის წინააღმდეგ პროცესი. ადვოკატებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ არანაირი ნაცისტური ქვეტექსტი არ არსებობდა, თავად ვიდეო კი პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად ითვლებოდა. მართალია, სასამართლომ გაზეთი მხოლოდ 120 ათასი გირვანქით დააჯარიმა, მაგრამ მოსლისთვის თავად გამარჯვების ფაქტი იყო მნიშვნელოვანი. მით უმეტეს, რომ სასამართლოს მსვლელობისას ახალი გარემოებები გახდა ცნობილი. ვიდეოს იღებდა ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც იმ დღეს მოსლის ართობდა. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრის მეუღლე, რომლის ქმარსაც თავისი პოსტის დატოვება მოუხდა.

აი, ასე დასრულდა ისტორია, რომელსაც გულგრილი არავინ დაუტოვებია. გარკვეული პერიოდი, ავტოსპორტის სამყარო ორ ნაწილად იყო გაყოფილი: მოსლის მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები. ყველა მხოლოდ ამ სკანდალს განიხილავდა და ფორმულა 1-ის ჩემპიონატი არავის ახსოვდა. მაგრამ ახლა ვნებები ჩაცხრა და ახლა ამ ამბავს ხუმრობად ასაღებენ. თუმცა YouTube-ზე კიდევ შეიძლება ამ ვიდეოს პოვნა...

## იყო თუ არა რასიზმი?!

კიდევ ერთი სკანდალი რასიზმთან იყო დაკავშირებული. როგორც კი ფორმულა 1-ში შავკანიანი პილოტი - **ლუის ჰემილტონი** გამოჩნდა, ცხადი გახდა, რომ ამ პრობლემას თავიდან ვერ აიცილებდნენ. მაგრამ ხანდახან, რასიზმთან ბრძოლის მეთოდები ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

პირველი ინციდენტი ბარსელონაში, ზამთრის ტესტების დროს მოხდა. ტრიბუნაზე **ფერნანდო ალონსოს** სანახავად ბევრი ესპანელი ფანი შეიკრიბა. ხუთი ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა სახე შავად შეიღება და მაისურებზე დაიწერა - Hamilton Family (ჰემილტონის ოჯახი). ამან საშინელი კრიტიკა გამოიწვია. ავტოსპორტის წამყვანი პერსონები გმობდნენ ამგვარ საქციელს, FIA-მ კი გამოაცხადა, რომ თუ მსგავსი რამ ბარსელონის ტრასის ტრიბუნებზე კიდევ ერთხელ განმეორდება, ავტოდრომი დისკვალიფიკაციას მიიღებს და მას ესპანეთის გრანპრის ჩატარებას აუკრძალავენ. მაგრამ არენის ხელმძღვანელობამ საჭირო ზომები მიიღო და ჰემილტონისთვის შეურაცხყოფა აღარავის მიუყენებია.

მეორე რასისტული სკანდალი არაფრისგან წარმოიშვა. ფერნანდო ალონსოს ფანებმა შექმნეს ვებგვერდი - „გახვრიტე ჰემილტონის საბურავები". საიტის შემქმნელები სტუმრებს ინტერლაგუშის ვირტუალურ ტრასაზე ბასრი საგნების განთავსებას სთავაზობდნენ. ამასთან, ვებგვერდზე სიტყვაც არ იყო ნახსენები ჰემილტონის კანის ფერზე. მაგრამ ყველამ ერთხმად გამოაცხადა, რომ ეს იყო რასიზმის გამოვლენა და საიტის დახურვა მოიხოვა.

## მსაჯები ვინ არიან?

ჩემპიონატს სამსაჯო სკანდალების გარეშეც არ ჩაუვლია. სტიუარდებმა ბელგიის გრანპრიზე „გამოიჩინეს" თავი, როცა ლუის ჰემილტონს გამარჯვება წაართვეს. დიახ, **კიმი რაიკონენის** გასწრებისას, „მაკლარენის" პილოტმა გზა მოჭრა, მაგრამ რბოლის ფინიშის შემდეგ გამარჯვების ჩამორთმევა - ეს ნონსენსია. მით უმეტეს, რომ საქმე ეხებოდა პილოტს, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდა. ჰემილტონს **ფელიპე მასასთვის** ორი ქულით უნდა გაესწრო, მაგრამ ერთმა უაზრო გადაწყვეტილებამ ბრიტანელს მთავარ კონკურენტთან მიმართებაში ოთხი ქულა დააკარგვინა. ხომ შეიძლებოდა სასჯელი მომდევნო გრანპრიზე გადაეტანათ და ლუისი სასტარტო ბილიკზე ხუთი ადგილით უკან დახევით დაესაჯათ. მაგრამ მსაჯებმა ისევ დაადასტურეს თავიანთი არაკომპეტენტურობა.

მსაჯებმა კიდევ ერთი უაზრო გადაწყვეტილება იაპონიაში გამოიტანეს. მაშინ ლუის ჰემილტონს, რომელმაც პირველი მოსახვევში შეცდომა დაუშვა და ფელიპე მასას, ვინც ტრასიდან გადააგდო კონკურენტი, ერთი და იგივე ჯარიმა მისცეს - პიტლეინზე შესვლა. არადა, ბრაზილიელი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.

## ფორმულა სანახევროდ

წლის ბოლოს ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელმაც შეიძლება ფორმულა 1-ის სამყარო კარდინალურად შეცვალოს. ბერნი ექლსტოუნთან 27-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, **სლავიკა ექლსტოუნმა** განქორწინებაზე სარჩელი შეიტანა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ ფონდი SLEC, რომელშიც ბერნის სიმდიდრის დიდი ნაწილი და ფორმულა 1-ზე უფლებებია შენახული, სლავიკაზე ყოფილა გაფორმებული.

ცხადია, რომ სასამართლოზე ექლსტოუნი ყოველი ცენტისთვის იბრძოლებს. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ბერნის ფორმულა 1-ის უფლების შუაზე გაყოფა მოუხდეს. და როგორ მოეპყრობა სლავიკა თავის წილს? აქ ყველაზე სავარაუდო ის არის, თუ ბერნის ყოფილი ცოლი ნახევარი ფორმულის მფლობელი გახდება, ექლსტოუნი უბრალოდ გამოისყიდის ყოფილი მეუღლის წილს.

2008 წელს ეს ერთადერთი გაყრა არ ყოფილა. იგივე პროცესი გაიარეს **მიკა ჰაკინენმა** და **რონ დენისმა**. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ბედნიერ ოჯახთან გვქონდა საქმე. ჰაკინენის მეუღლე - **ერია** თავსევლებოდა ქმარს 1995 წელს, ადელაიდაში მომხდარი ავარიის შემდეგ, როცა მიკა კინაღამ ტრასაზე დაიღუპა. დენისის ცოლი **ლიზა** კი მეუღლეს ყველაზე რთულ მომენტებში ედგა გვერდით, არადა ასეთი პრობლემები „მაკლარენში" არაერთი იყო. თუნდაც შარშანდელ ჯაშუშურ სკანდალში ლიზა რონს გვერდიდან არ მოსცილებია. მაგრამ რაღაც მომენტში ორივე ოჯახში ბზარი გაჩნდა და რა მოხდა სინამდვილეში, არავინ იცის. ჰაკინენს დალევა უყვარს და გაყრის მიზეზი შეიძლება ეს იყოს. დენისზე კი ამბობენ, რომ მისი გუნდის - „მაკლარენის" სპონსორ Vodafone-ის პრეზიდენტის ქალიშვილს ხვდებაო.

გია თვალაბეიშვილი

